

წ. 200

1935

25 მარტი



2

რვაენი თაობა

647 27

საქართველოს საბჭოთა მფარეზების
კავშირის უმველთვიური შუანალი.

2



ა ბ ვ ი ს ტ ო
1 9 3 5
ტ ფ ი ლ ის ი

ცეკავშირის სტამბა პუშკინის 3.

შთავლიტი А—7044.

დაკ № 811.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ძეთაური—განძი ბოლშევიზმის მატრიანეში

მხატვრული ლიტერატურა

2. ჯაბუშანური--ცხენი
3. ა. საჯაია—იშორილეთ წებო
4. ი. მოხაშვილი—სალამო დვინაზე
5. პ. ჩხიკვაძე—ძმადნაფიცი
6. ნ. ფხაკაძე—როს მავზოლეის ტრიბუნაზე
ადის სტალინი
7. ვ. გაბესკირია—პალიასტომთან
8. კ. ნადირაძე—განაზღებულ ქუთაისს
9. ვ. ავალიანი—დადაშ ხვიბლანი
10. დ. შამათავა—მსოფლიო ომში დაღუპულ ბიძას
11. დ. გაჩეჩილაძე—ორი სამშობლო
12. მ. ვვახალია—სურამი

კ რ ი ტ ი კ ა

13. ა. არსენიშვილი—ფრიდრიხ ენგელსი და მწერ-
ლობის პრობლემები
14. პ. პანფეროვი—სოციალისტურ რეალიზმისათვის
15. ა. ჭეიშვილი—დიდი გარდატეხა
16. ა. ასკანელი—ანრი ბარბიუსი

ხსრკ ხალხთა ლიტერატურა

17. ა. ა-ლი—ალექსანდრე შირვანზადე
18. ქრონიკა და ინფორმაცია



მ. ბეგია

ნახ. კრატკოვის.

განძი ბოლშევიზმის მატრიანეში

აღმაფრენი და წარმტაცია ბოლშევიზმის ისტორია. ლენინ-სტალინის პარტიამ ათეული წლების მანძილზე განვლო ისეთი გზა, რომელსაც გამოცდილების სიმდიდრის მიხედვით მსგავსი არ მოეპოვება მთელს მსოფლიოში. მან გიგანტური მუშაობა ჩაატარა მრავალი საუკუნისა და თაობათა გამოცდილების ასათვისებლად და კრიტიკულად გადასამუშავებლად. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის სწორი მეცნიერული თეორიის შემუშავებასა და განხორციელებაში, იგი არის რევოლუციური მარქსიზმის ნამდვილი გამომხატველი. „მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, — სწერდა ლენინი, — რუსეთში კეშმარიტად ტანჯვით დაიმკვიდრა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერჯის და თავდადებული ძიებების, სწავლების, პრაქტიკაში გამოცდის, იმედების გაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილების დაპირისპირების ნახევარი საუკუნის ისტორიის მანძილზე“.

ბოლშევიზმის ისტორია დაუშრეტელია და მასზე სწავლობენ და მომავალშიაც ისწავლიან მრავალი და მრავალი თაობანი. იგი გვაიარაღებს ფაქტებისა და მოვლენების უმდიდრესი ცოდნით. იგი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევითვისოთ უკეთ გავიგოთ საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობა და განვითარება. იგი დაწვრილებით გვაცნობს ლენინ-სტალინის პარტიის პირობებსა და საშუალებებს, ტაქტიკას და სტრატეგიას.

ბოლშევიზმის ისტორია თვითეული ჩვენთაგანის მეხსიერებასა და შეგნებაში აღადგენს ჩვენი პარტიის შეურიგებელ და გმირულ ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, ყველა რევიზიონისტისა და რენეგატის წინააღმდეგ, სოციალიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, დაწყებული ძველი ნაროდნიკებით, მენშევიკებით და ესერებით და გათავებული ტროცკისტებით, ზინოვიეველებით, მეზარჯვენე ოპორტუნისტებით და სხვა ანტილენინური დაჯგუფებებით. ამასთან ერთად ბოლშევიზმის ისტორია მეხსიერებაში აღადგენს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის უშიშარ და თავდადებულ მებრძოლთა სახეებს, უფრო მეტად ააშკარავებს ჩვენი პარტიის გენიალური ბელადებისა და ორგანიზატორების მთელ სიდიადეს.

და არ არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე მასების აღზრდის უკეთესი იარაღი, ვიდრე პარტიის ისტორიაა. ბოლშევიზმის ისტორიის შეუსწავლელად, პარტიის ცხოვრების თუნდაც უმთავრესი სამიჯნე სვეტების გაუცნობლად, შეუძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველის ნამდვილი შეთვისების უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ ამბობდა ლენინი თავის დროზე: „არ შეიძლება შეგნებული მუშა იყოს ის, ვინც ივან უთვისტომოსავით ეპყრობა თავისი მოძრაობის ისტორიასაო“. პარტიის ისტორია უნდა იყოს ცოცხალი გაკვე-

თილი ჩვენი ბრძოლისა და მუშაობისათვის, სოციალიზმის სულ ახალ-ახალი კადრების აღზრდისა და განუწყვეტლივ გამოზრდისათვის. და ამ თვალსაზრისით უდიდესი მოთხოვნები დგება ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელების წინაშე.

ამხანაგი სტალინი თავის წერილში ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციას“ რედაქციისადმი 1931 წელს მიუთითებდა, რომ საჭიროა „სათანადო სიმალღეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე დავაყენოთ ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე, გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული და სხვა ყოველგვარი ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატიურად ჩამოვგლიჯოთ მათ ნილაბი“. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში პარტიის ისტორიის შესწავლა უეჭველად წინ წაჰვიდა. საუცხოო თაოსნობა, მშვენიერი ინიციატივა, რაც ყოველგვარი მოწონების ღირსია, გამოიჩინეს, კერძოდ და განსაკუთრებით, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა თავიანთი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით. ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ამხ. ბერიას მოხსენებას ტფილისის პარტ-აქტივის ა.-წ. ივლისის კრებაზე.

ამხ. ბერიას მოხსენება უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატთანში, იგი დეტალურად გვაცნობს ყოფილ მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გაჰოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამოსაქმე, მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანამიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერ-კავკასიის რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგ სტალინის უახლოეს მეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამჟღავნებს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლის დროს ვპოულობთ ახალ უმდიდრეს მასალას ამხანაგ სტალინის რევოლუციური როლის, რევოლუციური მუშაობის შესახებ.

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს,—ამბობს ამხ. ბერია,—მოეპოვებათ ლენინური პარტიის მშენებლობისათვის იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველ დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელოან“.

ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ისტორია ამდიდრებს პარტიას ამხანაგ სტალინის ჯერ კრდევე ხელახლად გამოუცემელი თეორიული ნაშრომებით და

შეხედულებებით, გვაცნობს მის მუშაობას რევოლუციურ ასპარეზზე ჯერ კიდევ 90-იან წლებიდან დაწყებული.

ამხ. ბერიას მოხსენების განსაკუთრებული მნიშვნელობა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამხელს მთელი რიგი ამხანაგების ცდებს—მრუდე, მახინჯ სარკეში გვიჩვენონ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ისტორია, მოახდინონ მისი ფალსიფიკაცია, დაამახინჯონ იგი. მაგალითად, ცნობილია, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ისტორიის დარგში არის რამდენიმე ბროშურა, კერძოდ, ამხ. ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის და ა. ენუქიძის ბროშურები. ახლა ჯერე საბოლოოდ დადასტურებულია, რომ ეს წიგნები შეიცავენ მთელ რიგ პრინციპულ და ისტორიული ხასიათის შეცდომებს, ამახინჯებენ ცალკეულ ფაქტებს და მოვლენებს და არაკვაილისინდისიერად გადმოგვცემენ ცალკეულ მომენტებს პარტიის ისტორიიდან.

ამხ. ბერიას მოხსენება, რომელიც სისწორით აშუქებს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და ბრძოლას, წარმოადგენს მძლავრ დასაყრდენს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისათვის. იგი ახალ ბრწყინვალე შუქს ჰფენს ჩვენი პარტიის ბრძოლისა და განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპს, იგი ავსებს საგრძნობ ხარვეზს ჩვენს პარტიულ ისტორიულ ლიტერატურაში და იგი უდაოდ წარმოადგენს იმის ნიმუშს და მაგალითს, თუ რა სერიოზულად და საქმიანად უნდა მოვეპყრათ პარტიის მოთხოვნებს ბოლშევიზმის ისტორიის გულდასმით შესწავლის შესახებ, რა შეუპოვრად და სიყვარულით უნდა ვიმუშაოთ ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შექმნაზე.

პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ისტორია უფრო მტკიცედ გვაიარაღებს სოციალიზმის ახალი უმაგალითო გამარჯვებებისათვის, ჩვენ უფრო ძლიერ ვიმსჭვალებით მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებისადმი კლასობრივი სიფრთხილისა და შეურიგებლობის გრძნობით. ჩვენ უფრო მჭიდროდ ვირაზმებით ჩვენი პარტიის გარშემო, წმინდათ ვინახავთ მის ერთგულ დაღუპულ შვილთა ხსოვნას და განუხრელად ვასრულებთ ლენინის ანდერძს და ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებებს.

(„პრავედა“, 10 აგვისტო).

მხატვრული დიკცია

ბაბრიელ ჯაბუშანური



იყო ზაფხულის შუადღე ცხელი,
წიფელა ტოტებს მძიმედ არხევდა;
ვრცელ გზატკეცილზე მიჰქროდა ცხენი
და მხედარს რძისფერ მტვერში ახვევდა.

ქარს მიანგრევედა მერანის ღონე
და მათრახის ხმა ქარსვე მიჰქონდა;
სჭექდა მხედარი—და თავმომწონე
ვრცელ გზატკეცილზე ცხენი მიჰქროდა.

უკან რჩებოდენ სხივების განძით
ველები გულმკერდ გადაბუგული.
და მხედარის წინ გადაშლილ მანძილს
უცბად მოედო უცხო გუგუნი.

შეჰკრთა ცხენი და შემკრთალი მიჰქრის.—
მიჰქრის ცხელ ოფლით ტანნატბორები.
— „ვერ დამეწევა.!!“—გაიფლო ფიქრი
და დაჰკრა მძაფრად მიწას ტორები.

მიჰქრის მერანი, სწრაფვამ მედგარმა
შორეულ მანძილს გადააწვდინა,
მაგრამ მანქანამ, თვლებზე შემდგარმა,
ჩაჰოურბინა, გაასწრო წინაც.

კრიალა კვამლი ბალახს რუჯავდა,
მანქანამ კვამლით შეტრუსაჯერხვი.
შემოაშალა მტვერი ლურჯას და
გაჰქრა თვალთაგან საბჭოთა ვეფხვი.

გრძნობას სიბრაზე გადაეხლართა
ტიროდა გული ცეცხლშენართავი:
თუმცა მხედარი ურტყამდა მათრახს,
დაღვა ცხენი და დახარა თავი.






სხივი სცვივა, თითქოს ოქროს ფიფქია;
ირგვლივ მზე და სიყვარულის დღეობა.
მდინარენი დაწაფებით მიჰქრიან
და კისკისი ამოხდება ხეობას,—
თქვენც იცოცხლეთ... იშრიალეთ ხეებო!..

ვინ დაასწრებს ტალღას შმაგს და ჟინიანს;
ტრფობის ცეცხლით რიალებენ ველები,
ტრფობის ცეცხლით ფრინველები ჟივიან,
მზეც ცოფდება ტრფობით განახელები,—
თქვენც დატკბით და იშრიალეთ ხეებო...

მოსავალი, ველზე ოქროს ლანქერი,
ატკაცუნდა მზისგან განაცხელები.
კვამლის ფრთებნა ზეცის სარკე გალაქეს,
ტორტმანებენ კომბაინის ხელები,—
თქვენც, თქვენც დიდხანს იშრიალეთ ხეებო...

მთას ირმული ყელი მოუღერია.
დაბლა ნისლი მკლავგაშლილი მოსცურავს.
დღეს ვაჟები წყაროს პირად მღერიან;
სალამოა, მთიდან სიოც მოსულა,—
თქვენც იხარეთ, იშრიალეთ ხეებო...

ილო მოსაზვილი



თეთრი არყები, თითქო ქალები
პირველ ვარსკვლავებს კრფავენ ტყეში,
და ცაზე დიდი მთვარის ნაღვეი
ჰკიდია, როგორც მამონტის ეშვი.

მოსტურავს დვინა, კრიალა სარკე,
ბელორუსიის ველები ხმალი,
მოსტურავს ნელა და ბინდში, ცალკე,
სიმღერას ამბობს მეტივე ქალი.

ის არ უკრთება ქარსა და ღელვას,
ავსილი მკერდით აწვება საქეს,
ხან კი ცეცხლიან თვალების ელვას
მაღლა შესტყორცნი ლაჟვარდის ნაჭერს.

ვდგევარ მდუმარე, გავცქერი ლამეს,
შორს საქართველოს ვარსკვლავი ბრწყინავს,
მოღელავს დვინა და რძიან ნამებს
წკარუნით აყრის ჯებირის რკინას.

ის კი მიიმღერს, მიარღვევს მორევს,
არა აქვს შიში აედრის და მარცხის.
ქარი ფრთას გაჰკრავს შრიალა წნორებს
და ქალის დაშლილ ნაწნავებს ვარცხნის.


და ისმის ქარში კვნესა, რომელიც
ბელორუსიის ველებმა ზიდეს,
წარსულის სევდა განუზომელი
ჩრდილივით მოსდევს მდინარის კიდეს.

მოსდევს სიმღერას, სალამოს, ნიავეს,
უსაზღვრო ტბორებს, ნისლიან სივრცეს,
და დვინის ტალღებს ჩურჩულით მიაქვს,
რომ უცხო ზღვების მორევებს მისცეს.

რომ აღარ დარჩეს ძველი იარა,
ხავსში, ჭაობში, ხეების ღრუში,
და მზე ეკიდოს დიასი, ბრიალა,
ბელორუსიის ველების გულში.

მღეროდეს ქალი — არღვევდეს დვინას,
მღეროდეს მწყემსი, მოხუცი, ბავში,
და ეს ხმა მკერდით აჰქონდეს მკურინავეს
საბჭოთა ქვეყნის უსაზღვრო ცაში.

1935.7. ვიტებსკი.



ამხ. გ. სულუხიას

1.

თოფმისაწიერზე ცხენმა დაიფთხინა. წამოკვივდენ მოლზე დაყრილი პარტიზანები. სანაპირო გზატკეცილს მიაჩერდენ.

— მოდის.

— მოფრინავს.

— მოჰქრის.—ერთდღიმავე დროს წამოიძახეს გახარებულმა პარტიზანებმა. ერთმა ცალ მუხლზე წამოიჩოქა, მხედარს თვალმოჩრდილვით გაჰხედა და აღტაცებით წამოიძახა: ის არისო.

ცხენი თავაწყვეტილ ქარიშხალივით მოჰქროდა. უკან სტოვებდა ბუქსა და კორიანტელს. ზღვის წვრილი ხრეში ჩხრიალით იფანტებოდა გავეშებულ ყორანის ფლოქვებ-ქვეშ. დამდგარსა და რძესავით ქათქათა ზღვას საფანტივით ხედებოდა გზატკეცილიდან გატყორცნილი კენჭები. დამდგარი წყალი წრეებს ხაზავდა.

მხედარი არც კი ჩნდა ცხენზე. მხოლოდ დაკვირვებული თვალი შენიშნავდა გავასა და ფაფარს შუა დასნატულ შავ აჩრდილს.

— მარტოა?

— ცხენი ხეთაგურისაა... ბიჭებო!

— გიგლა?

— ეეჰ!—ყვედრებით ჩაიქნია ხელი საყელომობსნილმა ქოსამ და ჯირკვიით გაგორდა შინელზე: უცებ, ისევ წამოჯდა. ფეხთ გაიხადა. უსიცოცხლო ფეხის თითები დაისრისა.

ათი დღეა ქოსას ფეხზე არ გაუხდია. დაბანასა და გარეცხაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. დღეს ისვენებენ პარტიზანები და ნებივრობენ კიდევ.

— ბაჭებო!—მოუბრუნდა ქოსა ამხანაგებს.—ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც არ გამაღვიძოთ, თორემ... ხომ გესმით!!—გამომწვევ კილოთი გააფრთხილა ქოსამ ამხანაგები... თოფი ჩაიხუტა და შინელში გაეხვია.

— შენ ეი, ქოსა!—ასწია თავი ჩაფიქრებულმა ასისტავმა:

ქოსა არ ინძრეოდა, თითქო უკვე ჩაეძინაო.

— რამდენჯერ გაგაფრთხილე წუწუნსა და ბუზლუნს მოუკელ-მეთქი!

ქოსამ არც ახლა მიაქცია ყურადღება უფროსის შენიშვნას და ერთბაშად იფეთქა ასისტავმა.

შეჩოქოლდენ პარტიზანები. სანაპირო გზატკეცილს თვალი მოაშორეს.

— გესმის თუ არა, ბუზლუნდარა!—დაიქუხა ბრაზმორეულმა ასისტავმა და მრისხანების გამოსახატავად მარცხენა მუხლზე წამოიჩოქა.

— რა გნებაეთ, ამხანაგო უფროსო!—გააცეცა თვალები შემკრთალმა ქოსამ.

— ჩაიცივი... ეხლავე... ჩქარა!

საგონებელში ჩაყარდენ პარტიზანები ვერ მიმხვდარიყვენ, თუ რა აცხარებ და მუდამ წყნარსა და გულთბილ წინამძღოლს.

— ჩავიცვამ... ამხანაგო უფროსო! მორჩილების კილოთი წარმოსთქვა ქოსამ და ფეხსახვევებს წაეპოტინა.

— ბუზლუნდარა!—მოღბა ცოტათი გაბრაზებული ასისტავი.

პარტიზანებმა სიცილი დააყარეს ქოსას.

გაელიმა ასისტავსაც.

მოსახვევში ლანდივით ჩამოიქროლა სანაპიროდან გამოქანებულმა მხედარმა, თვალის დახატვაში გაქაფული ყორანი ბანაკში გაჩნდა.

მხედარმა ძირს ჩამოხტომა ვერც კი მოასწრო, მუხრან რა იქნაო, ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— ვერ ვიპოვე—იყო გიგლას პასუხი.

— დახოცილებში?

— არ აღმოჩნდა, ამხანაგო უფროსო!

დამწუხრდა ასისტავი. მოიწყინეს პარტიზანებმაც.

— ცხენი არ დაჰქაროს... გაატარ-გამოატარეთ!—უმისამართოდ ბრძანა ასისტავმა და გულაღმა წამოწვა.

მზე თვალმისაწიერს გაშორდა. ზღვაზე დარჩა გადატეხილ სხივთა ანარეკლი... თანდათან ისიც აიკრიფა და ჩაძოწვა ბინდი.

ასისტავმა ხელები თავქვეშ შემოიწყო. მუხლები მოშვილდა და მეწამულ ცას შეხედა. თვალი გააყოლა ნაირ ფერებად მოელვარე ღრუბლებს. თვალმისაწიერთან, სადაც ზღვა თითქო ცას უერთდებოდა, მეწამული ფერი სილურჯეში გადადიოდა. იქ კი, სადაც ამ რამდენიმე წამის უკან მზე ჩავიდა, ტატნობი ისე ყვითელი იყო, როგორც იელის ყვავილი.

უსიზღვრო სევდა შემოაწვა ასისტავს. ხეთაგურის გამოთიშვამ გული ატკინა. უნაგირ მოუხდელ ყორანს შეხედა და ხმალამოწვილი ხეთაგური დაუდგა თვალწინ.

— გიგლა!—დაარღვია მყუდროება ასისტავმა.

— გისმენ, ამხ. უფროსო!

— წამოიწყე „პარტიზანულა“. შენც უშველე, ქოსა!

მხედრული ყაიდის სიმღერა თანდათან ღიღინში გადავიდა და ძვალ-რბილ დაშორებულმა პარტიზანებმა ხვრინვა ამოუშვეს.

2.

სამი დღე-ღამე გრიალებდენ ზარბაზნები. შაშხანების ტყაცუნს მოძახილად ერთვოდა ტყვიამტყვევთა განუწყვეტელი კაკანი. სანგრეზში ჩასაფრებულ მებრძოლებს—გერ შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. თანდათან ყური შეაჩვიეს ზარბაზნების გრგვინვასა და მომცრო ყალიბის იარაღების ზუზუნს. გახურდენ მეომრები და ახლა სროლის მოულოდნელი შეწყვეტა გულს უფრო ადარდიანებდა ვინემ განუწყვეტელი ცეცხლი და საომარი ალიაქოთი. მესამე დღეს წითლებმა უკანასკნელი სანგრები აიღეს. მტერი კავკასიონის კალთებისკენ მიიხზეს და შავი ზღვის სანაპიროებს დაეპატრონენ.

ქარცივაძის რაზმი იბრძოდა უკანასკნელ სანგრებთან. თავზეხელაღებული ასისტავი შეუპოვრად მიარღვევდა თეთრების საგულდაგულოდ გამაგრებულ პოზიციას, მიარღვევდა და წინ მიიწვედა... მაგრამ უკანასკნელ სანგრებთან მიახლოებისას რაზმი შეთხელდა... და როცა ქარცივაძემ რაზმს დასჭყვივლა: „იერიშით, ბიჭებოო!“, ბუჩქნარების მიღმა ჩასაფრებულმა თეთრების ტყვიამქვეთა გუნდმა განუწყვეტელი ცეცხლი დაანთო.

ქარცივაძის რაზმი შუა გაიყო.

ერთ მხარეს დარჩა ასისტავი ქარცივაძე—ოცდარვა კაცი, მეორეს—კი ასისტავის თანაშემწე მუხრან ხეთაგური, თითქმის ამდენივე მებრძოლით.

ხეთაგურმა ტყვიამქვევთა გუნდს ორი ტყვიამქვევის განუწყვეტელი ცეცხლით უპასუხა. დღელამის გაყრისას მტრის უკანასკნელი სანგრებიც განადგურდა. ქარცივაძის ჯგუფი ხეთაგურისას შეუერთდა. მაგრამ ხეთაგური?

— მუხრან?

მოითარეშეს ფრონტი. დახოცილთა ჯელგა გასინჯეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. თანაც ისე ბნელოდა, როგორც აღმოსავლეთში იცის ხოლმე. კუნაპეტი, ყორანა ლამეები.

უთენია პარტიზანები წუხანდელ. პოზიციაზე გაჩნდნენ. უკანასკნელ სანგრებთან თეთრების მხვერაგები შენიშნეს. შებინდებისას აღებული სანგრები თეთრებს კვლავ გაემარებიათ. ის ადგილი კი, სადაც წუხელ მუხრან ხეთაგური იბრძოდა, უკვე მტრის მხარეზე იმყოფებოდა.

შეწუხდნენ რაზმელები. იერიშზე გადასვლა ვერ გაბედეს. შუადღისას მაშველი რაზმიც მოვიდა და შეუდგენ პოზიციების გაშაგრებას. ქარცივაძის რაზმში ცოცხლად დარჩენილებს ორი დღით შესვენების ბრძანება მოუვიდათ შტაბიდან. მათ უარი განაცხადეს დასვენებაზე. მიზეზად ხეთაგურის უგზო-უკვლოდ დაკარგვა დაასახელეს, მაგრამ შტაბის ბრძანების შეუსრულებლობა შეუძლებელი იყო.

— ხეთაგური? — აუბედდა რომელიღაც პარტიზანი.

— მე დავრჩები, ბიჭებო! იქნებ სადმე ვიპოვო, — განაცხადა გიგლა პარტიზანმა, ხეთაგურის ძმადნაფიცმა და განუყრელმა მეგობარმა.

რაზმი სანაპიროსკენ დაიძრა დასასვენებლად.

გიგლა პარტიზანი კი მთელი დღე პოზიციაზე დაძვრებოდა. დაეძებდა ხეთაგურს:

თეთრების მხარეც მოაფათურა გიგლამ. ხშირი ტყე იფარა და უკანასკნელ სანგრებს მიუახლოვდა. მხვერაგებმა აიყნოსეს გიგლას ქურდული მოახლოება. აედევნენ. გიგლამ დრო იხელთა და გაუვალ ქაობში ლაქაშებმა შეეფარა. შებინდებისას ხეთაგურის ცხენი იპოვა. თვითონ ხეთაგური კი არსად ჩანდა. ყორანზე შეჯდა და ბანაკისკენ მოუსვა.

3.

იმ ღამით საშინლად ბნელოდა. გულშემზარავი სიჩუმე მეფობდა უდაბურსა და უკაცრიელ მიდამოებში. არც ქარის მხუილი, არც სხვა რაიმე მოძრაობა. ტყის სუნთქვაც კი მინელეზულიყო. ხანდახან ჭილყავები თუ აჩხავლდებოდნენ... მაშინ შეირხეოდა ოდნავ ჰაერი. მაშინ ისმოდა ფრთების ფართხუნი და ხმელი ტოტების მტვრევის ხმა...

ნაშუალამევს, სადღაც შორს, ტურები ახმაურდნენ. სიკვდილის შეცხადებას მოგაგონებდათ ტურების მოთქმა და საზარელი კივილი.

ისევ დუმილი, ისევ სიჩუმე სამარისებური.

ალიონის მოახლოებისას კვლავ აფართხალდენ ჭილყავები, აატლამუნეს დაძენილი ფრთები და გულშემაზარავი ალიაქოთით დააცხრენ მიწას. ძირს დაფრენა ვერ გაბეჭდეს და ისევ ხეების მწვერვალებს მოედვენ ჩხავილითა და ყრანტალით.

აგერ, რალაც შავლეგი შეინძრა გაფხორილ მუხის ძირში. წამოდგომა სცადა, მაგრამ ყრუდ დაიგმინა და ისევ გარინდდა.

გატიალდა კიდევ. აჭრიამულდენ ფრინველები. ამეტყველდა ხმაჩაკმენდილი მიდამო.

„სიზმარია თუ ცხადი?!. სადა ვარ? ჭილყავები რატომ ყრანტალებენ?“ — გაუელვა მუხის ძირში მიწოლილს შავლეგ ვაჟკაცს.

მძიმედ დაჭრილი მუხრან ხეთაგური გათენებისას მოგონიერდა და გმინვაც მას აღმოხდა.

სიკვდილს ებრძვის ვეფხვი პარტიზანი. სიცხე თვალბეჭეში მოსწოლია. სისხლხორციით სავსე ვაჟკაცს მიწის ფერი დასდებია. ჯერ არც კი იცის რა სტკივა. სად აქვს ჭრილობა. თავს ძალა დაატანა. მარჯვენა ხელის ამოძრავება მოინდომა, მაგრამ ნიდაყვს ზემოთ ძვალი გაჭახუნდა და თვალთ დაუბნელდა. როცა გონს მოვიდა ფეხებზე დაიხედა. ტოლღები დაშლოდა წვივზე.

ფეხების თავისუფლად ამოძრავებამ სიხარულის იერი მოჰტინა ხეთაგურის ნაწვალბესა და ვაცრეცილ პირსახეს. ახლა ცაციაც შეანძრია. ხელი ერთხანს დაემორჩილა, ხოლო გათამამებულმა, როცა ხელი უფრო მალლა ასწია, ბეჭის ძირში უსაზღვრო ტკივილი იგრძნო და ისე დაიგმინა, რომ რომელიღაც ჯარისკაცის გვამზე მოყრანტალე ჭილყავები დააფრთხო.

მარცხენა გვერდი ჰქონდა გაგლეჯილი ხეთაგურს. ჭრილობა ღრმა იყო და უსაზღვრო ტკივილებს სწორედ ეს იწვევდა.

— ნენა, წყალი! — ძლიეს წარმოსთქვა ხეთაგურმა. ჩასისხლიანებული თვალბეჭით სივრცეს მიაშტერდა. ხეები და ბუჩქები ადამიანებად მოეჩვენა. ზოგი მათგანი იცნო კიდევ. თავი დაუქნია. ანიშნა: მომეშველეთო.

არავინ არ იძვრის ადგილიდან. მუხრანს ბრაზი მოსდის. რატომ ახლოს არ მოვლენ, რატომ წყალს არ მასძევენო. დიდხანს იყო ასეთ ბინდსა და ბურანში. თანდათან ნაცნობი ადამიანები გაჰქრენ. მათ ადგილას ახლა ნათლად დაინახა მუხრანმა ხეები და ბუჩქები.

„სიცხე მაქვს. მომეჩვენა. მაგრამ ის ერთი რა ძალიან ჰგავდა გივლას. მიცინოდა. სავსე ჭიქას. მაწვდიდა. ახლოს კი არ მეკარებოდა... ეჰ, მოჩვენება იყო და სხვა არაფერი. ვინ იცის სად არიან ახლა ჩვენები.“

მუხრან სისხლის ლაქებს დააკვირდა. დარწმუნდა, რომ მძიმედ იყო დაჭრილი. მოაგონდა წუხანდელი ომი. შეტევა. უკანასკნელი სანგრები. ტყვიამეტყვევითა განუწყვეტელი ცეცხლი.

უცებ თავბრუ დაეხვა. ხახვამშრალმა წყალიო, დაიძახა.

გონს რომ მოვიდა, ფეხაუდგმელ ბავშვივით გაჩოჩდა მოლზე. ოდნავ წამოიწია და მუხის მოზრდილ ფესვს მოეყრდნო. წინ რომ დაიხედა, თავისი მათუზერი შენიშნა და ტანში ნელთბილმა ყრუანტელმა დაურბინა. თოფი მოშორებით ეგდო. ბუხრის ქუდი მიწაში ჩაეკეცილიტა ცხენის ფლოკებზე.

„ჩემი ყორანი... უთუოდ თეთრებმა მომტაცეს. ჩვენებს რომ ენახა, ნუთუ მე აქ დამტოვებდენ. ეეჰ, ჩემი ჩაუქი!

მოაგონდა: „სწორედ აქ იყო უკანასკელი ბრძოლა. აგე, ტყვიისაგან შეტევილი ხეები. მკვდრებიც ყრია ხის ძირში.“

აქ ფიქრი გაუწყდა. თითქო წყალიც დაინახა. ხმელი ტუჩები გააცმაცუნა.

„რა კარგია მოულოდნელი სიკვდილი. მოგზავდა და გათავდა. ბედნიერებაა. რა დავაშავე, რომ ასე წვალეებით ვკვდები. ხელი მოტეხილი მაქვს. გვერდი გაგლეჯილი. რამდენი სისხლი დამიკარგავს. მაშ, სადღა მიდგას ე ოხერი სული... რე დროს დავეცი? გუშინ ვახმისტრ მხეიძეს მოვეკარი თვალი—ჰაი, დედასა.“

მაუზერს დახედა. მარცხენათი მიწვდა და ბოხიდან ამოაძრო. სისხლის ლაქა მიკვროდა მუდამ მოელვარე მაუზერს.

ხეთაგურმა თავი გააქნია. წვალეებით ჩახმახი შემართა. დაჰკრა... მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა. ახლა სავაზნეკოლოფის ჭიპს დააწვა. შიგაც ცარიელი იყო.

ყრუდ ამოიხრა ხეთაგურმა. უმწეობამ გული ატკინა. სავაზნე სავსე აქვს, მაგრამ როგორ ჩააწყოს ვაზნები, როცა ხელი აღარ ხელობს.

ბევრი ეწვალა: კბილები მოიშველა, ბარძაყებიც... საწადელს მაინც ვერ მიაღწია.

ფეხის ხმა შემოესმა. გაიხედა. არავინ იყო. ქანცმიხდილმა თვალეები დახუჭა და გარინდდა.

ხმაური ისევ გამეორდა.

მუხრან ყურს აღარ უჯერის. „ბოდვაა და სხვა არაფერი“—ფიქრობს თავისთვის.

ფეხის ხმა მოახლოვდა. ხეთაგურმა თავი წამოსწია და დამრეცს გადახედა.

„ვახმისტრი უნდა იყოს... ის არის ნამდვილად“ ყურებს დააკვირდა.

— ცალყურა! ის არის.

აინთო ხეთაგური. მაუზერს წაეპოტინა. გვერდი ეტკინა და დაიღმიჯა.

ვახმისტრი თავს წაადგა. ირიბად ახედ-დახედა, დარწმუნდა მომაკვდავიაო და გვერდი აუქცია.

აიღეწა ხეთაგური. ვახმისტრის უყურადღებობით სასტიკი შეურაცხყოფა იგრძნო. აღარად მაგდებსო, გაიფიქრა და თავკარა მოეკიდა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გამომწვევ კილოთი შეუძახა: ყურმოჭრილო, სად მიეთრევიო. მობრუნდა ვახმისტრი. ხეთაგურს მოწუხული თვალეებით შეხედა. გაიღიმა. მერე ისევ წარბი შეიკრა და ხეთაგურის შორიახლო გაიბიჯა.

— მძორს დაეძებ, ქოფაკო!

— ვაჟაკს დამიხედეთ...—წასკდა სიცილი ვახმისტრს.

— ბარემ რომ ვაჟაკი ვიყავი, მაგრამ ახლა შენც კი ხედავ, რა ყოფაში ვარ. თუ შენც ვაჟაკი ხარ, აიღე ეს მაუზერი. ერთი მესროლე. მაუზერი და დანარჩენი ვაზნები შენი მალარიჩი იყოს.

დინჯად დაიხარა ვახმისტრი. მაუზერი აიღო. ბუხრის ქუდით გაწმინდა. აუჩქარებლად ჩააწყო შიგ ვაზნები და ვითომ აქ არაფერიაო, გზას გაუდგა.

— ლაჩარო!—მიადახა მუხრანმა.—გუშინ შემხვედროდი, ხვეწნა არ დაგჭირდებოდა, ისე ჩაგაძალღებდი. ჩემი ტყვიაც გენანება ჩემთვის.

— გუშინ არც მე დაგაკლებდი ხელს. არც დღეს. სადმე ბრძოლაში რომ შემხვედროდი. აქ კი... აბა, რა სისულელეა, შენზე ტყვია დახარჯოს კაცმა. მით უმეტეს ირგვლივ ფრონტია და უთავბოლო სროლა უაზრო ბრძოლას გამოიწვევს. შენ კი... გაძლევ პატიოსან სიტყვას, გათენებას ვეღარ იხილავ... და თუ დილა-მდე გააწევ, უთენია ჩვენები შეტევაზე გადმოვლენ და იმედი გქონდეს ყუმბარის წერა გახდები- ან კიდევ... ეშმაკმა ნუ იცის შენი ასავალ-დასავალი. ბრძოლის დროს სიკვდილს ვერსაით გაექცევი. მშვიდობით, გისურვებ სასუფეველს წიაღსა აბრამისასა.

ვახმისტრმა მაუხერი ქამარში გაირჭო და თავქვე დაექანა.

— ოოხ, შენი... ძალთაპირო!

გაცოფდა ხეთაგური. „სიკვდილი ვთხოვე და გამაწბილა.“ აბლუკუნდა თავისთვის.

4.

მთელი ღამე არ სძინებია გიგლას. არც ასისთავს. ორივენი დაკარგულ ძმადნაფიცზე ფიქრობდენ.

დილით ისაუბმეს თუ არა, გიგლა ასისთავთან მიიჭრა და სათხოვარი მაქესო, მოახსენა.

ასისთავი მიუხვდა გიგლას განზრახვას. ესიამოვნა კიდევ, მაგრამ პარტიზანთა შორის სამხედრო დისციპლინა რომ არ შერყეულიყო, წარბი შეიკრა, ოფიციალურ კილოთი უბრძანა: სთქვიო.

გიგლამ ჯიქურ მოახსენა: ნება დამრთეთ ხეთაგურის საძებნელად წავიდეთ. გაიჭიმა და პასუხს დაელოდა.

შედგა ასისთავი, თითქო შეყოყმანდა. ბოლოს, ხმადაბლა უპასუხა: წადი, მაგრამ ფრთხილად იყავიო.

გიგლა სიხარულით ცას გამოეკერა. სწრაჲად მოემზადა. საგზალი წამოიკიდა და გზას გაუდგა.

ახლა სხვებიც აბუზლუნდენ: ჩვენც წავიდოდითო.

— თუ საპოვნია, გიგლაც იპოვნის.— უპასუხა აყბედებულ პარტიზანებს ასისთავმა და მიმავალ გიგლას დაუსტვინა, უკან მობრუნდითო.

ფერწასული გამოეჭიმა გიგლა ასისთავს.

— ღმერთი არ გაგიწყრეს, სროლა არ გაბედო.— აფრთხილებდა ასისთავი გიგლას, — გესმის! იარაღის ხმარება არ გაბედო! გახსოვდეს, რომ შენი დავალება ხეთაგურის ძებნით ამოიწურება. შეიძლება თავი წააგო... მაგრამ... არ დაგავიწყდეს, რომ ფრონტზე იმყოფები. ერთი უნებლიე შეცდომა და ყველაფერი დაიღუპება.

— მესმის, ამხანაგო უფროსო!

— გასწი!

გიგლა დაიძრა ადგილიდან და დაეღვებაში თვალს მიეთარა. „ფრონტი... დისციპლინა...“ გაუჯდა ტვინში თავზეხელაღებულ პარტიზანს.

პოზიციასზე ისე გაჩნდა, არც კი შეუტყვია. ჩაირბინა ლელელუდე, შამბნარში შეიჭრა. აქ კი ნაბიჯს უკლო გიგლამ. მიდამოებს გათვაციცებით დაუწყო თვალიერება. გიგლა გაცდა წითლების საგუშაგოებს. მტრის ბანაკს მიუახლოვდა. აგე, მზვერავებიც დაინახა... გული აუფვართქალდა. „როგორ თავისუფლად სხედან მოლზე. თოფები ბალახებში მიუგდიათ.“

სისხლი აემღვრა გიგლას. ერთის წამით პარტიზანულმა სიფიცხემ წამოუ-
ქროლა და ანგარიშმიუცემლად იტაცა ხელი ნაგანზე, მაგრამ მოაგოხდა ასისტან-
ვის სასტიკი გაფრთხილება. „სროლა არ გაბედოო“—მოესმა გარკვევით და
ხელი გაუშეშდა.

გიგლა შამბნარს დაჰყვა. დრო იხელთა და უკანასკნელ სანგრებთან გაჩნდა.
ტიალ მინდორზე ვახმისტრი დაინახა. „ბიჭოს! ისე მოლაყუნებს, თითქო დღეობაში
ყოფილიყოს“. თავი გააქნია გიგლამ. გვიმრებში შეძვრა და ბრეკი იფარა, სანამ
ვახმისტრი მინდორს გაცდებოდა.

უკანასკნელ სანგრებთან არავინ იყო. ბუჩქებში შეძვრა და სული დაი-
ხოხინა: მერე საძებრად გავიდა. სანგრებს ჩამოუარა. ხევში დახოცილები იპოვა.
აგერ, ალფეხა გურული: ტყვიამფქვევს წელში გაეწყვიტა. სახე დაფლეთილი
ჰქონდა. ძლივს იცნო. ცოტა გაიარა და სურენა ჩულურეთელის გვამს წააწყდა.
გვამებს თავი მოუყარა და სანგრებში ჩამარხა: ძმების საფლავს უხმოდ მოშორ-
და გიგლა. მუხისკენ გაექანა.

კარგად ახსოვდა, რომ მუხრან აქ იყო სადღაც ჩასაფრებული... დიახ,
სწორედ აქ იდგა მუხრანის ტყვიამფქვევი. უკანასკნელად ხომ მუხრან უჯდა
ერთერთ ტყვიამფქვევს.

კენესა შემოესმა.

ყური მიუგდო. მუხის იქით რაღაც შენიშნა. მოკრუნჩხული ეგდო. ბუხები
ეხვევოდა.

— მუხრან!—ჩურჩულით ჩასძახა ხეთაგურს, ჩაეხვია. ტუჩები დაუკოცნა.

თვალი გაახილა ხეთაგურმა. გიგლა იცნო და სიხარულით გული შეუ-
წუხდა.

დაიბნა გიგლაც. აღარ იცოდა რა ექნა. ეხვევოდა ხეთაგურს. ჰკოცნიდა,
კრილობას უსინჯავდა. ხმის ამოღება კი ვერ მოეხერხებინა.

— წყალი!—ძლივს მოიბრუნა სული მუხრანმა.

გიგლა მოწყდა და გავარდა. სავსე მათარა მოურბენია ხეთაგურს. გულზე
მიიხუტა და მათარა პირზე მოაყუდა.

მუხრან ისე ხარბად დაეწაფა წყალს, გეგონებოდათ, ჭურჭელსაც ჩაყლაპ-
ვას უპირებსო, მაგრამ გიგლამ აღარ დაანება, გაწყენსო, გააფრთხილა.

მოსულიერდა ხეთაგური. თვალეში სინათლე მოუვიდა.

ახლა საგზალიც გახსნა გიგლამ და ლუკმა თავისი ხელით ჩაუდო ხეთაგურს.
ხემსიც ვერ მიიკარა ხეთაგურმა. პირი მიიბრუნა და ლუკმა უკან გადმო-
აგდო.

— ვერ გავაწევთ?—მოულოდნელად იკითხა მუხრანმა. გიგლას დანახვაზე
სიცოცხლე ისე მოწყურდა, როგორც რამდენიმე საათის წინ სიკვდილი ენატრე-
ბოდა.

— სად არიან ჩვენები? ბონდო ხომ ცოცხალია?


— ცოცხალია.

— ბიჭები?

— ბევრი დავკარგეთ, მაგრამ...

— სად დგებართ?

— სანაპიროზე.



— იცი, გიგლა, დღეს აქ ვახშისტრი მხეიძე დაეხეტებოდა. დავუძახე. მომკალი-მეთქი ვთხოვე. ქრთამად მაუზერი შევთავაზე. მაუზერი წაიღო და... ესეთ დღეში დამტოვა. სულერთიაო, ხვალ დილით შეტევაზე გადმოვდივართო...

— შეტევაზე? ჩვენებმა რომ არაფერი იციან! წუხელ ბონდო ამბობდა სამი დღის შემდეგ შეუტევთო...

— ახლავე უნდა გაფრინდეს და აცნობო ჩვენებს... ხომ გესმის! მარქათი ჯერ არ მოსულა?

— მოვიდენ. წინა პოზიციაზე ქაჯაიას რაზმი დგას. მარქათში ჩვენ ვართ ახლა, გუშინ მთელი დღე ვისვენებდით.

— გუშინ? გუშინ ხომ ერთად ვიბრძოდით, გიგლა!

— არა, მუხრან, ეგ გუშინწინ იყო.

მუხრანმა თავს ძალა დაატანა, მაგრამ ის დაკარგული „გუშინ“ ველარ მოიგონა. შემდეგ გიგლას მიუბრუნდა: გიგლა! თუ აქედან გასვლა შეუძლებელია... ვახშისტრის მაგიერობა 'მენ უნდა გამიწიო.

— არ გცხვენია, მუხრან! თავს დავედებ და გაგიყვან როგორმე.

— რომ ვერ მზიდო? მოძრაობა რომ ველარ შევძლო?

— ვცადოთ.

გიგლა შეჭოჭმანდა. ვაი თუ მართლა ვერ ვზიდოვო გაიფიქრა, და გული ლოდინით დაუმძიმდა.

— რას შერებენ?— მათხოვარის კილოზე შეეკითხა ხეთაგური.

გიგლა პასუხის ნაცვლად დაწვდა ხეთაგურს, ხელში ბავშვივით აიტატა, მაგრამ...

— კკედები!— სასოწარკვეთით დაიგმინა ხეთაგურმა და შეშინებულმა გიგლამ კინალამ ხელიდან გააგდო ძმადნაფიცი.

გიგლა დარწმუნდა, რომ ხეთაგურის ადგილიდან დაძვრა შეუძლებელი იყო. ძირს ჩამოსვა. გვიმრა გათელა და გულშელონებული ხეთაგური ზედ დააწვინა.

„ხვალამდე რო გააწევდეს... მაგრამ პოზიცია?“

— გიგლა!

— რა გინდა?

— გაგიძნელებდა, მაგრამ დახუჭე თვალები და მომასვენე. სიკვდილი მაღირსე.

გიგლას ტირილი წასკდა. გული ამოუჯდა და ხმამაღალ ზღუქუნს მოჰყვა.

— გიგლა! ძვლები მემტვრევა, ბიჭო... მაღირსე!..

— დაწყნარდი, მუხრან, ვაჟკაცი არა ხარ?

მუხრანს ბრაზი და ბოღმა მოაწვა ყელში. სუნთქვა დაუმძიმდა. ძმადნაფიცს უწყრებოდა, მაგრამ წყრომაში თხოვნა-მუდარა უფრო ამოიკითხებოდა, ვინემ სიფიცზე და გულმოსულობა.

— გვიანდება. დღეს ჩვენებთან უნდა გაჩნდე... ცნობა უნდა მიიტანო. ბონდოს აკოცე ჩემს მაგიერ, ბიჭებსაც. ახლა კი ნულარ აყოვნებ...

გიგლამ ველარ გაუძლო ხეთაგურის ამდენ მუდარას. ლოპივით ვაჟკაცი ჩვარს დაემსგავსა. ზღარბივით მოიკუნტა შეჭყურებს თვალებში ძმადნაფიცს და გამოსავალი ვერ მოუძებნია. გაყვანა არ ხერხდება. ამ დღეში მისი დატოვებაც ვერ გადაუწყვეტია. წავა. შტაბს ცნობას გადასცემს და დაბრუნდება უკან, მაგრამ სულმობრძავი ამხანაგი ასე ღვთისანაბრად როგორ დატოვოს.

— გიგლა! — მიბნედილი ხმით დაიხრიალა ხეთაგურმა.

— იცი რა, მუხრან! მე წავალ, ჩვენებს ცნობას გადავცემ და ისევ დაგბრუნდები. სხვა გზა არ არის, მუხრან.

ატირდა ხეთაგური. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გიგლას ბრძანებით მიმართა: მოემზადეო.

— მივდივარ, მუხრან, შუალამემდე ისევ მელოდე... თუ ვერ დაგბრუნდე, ცოცხლად ნულარ მიგულვებ. ნახვამდის!

— გიგლა! დედას გაფიცებ, არ დამტოვო... ცოცხალი არ დამტოვო, გიგლა! გიგლა არავინ გიყვარს? არც არავინ გყვარებია? ყველას გაფიცებ, ცოცხლად ნუ დამტოვებ.

გიგლამ დაჰკარგა წონასწორობა. თვალები აემღვრა. მიდამოები ჩაათვალიერა. მოღვენთილ ხელებით ნაგანის ბოლჩას დაწვდა. დიდის წვალებით ამოაძრო რევოლვერი. ჩახმახი ასწია, მაგრამ მოაგონდა ასისთავის სიტყვები, მოაგონდა და თითქო ცხადლივ გაიგონა: სროლა არ გაბედოო და ისედაც მოღვენთილი ხელი დაბლა დაუშვა.

მუხრანს მოეჩვენა, ვერ გამიშეტა და ჭოჭმანობსო. ამიტომ სხვა ხერხს მიმართა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გადაჭრით მიმართა: გიბრძანებ!

გიგლა შეკრთა. ნაბრძანები მაქვს, ამხანაგო უფროსო, სროლას ვერიდო, ირგვლივ ფროხტია და...

— მართალი ხარ, გიგლა! სროლა შეუძლებელია. ვახმისტრმაც ეს მოიმიზეზა დღეს და ისიც მართალი იყო უთუოდ.

თავი ჯვარცმულივით გადაჰკიდა და ორი ფეთრის მარცვალი მოწყდა თვალებს.

— აღარც მტერმა შემიწყინარა, აღარც მეგობარმა... — ჩაილულულა თავისთვის.

სასოება კიდევ უფრო დაჰკარგა ხეთაგურმა. სუნთქვას მოუხშირა. დახეთქილ ტუჩებზე გამშრალი ენა მოისვა. თვალები დახუჭა, თითქო მიელულაო. როცა გონს მოვიდა ჩამოშლილ ტოლალებს შეხედა და გიგლას რაღაც ანიშნა.

გიგლა კანკალმა აიტანა. ხელები ველარ დაიმორჩილა. „ნეტა არ მენახა“ — გაუელვა გიგლას და ანთებული თვალებით ტოლალებს დახედა. მიხვდა, რასაც ეძუდარებოდა ყოველმხრივ იმედგაცრუებული ხეთაგური... მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ტოლალებზე მითითება, მაგრამ სად შესწევს გიგლას ამდენი ძალღონე... ტოლალები წაუჭიროს მეგობარა?! არა, არა... არ შეუძლია...

უკან დაიხია. გათელილ გვიმრაზე წამოწვა.

5.

ვახმისტრმა ხეთაგურთან შეხვედრის შემდეგ პოზიცია შემოიარა. საგუშაგოები დაათვალიერა: მზვერავეები გააფრთხილა. უკან დაბრუნდა და მოლზე წამოწვა დასასვენებლად.

უსაქმობით შეწირილბულმა დღევანდელი ნადავლი მაუხერი ამოიღო. აცოდვილა. მანჭვლები გაუსინჯა. უცებ წარბი შეიკრა და გველნაკბენივით წამოხტა.

„არა, ეგ რა სისულელე წამოვეტორტლე... ხვალ დილით შეტევაზე ვადა მოვდივართ მეტი! ეშმაკს არ ძინავსო — იტყვიან და ვთქვათ ვინმე თავისიანი წახოს ხეთაგურმა. ხომ დავიღუპეთ?! არა, არა, ეგ რა მომივიდა?!“

გაბრაზდა ვახმისტრი. თავისთავის ლანძღვა-გინებას მოჰყვა. იგინებოდა სწორედ ისეთი სიტყვებით, როგორითაც ის წელქვეით სალდათებს აგინებდა ჩვეულებრივად.

„არა, ეგ რა ჩავიდინე! რატომ იქვე არ ჩავაძაღვლე. იქნებ განგებ შემეხვეწა—მესროლოეო, რომ ამით ერთგვარი ზეგავლენა მოეხდინა ჩემზე. რომ შემიტყონ, ბაწარი არ ამცდება“.

წავიდა. შტაბში მიმავალ ბილიკს თვალი გააყოლა. არავინ ჩანდა. ხელი ჩაიქნია და უკანასკნელ სანგრებისკენ გაჰქუსლა.

ქლოშინით აირბინა მწვანე დამრეცი. მოლზე რამდენჯერმე წაიფორხილა. უმისამართო გინებას მოუხშირა. აივაკა თუ არა, საგუშაგოებს გაჰხედა და მაუზერმომარჯვებულმა მუხის ძირისკენ გაეშურა. ბეჯითად ჩაათვალიერა იქაურობა. ერთბაშად შეიკმუხნა და ახლა ნამდვილი მეძებრის ანთებული თვალებით შემოუბრინა ნაცნობ მიდამოებს.

ხეთაგური იქ ველარ ნახა, სადაც ამ რამდენიმე საათის უკან დასტოვა სასომინდილი.

„აქ ეგდო. სულს ღაფავდა... რამ ჩაყლაპა?“

შეერთა ვახმისტრი. მაუზერს კიდევ მეტის ჟინით ჩააფრინდა. მეძებრით მოედო ნაცნობ მიდამოებს. შეატყო, მუხლებმა კანკალი დაუწყეს. გულში რალაც იღუმალი შიში ჩაუდგა. „ნუთუ გაიპარა? ნუთუ მკვდრეთით აღსდგა და... ვითომ მოიტაცეს? აკი, ვილაც ენახათ დღეს მზვერავეებს. ღმერთო!“

ბუჩქნარისკენ გაექანა.

ღაშლიგინებს ვახმისტრი ნაომარ ტრამალებში. დაეძებს მოსისხარს. ცალი თვალთ შტაბისკენ იყურება, არავინ მითვალთვალედესო.

ჩაირბინა ბუჩქნარი. ვერც იქ იპოვნა. ახლა კი სიმწრის ოფლი დაასხა ვახმისტრს. ილღიები დაუსველდა. შედგა და სავსე მკერდით ამოისუნთქა.

ეს მოესმა გიგლას. თავი ასწია თუ არა სათოფეზე მოახლოვებული ვახმისტრი დაინახა. დაიბნა. ხელები აუკანკალდა. სახელდახელო დროა, მაგრამ... „ოხ, ეს სამხედრო წესები და დისციპლინა...“

მუხრან შეანძრია. ვახმისტრი მოდისო წასჩურჩულა. გაელიმა მუხრანს სიხალისის იერი გადაეკრა პირსახეზე.

— გიგლა, შენ თავისუფალი ხარ. მშვიდობით! გასწი... შტაბში გაჩნდი...

— ნეტა რას დაეძებს?

— ვიცი, გიგლა, რასაც დაეძებს. ვიცი... წადი... აბა, მშვიდობით!

გიგლამ ჩაჰკოცნა ხეთაგური და ვახმისტრიც მიუახლოვდა მათ საფარს.

გიგლა თავჩალუნული გაძვრა გვიმრაში. უკან მოიხედა და ერთბაშად ჩა-ცუცქდა.

ვახმისტრმა მაუზერი მოლზე დააგდო. მიიხედ-მოიხედა. ჩოხის სახელოები წაიმკლავა და ხეთაგურს წაადგა თავზე.

სანამ ვახმისტრი გვიმრაში ფათურობდა, გიგლამ მახლობელ ბუჩქნარისკენ გადაინაცვლა. ბუჩქნარს შეეფარა.

სული რომ მოიბრუნა უკან მიიხედა. ვახმისტრი ზანტად წამოდგა, ჩოხის სახელოს სწორედით ისევ მინდორზე გამოვიდა. არაქათგამოლოეულ ფეხებს ძლივს მიათრევდა.

გიგლამ თვალი გააყოლა ვახმისტრს.

— ცალყურა ყოფილა. ათას კაცში რომ იყო, მანინც გიცნობ.

შებრუნდა. სანაპიროსკენ გაექანა. თან გაჰყვა შხამი და მოუსვენარი ფიქრები: განთიადი... შეტევა... ვახმისტრის სისხლი.

ხმლ მკვლევარნი ქვის სტაიონი

უნდა სიყვარულს, მეგობრობას, ამხანაგობას
ჰქონდეს მარადი გულისძგერა და გატაცება,
რომ ასე მძლავრად ამღელვაროს მასების ტრფობა,
ასე ასტეხოს შეძახილი და ტაშისცემა.

წითელი, მუქი, ალისფერი, ლურჯი და მწვანე
ცვივა და ცვივა ტრიპუნისკენ ვარდის კონები,
წითელ მოედნის ზედაპირზე, ვით ოკეანე—
მღელვარე რიტმით გუგუნებენ მილიონები.

გრიალებს კრემლი სიხარულის მქუხარე ხმებით,
ირგვლივ ჰაერი ბზინავს შუქით ატალღებული.
ამ ზეიმს გრძნობენ მთები, ზღვები და მხარეები,
ამ სიხარულს გრძნობს მთელ მსოფლიოს მშრომელთა გული.

ელავს დროშებად მოედანის ვრცელ ჰორიზონტზე
მასების ტრფობის, სიყვარულის, ძმობის ყვაილი,
კრემლის კედელთან მავზოლეის ბრწყინვალე ზოდზე,
მარმარილოზე რუხ მაზარით დგება სტალინი.



რამ შეგიცვალა შენ ასე ჩქარა
დღე—ტბის დუმულში ამოყვანილი!
ძველი დღეები ისე დამჟკნარა,
ვით ჩარჩენილი წიგნში ყვავილი.

შენთან გავზრდილვარ, მაგრამ ვერ ვიცან
მე შენი სევდა—ეს ტბის სუმბული...
და სიჩუქეში იყო შენი ცა
დარჩენილი და მიტოვებული.

მაგრამ ეხლა ხომ შრომას გოლიათს
შეურყევიხარ,—ცეცხლი ანთია!
დროშებს სიწითლე ამოყოლიათ,
როგორც შავი ზღვის ნისლში განთიადს.

ვერ დაგტოვებენ კოლხეთში უქმად
მღუმარებით და დარდით აკლებულს...
შენი გარდაქმნის სიმღერა უთქვამთ
შენს ჭაობებში დაბანაკებულთ.



შენს აყვავებას ვესწრები კიდევე,
კიდევე ვუცქერი გაზაფხულს შენსას,
მაგრამ სანამდე ბედი გაგვყრიდეს,
სანამ რტოები ყვავილს დაყრიდეს,
მინდა სიმღერა ლექსებად მკიდეს
შენდამი ტრფობას, გულში ნაშენსა.

ბავშობიდანვე, როცა არტახებს
მთრთოლვარე ხელით ახსნიდა დედა,
თვალებს ვაპყრობდი შენს ზეცის თალებს,
და თუ სიმღერა გულის კარს აღებს—
ოქროს სიტყვებად ის დაალაგებს
გაჩენის დღიდან რაც დამეგება.

რა ვქნა, რა რიგად, როგორ ჰანგებად
გადაგაფრქვიო ეს ტრფიალება!
შენთან წარსული არ მეკარგება,
რადგან დედის რძედ მაქვს შენარგები
შენი ბუნება ტურფად ნაგები,
შენი მთვარის და მზის ელვარება.

ჩემი ბავშობა, დავაუკაცება,
ხელში პირველი პურის ნატეხი,
პირველი რწმენა და გატაცება,
ცხოვრების გზაზე მწარე დაცემა,
ლექსით პირველი დაბარბაცება
და სიყვარულის პირველი მეხი!

მაგრამ დღეს სხვა ხარ, ჩემო ქალაქო,
და შენი სახეც გამოიცვალა.
გაზაფხულობის ტურფა ალაგო,
შენ სხვა ცხოვრება უნდა ააგო,
რომ მომავლისთვის გახდე სავარგო,
რომ საქართველოს გარდიქცე თვალად.

მე შენი ცქერით ვარ ბედნიერი
და აღტაცებით გული მევესება:
რომ გაქრა ძალი შენი ხნიერი,
რომ ვაქვს ახალი სახის იერი,
და მშენებლობის ბგერა ძლიერი
ჩემს ფიქრს და გრძნობას ეალერსება.

და როცა წლები დამათოვს თმაზე
და ვერცხლის სიმებს უხვად გააბამს
მე მოგონება მომგვრის სინაზეს
და შეილიშვილებს ჩემს ძველ ბინაზე.
ვუამბობ წარსულ შენ სილამაზეს,
როგორც შორეულ და ზღაპრულ ამბავს.

15/V—35 წ. ქუთაისი

მე ვიცი



1.

უკანასკნელ ახალ ამბავთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებო ქემზა ხვიბლანის დაღუპვა იყო. ამ უბედურმა შემთხვევამ საკმაოდ ააღელვა იფარის საზოგადოება, და პირველი სიტყვა, რომელიც მოედანზე შეკრებილმა ხალხმა წარმოთქვა—ეს იყო:

— შურისძიება!

ქემზას ოჯახი სამწუხარო გამონაკლისს შეადგენდა დანარჩენთა შორის; მისი რვა შვილიდან ხუთი ქალი იყო, სამი ვაჟი, ამათგან ორი კრეტინი, მხოლოდ, ყველაზე უმცროსი ვაჟი—დადამ ხვიბლანი, რომელსაც უკვე შეუსრულდა თვრამეტი წელი, ითვლებოდა ოჯახის და გვარის ერთადერთ იმედად.

უბედურება იყო აგრეთვე ისიც, რომ ხვიბლანებს მულახის საზოგადოების მცხოვრებ ქალდანის სისხლი ემართათ.

ქემზას დაღუპვის შესახებ დაწვრილებით არავინ აზარფერი იცოდა, მხოლოდ ამბის მომტანის სიტყვიდან დადაშმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ მამა, რომელიც ჯვარ-მესტიის გზის მშენებლობაზე მუშაობდა, კლდის აფეთქების დროს გაუფრთხილებლობის გამო დაიღუპა.

დადაშმა ამბის შეტყობისთანავე შეკაზმა ცხენი და ორიოდ მეზობლის თანხლებით იმ ადგილს მიაშურა, სადაც დაღუპული მამა ეგულებოდა. ის ექვობდა, რომ ქემზა აფეთქებისაგან დაიღუპა; დადაში დარწმუნებული იყო, რომ იგი შურისმაძიებელმა ქალდაანმა მოჰკლა.

მგორე დღეს ნაშუადღევს დადაშმა დანიშნულ ადგილს მიაღწია...

დადაშმა მიაშურა სახელდახელოდ აგებულ ქოხს, რომელიც სამმართველოს წარმოადგენდა. სამმართველოში მხოლოდ საქმეთა მმართველი და ორი სვანი დაუხვდა. დადაშის გამოჩენამ არაჩვეულებრივად იმოქმედა დამხედურებზე. დადაშის დანახვაზე ისინი ზეზე წამოიჭრენ. მაგრამ ვერავის ენის დაძვრა ვერ გაებედნა. დადაში საშინელი თვალებით შესცქეროდა საქმეთამმართველს... მზაგრობის დროს მისი სახე მტვერს შეემურა. ოფლის წვეთებს მტვერი აქა-იქ ჩამოერეცხა და ღარის მსგავსი კვლები დაეტოვებინა. არაჩვეულებრივად უელავდენ თვალები.

საქმეთამმართველმა უსიტყვოდ მიუთითა მაგიდის გვერდით მდგარ სკამზე. დაჯდომა სთხოვა.

დადაშმა კი მისკენ ნაბიჯი წადგა და დაბალი ხმით შეეკითხა:

— ქემზა ხვიბლანი მართლა დაიღუპა?!..

საქმეთამმართველს გული დაუშვიდდა.

— თქვენ მისი ნათესავი ხართ?!— მიმართა მან დადაშს.

— მითხარი, მართლა დაიღუპა თუ არა?— გაიმეორა დადაშმა.

საქმეთამმართველმა თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

ყველაფერი გასაგები იყო.

დადაში უღონოდ დაეშვა სკამზე. მაგიდაზე მულავი ჩამოვდა. მისი გარუჯული ხელის მტევანი დახეთქილ თითებიანად კანკალს ატანა. იგი კარგახანს სდუმდა. ქოხიც დუმილს მოეკვია; შემდეგ კი— ალბათ როცა სულეერ მღელვარებას დაეუფლა, თავაუღებლად ყრუ ხმით იკითხა:

— როგორ მოხდა?

— მხოლოდ ის გავიგე, რომ დაიღუპა— მეტი არაფერი!— აუხსნა საქმეთამმართველმა.

დადაში უმაღვე ზეზე წამოვდა და ქოხიდან გავიდა.

მამის მკერდგამოფლეთილი და მარცხენა მკლავმოგლეჯილი გვამი ფიქვის ტოტებით იყო შესუდრული. დადაშმა გადასწია ტოტები ისე, რომ მხოლოდ სახე და კისერი გამოუჩინა. მკედრის სახეს მშვიდი და ერთგვარი კმაყოფილების გამომეტყველი იერი შერჩენოდა; მხოლოდ კისერზე და ნაწილობრივ წვერზე მიმხმარმა სისხლმა ააღელვა შეილი. გარს შემოკრებილთა შეუმჩნეველად ხანჯალი გოჯის სიგრძეზე ამოსწია ქარქაშიდან და შემდეგ ისე „მაგრად“ და მძიმედ დააწვა ტარს, თითქოს ქარქაშის მაგივრად მტრის მკერდში ჩაყავსო...

სახელდახელოდ გაკეთებული საკაცეთი ორ დღეს მიასვენებდნენ იფარისაკენ მიცვალებულს.

ქემზას გვამი გამოსატირებლად ორ დღეს კიდევ სახლში ესვენა— და მხოლოდ მესამე დღეს დასძრეს სასაფლაოსკენ.

როცა ქემზა მიწას მიაბარეს, დადაში გამოეყო ხალხს, მივიდა მამის საფლავთან და თავდახრილი რამდენიმე ხანს ზედ უხმოდ დასცქეროდა, შემდეგ გაიმართა წელში, აღმართა თოფი და მარჯვენა ხელით გაისროლა ჰაერში.

ამით მან ფიცი დასდვა, რომ სისხლს აიღებდა.

ერთი კვირის შემდეგ მოხდა ის, რასაც სრულებით არ ელოდნენ გზის მშენებლობაზე. მუშების უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ შურისძიებით აფორიაქებული დადაში ნადირივით გაიქრებოდა სახლიდან და სადმე როდისმე ბოლოს მოუღებდა გზის მშენებლობის რომელიმე ხელმძღვანელ პირს. და თუ აქამდე შურისმაძიებელი შინ იჯდა, ამ გარემოებას ხსნიდნენ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მთავრობის მიერ ქემზას დასაფლავებისათვის გაცემულ ათას მანეთს დროებით შეიძლებოდა დაემშვიდებია იგი. ალბათ ერთერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ დადაში კომკავშირელად ითვლებოდა და მან ასე თუ ისე იცოდა ამის მნიშვნელობაც.

მოულოდნელი ამბავი კი ის იყო, რომ დადაში მშენებლობაზე გამოცხადდა და ითხოვა მამუშავეთო. იმ დღეს ინჟინერაც მშენებლობაზე იმყოფებოდა; ისე, რომ მას ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა დადაშთან პირადად საუბრისა.

ინჟინერს ცხადია, არ შეეძლო და არც უნდოდა მისი უარით გასტუმრება, იგი, პირიქით; ძალიან ცდილობდა დადაშის დამშვიდებას და დაკმაყოფილებას, თუმც ბოლოს ველარ მოითმინა და მაინც ჰკითხა— რისთვის მოვიდა იგი ნამდვილად.

— შურისძიებისათვის, ინჟენერო!—მშვიდად მიუგო დადაშმა. ინჟენერმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

სვანს გაეცინა.

— შენ ხომ მითხარი, ინჟენერო— აი, ის მთებია დამნაშავეო— შეიძლება მართლაც— ვცდი შებრძოლებას, იქნებ მოვერიო.

დადაშის გადაკრულმა ირონიულმა ტონმა ინჟენერი ჩააფიქრა.

— სვანია,— გაიფიქრა და შეწდევ მიუბრუნდა.

— ესე იგი?!

— ზე მთაზე ვიძიებ შურს, მე კომკავშირელი ვარ... მართალია, ქემზა უფრო გამოცდილი ამფეთქებელი იყო, მაგრამ... შეილმაც იცის მამის ხელობა და...

— და მიცვალებულს არ შეარცხვენს— დაუმატა ინჟენერმა.

2.

დადაში გაიტაცა მუშაობამ; რამდენიმე ასეული სვანი კლდიდან მთებს არღვევდა.

მახლობელ სოფლიდან, სადაც ინჟენერის ოჯახი ამყოფებოდა, სამუშაოების დასაოვალიერებლად და გასართობად, ხშირად ჰოდოდა ხოლმე ინჟენერის ქალიშვილი; უკანასკნელი მოსვლის დროს ინჟენერმა ქალიშვილი დადაშს გააცნო, და შემდეგ სთხოვა ლერიასთვის ეჩვენებია ახლო-მახლო მომხიბლავი გადასახადები.

დადაშმა სიამოვნებით მიიღო დავალება და დიდხანს გაკვირვებით ეკითხებოდა თავს— „ნუთუ შესაძლოა აღამიანი ასეთი გულკეთილი იყოსო“. ეს მე უნდა დავაფასო— ფიქრობდა დადაში. დადაში შორი-ახლოს მიჰყვებოდა ინჟენერის ქალიშვილს, რომელსაც ყველაფერი ხიბლავდა ირგვლივ. მას ისიც ხიბლავდა, რომ შურისმაძიებლის გვერდით იმყოფებოდა.

ხშირმა საუბარმა, ერთად ყოფნამ დაამეგობრა ისინი. ახალგაზრდა სვანი მოხიბლა ქალის სილამაზემ.

დადაშმა ერთხელ ხელი გაიშვირა მზეზე მიფიცებულ კლდის ზურგისაკენ. მან უამბო ლერის საინტერესო თავგადასავალი, რომელიც ჯიხვებზე ნადირობის დროს შეემთხვა. შემდეგ უჩვენა უფსკრული, რომელსაც შეუჩვეველი კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა.

როცა ლერი შინ დაბრუნდა, მამას უთხრა:

— კი, მაგრამ არც ისე საშიშია ეს სვანი, მამაჩემო!

მამას გაეცინა.

— ის შეიძლება მტერი არ იყოს— მაგრამ დაიხსომე, მტერი ყოველთვის არ არის საშიში გარეგნულად...

ინჟენერი თავისუფლად ელაპარაკებოდა დადაშს შურისძიების გეგმების შესახებ და ყოველთვის ერთნაირ პასუხს ლებულობდა დადაშისაგან:

— მთები ისევ ამაყად დგანან, ინჟენერო!...

დადაშმა სხვათა შორის საინტერესო ამბავი გაუმხილა ინჟენერს.

— აქვე, მშენებლობაზე ჩემი მოსისხლე მუშაობს—ყანსავ ქალდანი, ჩვენ მისი სისხლი გვმართებს, დიდხნის ამბავია, მაგრამ კიდევ იმდენივე ხანი რომ გავიდეს, იგი მაინც არ დაივიწყებს. ახლა მამა აღარ არის, ეს ძალიან უხარია, ალბათ, რადგან მიზანში მე ვეყოლები აქოლებული, ამ დროს თუ უტყვიდა. ჩემს შემდეგ ჩვენი ოჯახიდან სისხლის ამლები აღარავინ იქნება—ორი ძმა კიდევ მყავს, მაგრამ... ქემზას შვილებიდან დანარჩენი ქალებია... ერთი რამე კი გასაბოცარია—ყანსავი ძალიან გულგრილად იქცევა და თავის განზრახვის შესრულებას აგვიანებს, იქნებ ჩემი კომკავშირობა აბრკოლებს.

ინჟენერი სერიოზულად ჩააფიქრა ამ აღსარებამ.

„არ შეიძლებაოდა, რომ მოსისხლეს მოეწყო ქემზასთვის ის უბედურება?“ გაიფიქრა მან.

ინჟენერს მეტად სახიფათო საქმედ ეჩვენა თავისი აზრის გამჟღავნება, მაგრამ ბოლოს ვერ მოითმინა და გაკვრით მოახსენა დადაშს.

— იქნებ მოსისხლემ მოუწყო ქემზას ყველაფერი... საუკეთესო ამფეთქებელი დაილუბა და თან მშენებლობაზე ცუდი წარმოდგენა ჩაუნერგა ხალხს ამ შემთხვევამ...

დადაშმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. გაეცინა კიდევ.

— როგორ შეიძლება! ვინ ჩაუთვლის სისხლის აღებად ამფეთქების დროს კაცის დალუბვას? თვითონ უნდა მოკლას.

მაგრამ საუბრის თემა მალე შეცვალა ინჟენერმა, შეატყო, რომ დადაში მნიშვნელოვნად ჩააფიქრა მისმა ექვმა. უცებ შეეკითხა:

— ახალგაზრდა კაცი ხარ—რა გსურს ყველაზე უფრო?

— რა მსურს?!.. გაიკვირვა სვანმა—ძალიან ბევრი რამე!

— მაინც, განსაკუთრებით!

— გულახდილად გეტყვით: პირველი—შურისძიება, მეორე—ის თოფი თქვენ რომ დაგაქვთ ხოლმე, მესამე—შენი ქალი, რომელიც ერთი კვირის წინ გამაცანი...

— თუ მარჯვედ იქნები ყველაფერს შეისრულებ!—დააიმედა ინჟენერმა. დადაშმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

დასვენების დღეს დადაშმა თავის სოფელში წაიყვანა ინჟენერი. სტუმარს დიდის ამბით მიიღეს. ინჟენერი სავსებით დარწმუნდა, რომ სტუმართმოყვარეობა მართლაც იშვიათი სკოდნიათ სვანებს. მასპინძელი გადაჭარბებული ლაპარაკით თავს არ აბეზრებდა სტუმარს. რაც სათქმელი იყო და რაც საქმეს შეეხებოდა, მხოლოდ მას ეუბნებოდა. ინჟენერი იმ ღამეს დადაშთან დარჩა.

შუაღმოსავლეთის პირას გვიანობამდე საუბრობდა სტუმარ-მასპინძელი. საუბრის თემა შეეხებოდა დადაშის წასვლას სვანეთიდან, რადგან მას აუცილებელი საფრთხე მოელოდა. დადაშის მოკვლა კი ხვიბლანის ოჯახის დალუბვას უდრიდა.

ინჟენერმა დააიმედა დადაშის დედა; შეპირდა, რომ შეძლებისგვარად იზრუნებდა მის კეთილდღეობაზე; მოაწყობდა ტექნიკუმში და შემდეგ, თუ დადაში ისურვებდა, უმაღლესშიაც გაუკეთებდა საქმეს. ეს ამბავი თითქმის გადაწყდა.

წასვლის დრო ახლოვდებოდა. დადაშის ნაცნობი ინჟინერის მაგივრად მშენებლობაზე სხვა ინჟინერი დანიშნეს, რამაც გამგზავრება კიდევ უფრო დააჩქარა.

დასვენების წინ დადაში უკანასკნელად წავიდა, რათა მშობლებს და მამის საფლავს გამოსთხოვებოდა.

ერთერთი იმ სვანური ლამეთაგანი იყო, როცა ნაცადი მგზავრიც კი შიშით კანკალებს ყოველ ფეხის გადადგმაზე—ბილიკი ვიწროა—ხრამი კი მაღალი. ცა ზანზარებდა. დროგამოშვებით ელვა თავს ესხმოდა უკუპ სიბნელეს. ელვა-ქუხილს მალე წვიმაც დაერთო. სიარული თანდათან ძნელდებოდა, მაგრამ დადაშმა თავს ნება არ მისცა—ამ მიზეზით საფლავის მონახულება გადაედო.

დადაშმა უკანასკნელი გაელვების დროს ერთბაშად შენიშნა, რომ ასე ორმოცდაათიოდენ ნაბიჯის დაშორებით ვიღაც მგზავრი მიდიოდა სასაფლაოსაკენ. დაინტერესდა.

ვის უნდა მოსვლოდა აზრად ამ წარღვნის მსგავს ამინდში სასაფლაოზე გასეირნება. დადაშმა გაიფიქრა:

— ქურდი თუა—ალბათ ეკლესიის გატეხას, აპირებს!..

დადაში სიფრთხილით მიიკვლევდა გზას, ცდილობდა, რომ არც უცნობი დაკარგოდა თვალიდან და არც თითონ ყოფილიყო შემჩნეული.

სასაფლაოზე გუბეები იდგა. სადღაც, ხრამში გზანაპოვნი ნიაღვრის ხმაური ყურთასმენას ახშობდა. ყოველ გაელვებისთანავე დადაში მიწაზე წვეებოდა, ან თუ წინ მიმავალთან ახლოს იყო ბუჩქებს ეკვროდა.

უცნობი რამდენჯერმე ასცდა მის მხედველობას, რადგან ელვამ ძალიან დაიგვიანა, მაგრამ ბოლოს სულ განაპირა საფლავთან დაჩოქილს შეასწრო თვალი. შენიშნა, რომ უცნობს ხელში გრძელი ხანჯალი ეჭირა. დადაშის ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა. ის კაცი საქურდლად არ იყო მოსული.

უკუნი ლამეში მალე აღამიანის ხმაც გაისმა, დადაშმა მხოლოდ ორი „...ს...ს...“ გაიგონა და უმაღვე მიხვდა, რომ უცნობის მიერ წარმოთქმული სიტყვა „მოსისხლე“ უნდა ყოფილიყო.

დადაში ნამდვილ საგონებელში ჩავარდა. იგი უყოყმანოდ ჩაწვა გუბეში, ნახევრად აყირავებული საფლავის ლოდის გვერდით. როცა უცნობი ხუთიოდენ ნაბიჯით გაშორდა, ელვა კიდევ. დადაშს არ გაუჭირდა ზურგმოქცეული კაცის ცნობა...

— ის ქალდანია... ჩემი მოსისხლე!...

ძალიან ბევრი განსაცდელი უნახავს დადაშს, მაგრამ ასეთს შიშის მსგავს გრძნობას არასოდეს არ შეუპყრია. იგი მთელი ტანით კანკალებდა. ყველაზე უფრო დადაში ერთმა საშიშმა და საზარელმა წინათგრძნობამ შეიპყრო. ეს წინათგრძნობა მალე სინამდვილედ იქცეოდა, ოღონდ საჭირო იყო ათიოდენ წუთით მოთმინების შენარჩუნება და შემდეგ იმ საფლავის ნახვა, სადაც ქალდანი შეჩერდა.

დადაშის ნაგულისხმები მართლაც გამართლდა.

ქალდანის შვილის საფლავზე ჯოხი იყო დასობილი, რაც სისხლის ალებას ნიშნავდა...

დადაშს მხოლოდ ერთი სიტყვა აღმოხდა:

— მამა! — და იქვე ატალახებულ მიწაზე ჩაიკეცა.

მალე ირიჟრაჟა.

გულმობრუნებული დადაში წამოდგა, ტალახით გასვრილი სახე გაიწმინდა; საფლავზე დასობილ ჯოხს სწვდა, შუაზე გადატეხა, ისე, რომ ნატეხები ერთმანეთისთვის არ დაუშორებია და კვლავ საფლავის შუაგულზე, თავის ალაგას დაასო...

„მოვიდეს, ნახოს და მიხედეს“ — გაიფიქრა დადაშმა.

დიდხანს ებრძოდა იგი საკუთარ თავს. როგორ უნდა მოქცეულიყო? რისი ღირსი იყო ქალდანი, რომელმაც ასე ქურდულად მოუღო ბოლო კლდის საუკეთესო ამუფთქებელს, მის საყვარელ მამას. საკუთარი ხელით ანგარიშის გასწორება ყველაზე ადვილი საქმე იყო, მაგრამ ეს არ აინტერესებდა დადაშს, მას უფრო მეტი უნდოდა — თანაც ამგვარი მოქმედება არც მის კომკავშირელობას შეეფერებოდა. „აჯობებს ქალდანი ხალხში შერცხვეს... ყველამ გაიგოს... ხალხის წინ დავახრჩობ და ვათქვივინებ, რომ დიაცურად მოკლა ქემზა ხეიბლანი — ეს უფრო უკეთესი იქნება... შემდეგ კი... ცოცხლად დაიტანჯოს... ის ყველაფერის ღირსია.“


დადაშის ჩვენების თანახმად ქალდანი გზის მშენებლობაზე დააპატიმრა მილიციამ... დადაშის და ინჟინერის წასვლა დროებით გადაიდო.

5.

ყანსავ ქალდანის საქმე მალე გაიჩა ადგილობრივ. მას გაუხსენეს ძველ ცოდვებიც. ყანსავიც გამოტყდა. მან დაწვრილებით უამბო სასამართლოს თავისი ბოროტმოქმედება... გამოირკვა, რომ როცა ქემზამ ლალუმების ჩალაგება და პატრუქებისთვის ცეცხლის მოკიდება დაასრულა, ზემოთ, კლდის ნაპრალში ჩასათრებულმა ყანსავმა ლოდი გადმოაგდო, რომელმაც ფეხის წვივები გადაუმსხვრია ქემზას... იგი დიდხანს ბლაოდა თურმე უმწეოდ და შველას ითხოვდა, მაგრამ ახლოს მისვლა და შველა არავის შეეძლო, რადგან ნაღმების აფეთქებას ყოველ წუთში ელოდენ... ლოდის გადმოგდება ყანსავის მიერ, როგორც ეტყობოდა, არავის შეუნიშნავს.

ქალდანს ათი წელიწადი გადაუწყვიტეს.

დადაში მეორე დღესვე გაემგზავრა ინჟინერთან ერთად, რათა გარდაწყვეტილებისამებრ სწავლას შესდგომოდა.



1

შებინდებისას მოვიდა ცნობა
წისქვილში ეთქვათ მეზობელ კაცებს,
შეიქნა მოთქმა, ცხოვრების გმობა,
და შესახვედრად ჩვენს შარას გასცდენ.

რა გულდამწველად ჰკიოდა დედა,
მოსთქვამდა მწარედ ხელების გაშლით,
კივილი იყო და აღარ შედგა
მგლოვიარება ჯომრების სახლში.

დები და რძლები ფარდაგზე ისხდენ,
სდიოდათ ცრემლი ძალღონე-დაცლილთ.
საკაცით თოვლში მოჰქონდათ ბიჭებს
ფეხებდაქრილი ყმაწვილი კაცი.

და ყმაწვილკაცთა წყება ახალი
ელოდა მეტსაც ფრონტებზე ხვალზეგ.
იმ ღამეს მძიმედ სადღაც არღანი
ჭირვეულობდა გოცამის ხმაზე...

მას თვით ენახა საზღვრების რკალი,
ენახა უცხო ქვეყნების კიდე...
ცოცხალი იყო, მოსთქვამდენ მაინც,
გულდათუთქული ჰკიოდენ კიდევე.

ჯომრების სახლში წამებულ სახით
მეზობლის გოგო სტიროდა მწარედ.
საექვოდ ზვინთან ყმუოდა ძალღიჯ,
პატარა ფშანშიც ჩაეშვა მთწარე.

შემოდგომაზე ყვითელი ფიფქის
 შუქი დაეკრა ბუნების ნაწილს...
 ხელებზე ფორთხვით წამოჯდა თითქმის
 ფეხებმოჭრილი ყმაწვილი კაცი.

ხე ყვითლდებოდა წახრილ მესერთან,
 და გულიც ასე ჭკნებოდა ალბათ,
 ეზოში მოზვერს უალერსებდა
 რქაწატეხილი ბებერი წაბლა.

ალერსი სჩანდა მგელიკას ხმაში,
 მოტეხილიყო, ყოველთვის მკაცრი,
 მხოლოდ ის ერთი ჯომრების გვარში
 დარჩენილიყო გამრჯელი კაცი.

ეზოკარს მაინც ყოველი მხრიდან
 მისი ნაცადი იერი ახლდა...
 შემოჭრიალდა ურემი მშვიდად
 და შეაყენეს ჭადრებ-ქვეშ, სახლთან.

ბლაოდა შორით სოფლის ნაბირი,
 ბინდს ჩაჰხვეოდა ფიცრული ოდა,
 და სამეგრელოს მზე გადახრილი
 ულონოდ სხივებს აფენდა სოფლად.

დღე იყო უხვი, ბარაქიანი,
 წაეიდა თითქო ჩვეულზე გვიან!
 და გოგოების თვალთა ცქრიალი
 მოჰქონდა ბინდის უსუსურ ნიავს...

და როცა ლაძე ჩამოჰყვა ხშირ ბინდს,
 ჯალაბი იჯდა ურემთან,—გარეთ.
 კალოზე დინჯად არჩევდენ სიმინდს
 და ცაზე მშვიდად ეკიდა მთვარე.

უსმენდა მამას ფრონტელი ბიჭი,
 და დაეხარა სიმწარით თავი...
 ძირს კი ეყარა კიდურებმიჭრილ—
 მწიფე ტაროთა ყვითელი ხეავი.

—რა ვუყოთ, შვილო, თუ ჩვენი ბელი
დაწესებულა იმ თავით ღვთისგან,
ოთხნი ვიყავით, ძაღლონეს ვლევდით
და სახლშიც ცოტა ბარაქა იდგა.

ძმები არ შეგრჩია... ცოდო ხარ უქმად.
ხარაზს მოუდექ შეგირდად გვერდზე.
ხვალზეგ თითონვე გაალებ ღუქანს
და ოჯახს კიდევ რაიმეს შესძენ!!!

შეწუხდა ბიჭი. დადუმდა ერთხან,
შესწყვიტა წუთით სიმინდის სინჯვა,
საღლაც იკივლა მამალმა კენტად
და დედა ჩუმად იწერდა პირჯვარს...

შემოდგომაზე ყვითელი ფიფქის
შუქი დაეკრა ბუნების ნაწილს,
იმ დღეს პირველად წამოდგა თითქმის
ფეხებმიჭრილი ყმაწვილი კაცი.

და იყო ღამე ვაება-ოხვრის,
სხეულში ერთობ ეტკინა რალაც,
მთვარის ჩასვლისას წამოდგა ფორთხვით
და დილით სახლში ვერავინ ნახა...

3.

იმ დღეს კი ბიჭებს, სირბილით დაღლილთ,
წინ აუფრინდათ იხვეების გუნდი...
ცხენისწყლის პირად ყმუოდა ძაღლი
და ფშანში ნახეს სალდათის ქული.

და ყმაწვილკაცთა წყება ახალი,
ელოდა ამ ბედს ფრონტებზე ხვალზეგ.
და იმ ღამესაც სოფლად არღანი—
ჭირვეულობდა გოცაძის ხმაზე...



მწერალთა სასახლეში ჰანრი ბარბიუსის
ხსოვნის საღამოზე წაკითხული.

მოქანცულ ფრინველს ჰგავს ბედი მისი,
ფრთაჩამოხეულს ჯანლების რკალში.
ყვილით გასკრა ღამე და ნისლი,
სურდა სიმწვანე და გარიჟრაჟი.

ბოლოს მიაგნო ზაფხული მოძმე,
იქუხა დილამ ჩანჩქერის ხმებად,
და მოკვდა... როგორც სანატრელ შტოზე
გულმოქანცული ფრინველი კვდება.

ორი სამშობლო, ორი ზღვის ღელვა
გულში უფეთქდა დიდ მეგრძოლს ჰანრის;
ერთ სამშობლოში ცა ცისკრით ელავს
და წარსულიდან ღმუიან ქარნი.

ქარს მოაქვს ხსოვნა, ვით ბნელი ღამე,
განათებული ნაცრისფერ მთვარით,
სადაც ჯერ კიდევ თვალს ახამხამებს
რობესპიერის მოჭრილი თავი.

სადაც ჯერ კიდევ სისხლი სდის მარატს,
გაფითრებული სდგას მკერდში დანით...
და დიდ გმირობას ხურავდენ წყნარად
მტკრით დაფარული წიგნების ყდანი...

მეორეში კი, ხანი სიადრის
გადაგრიალდა ნისლებგაშლილი.
შუქთა წინწკლებით სჩქეფს ვანთიადი
და სიმალლიდან ჰქუხს ჯულაშვილი.

აქლერებული განცდების გზნებით
აქ ყოველ ქობში ხალისი უკრავს...
და მტკიცე ხელით მოხაზავს ბრძენი
მშვიდობისა და ბრძოლების რუქას.

ჰო და გვესტუმრა ზაფხულის მოძმე,
ქვეყანაც შეეხვდით მხიარულ ხმებად,
და მოკვდა, როგორც სანატრელ შტოზე,
გულმოქანცული ფრინველი კვდება.

თითქოს დაისი ჩამოწვა ბნელი,
ჰაერში ბინდი სევდად იმღვრევა.
წყნარად... ჩვენ წინ ძევს სიკვდილის ხელით
დაღუმებული ერთი სიმღერა.

ის ჩვენს ზაფხულზე სიმღერა იყო,
ის იმ სამშობლოს სიმღერას შესცვლის.
წუთით შეჩერდა, მაგრამ იგი ხომ
არის გამთბარი პოეტის ცეცხლით.

ის ყველგან მღერის—ჰანგებად შლილი,
შორს გაფანტული მზის ჩუხჩუხივით...
დე სამარისკენ წაიღონ ჩრდილი,
ჩვენ მისი დაგვრჩა სიტყვის ქუხილი.



ნაწილი მესამე *)

პირველი თავი

I

გავიდა ერთი წელიწადი.

მკედლიძემ გათალა ფანდური. საღამოობით ოთახში ბიჭები იყრიდნ თავს, მკედლიძე თითებს ლარზე ჩამოკრავდა, წვრილი გასანთლული სიმები ტკბილ ჟღარუნს იწყებდენ, და ალექსიცი სიმღერას დასძახებდა. ის რომ მღეროდა, ფანდურის ხმა არც კი ისმოდა. ხოლო ალექსი რომ შეისვენებდა, მაშინ თითები უცნაურ ფიგურებს აკეთებდენ და ჩონგური რალაცნაირად თვალის წამლებად, დაძაბუნებულად ქვითინებდა.

ალექსი სიმღერას წამოიწყებდა, ბიჭები ბანს აქუხებდენ, ბუხარში საფუძვლიანად გამომშრალი რცხილის შეშა კი მადიანად იწოდა და ტკაცანებდა.

რა სამაგალითოდ გავდა ამ ბიჭების წარსული ცხოვრება ალექსის წარსულს.

სათითაოდ თითქოს ერთი დედ-მამის შვილნი ყოფილიყვნენ, მათ ერთნაირი უკულმართი გზა გამოევლოთ. უჩინარმა ხელმა ეს გუშინდელი გლებები საოცრად გადააბა და დაუკავშირა ელექტროფიკაციის საქმეებს და ამიერიდან მათი ცხოვრება და მომავალი მთლიანად სურამზე იყო დამოკიდებული, არც ერთ მათგანს აქედან ფეხის მონაცვლება აღარ შეეძლო.

ისინი ხმაშეწყობილად მღეროდნენ, როგორც საველე იერიშზე მიმავალი ჯარისკაცები, და ეს საბარგო ვაგონის ნათურასავით მბეჭუტავი ორმოცდაათსანთლიანი ელექტროლამფა მკედლიძის შუა ოთახში ენთო და იწოდა.

ბუხარი ათბობდა ოთახს და ჰაერში თავისებურ სუნს აყენებდა. აბაჟურიანი ლამფა იქაურობას უნიათო სხივებს ჰფენდა, ხოლო ალექსი საჩვენებელთითს ფანდურზე აფხატუნებდა და ასე მიდიოდა ღამე.

*) გაგრძელება, იხ. ჟურნ. „ჩვენი თაობა“ № 1.

დღით მაინცდამაინც საქმე აღარ ჰქონდათ, მოლითსა და ზესტაფონში ოც-ოცი კაცი ჰყავდათ წვრილმან სამუშაოებზე მიჩენილი. ხაშურში, სადაც მებარმატურები ურახუნებდნენ ჩაქუჩს, დახურულ ქვესადგურების ოთახებისათვის ლითონის ჩონჩხებს ამზადებდნენ, სადაც გრუხუნით ცლიდნენ ვაგონებს, სადაც ქვებს აპობდნენ და ქვიშასა და კირს ზელავდნენ... მუშაობა ბოგინობდა...

აქ ბიჭებს ხელი არ მიუწვდებოდა. დადიოდა ყოველგვარი ჭორი. ჯერ ხმა დაარხიეს ბესარიონი უკვე დააპატიმრესო, შემდეგ ახალი ცნობა მრვიდა— არა, კი არ დაუპატიმრებიათ, პარტიიდან გარიცხესო, ვინაიდან თავისი სახლი თურმე სახელმწიფო ფულით და მშენებლობიდან წაღებული მასალებით აუშენებიაო. თვითონ ბესარიონი აღარსად ჩანდა, ის, ალბათ, სად არ დადიოდა, რომ საქმე როგორმე შემოეტრიალებია.

მთელი ელექტროფიკაციის სამუშაოები დაემსგავსა იმ ნახევრადშერუჯულ მუგუზალს, რომელსაც წყლით გააქრობენ და არც შეშაა, არც ნაცარი.

— აა! ეს არ არის სასიამოვნო!— წრიალებდა გახარებული იოსებ ბაბუციძე, რომელიც ახლა აქ ბესარიონის მაგიერ ხელმძღვანელობდა შეჩერებულ მშენებლობას. ზებო ინაიჩი დილიდან საღამომდე მთვრალი დაბანდალობდა.

გურჯიშვილს მაინც არაფერი შეუცვლია. წესი რომ არ დარღვეულიყო, ყოველ თვეში ერთხელ ისევდაისევ ისმენდა ზებოს მოხსენებას, ისევ გამოყოფდა ბრიგადებს და გამორკვევებზე აგზავნიდა. შესრულდა თუ არა ის მაინც, რაც გეგმაში ჰქონდათ გათვალისწინებული? რატომ კეთდება ცუდი ხარისხის სადღილი? იოსებ ბაბუციძე რად დაიარება ხშირ მივლინებებში? არის თუ არა საჭირო მოვხსნათ ზებო?

აწეწილი საქმეების წესრიგში მოყვანა გურჯიშვილის ძალღონეს აღემატებოდა. ის ჰგავდა იმ უმწეო მეჯვრეს, რომელსაც პირუტყვი ათას სხვადასხვა ბილიკზე გაეფანტა და ხან აქეთ აწყდებდა, ხან იქით.

და ბოლოს გურჯიშვილი შეიპყრო მისთვის უჩვეულო გულგატეხილობამ და საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ რაიკომის ბიუროზე, როდესაც მას ვილაც გამომრკვევმა ბრიგადირმა უსაყვედურა ძალზე სუსტი მუშაობა, გაცეცხლებულმა ლაღუამ დაიყვირა:

— არ მინდა, გამათავისუფლეთ იქიდან, ან მეც გამრიცხეთ პარტიიდან, როგორც ვინდათ! მე იქ არ ვიმუშავებ, დამაბრუნეთ დეპოში, ორთქლმავალზე უნდა წავიდეთ!— გურჯიშვილი მთელი ტანით კანკალებდა, ყვიროდა. დააწყნარეს და ისევ გული მოუბრუნეს.

ლობჯანიძისაგან კი არაფერი ამბავი ისმოდა. ჩამოდიოდნენ კომისიები, ბრიგადები, აწარმოებდნენ გამორკვევას და შემდეგ გაზეთებში იბეჭდებოდა მამხილებელი კორესპონდენციები. გაზეთი „კომუნისტი“ მიუთითებდა, რომ სურამზე თავი მოიყარეს არამზადებმა, რომ იქ გარღვევაა.

მეშინებმა ელექტროფიკაცია ჩათვალეს დაუმთავრებელ, მკვდარ სამუშაოდ, რომელიც მოიგონეს და შეთხზეს მავნებლებმა და ხალხის მტრებმა.

უკვე დანამდვილებით ლაპარაკობდნენ იმ დღისა და რიცხვის შესახებ, როდესაც მოხდებოდა ამ საქმის მომწყობის გასამართლება, საჯაროდ შეჩვენება, ამიტომ დარუ სირცხვილით აღარ გამოდიოდა კარში...

მკედლიძე კიდევ მეტად იტანჯებოდა, უმთავრესად საშინელი იპვისაგან, ვაი, თუ მართლა ყველაფერი ჩამკვდარიყო და თავის საცხოვრებელიდან გამოეხსლებიათ:

— არა, ოთახს მაინც ხომ შემანარჩუნებენ!..— იმედებდა ის გულს და იგონებდა ლობჯანიძის დარდიმანდულ საქციელს, კაჟივით მაგარ სიტყვას და სიმტკიცეს და თვითონაც გულზე იმედის ნათელი ეფინებოდა.

გადიოდა დრო და სასიკეთო არაფერი ისმოდა.

შემდეგ თვითონ ლობჯანიძეც ჩამოვიდა ერთი დღით. ხაშურს ის ძალზე გატეხილი მოეჩვენა, არავითარ პასუხს შეკითხვებზე არ იძლეოდა.

— დაიცადეთ, დაიცადეთ, აგერ ვნახოთ!— იმეორებდა ერთსადაიმავეს და სრულიად მოულოდნელად ისევ ტფილისში გაემგზავრა.

— ყველაფერი კოლექტიამ გააოხრა!— გადაქრით ამტკიცებდა ალექსი მკედლიძე, ნატკენ თავზე ხელს წაისვამდა და ქალაქიდან მოვლენილს ღვარძლით იგონებდა.

ისინი არ გრძნობდნენ ამას, რომ აქ კოლექტივი არაფერ შუაში იყო. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ახალი პირობები, ხოლო ადამიანებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სურამს, ვეღარ შეძლეს ახლებურად მუშაობა, თავიდათავი ეს იყო. ისინი წლობით დაეჩვიენ მუშახელის თვითდინებით შეგროვებას... გლებებიც თვითონ მოდიოდნენ და იხვეწებოდნენ... აღარც კი წარმოედგინათ, რომ შეიძლება იქით ეწვიო გლებს სახლში და შეეხვეწო, მოიპატიჟო და პირობაც დაუდო, რომ არ მოგატყუოს.

ეს საიდუმლოც ჯერ კიდევ გაუხსნელი იყო, და აი ახალი პირობების შექმნის პირველ დღესვე ბესარიონ ლობჯანიძემ მას ფეხი წაჰკრა და წაიფორხილა. ყველაფერი ეს მოხდა თუ არა, გასაჭირს გასაჭირი დაემატა, ბუდაგოვმაც და ბაბუციძემაც გამოჰყვეს ხელი, და ხიფათი აუცილებელი შეიქმნა.

რაკი სურამის სამუშაოებმა გახაფხულზე თავიდანვე ვერ აითვისეს სახელმწიფო ბანკის კრედიტები, შემდეგ ბანკი ამ მდგომარეობას შეეჩვია და ახლა არც ერთ კაპეიკს არ იძლეოდა, ამიტომ გაქიანურდა ხელფასის დარიგების საქმე.

აგრეთვე მუშათა მომარაგების რაიონულმა განყოფილებამ სურამი ომარაგებიდან მოხსნა და ჯერი ზებო ინაიჩის სასადილოს დახურვაზე მიდგა.

მუშებისათვის გამოგზავნილი სპექტანსაცმელები და ფართლელი რკინის გზის და მშენებლობის საწყობებში ელაგა. საქონელი და სურსათი ჩაწვა.

მილიონის სურსათ-სანოვაგემ მოიყარა თავი საწყობებში, სადგურის ლიანდაგებზე მოხვავდა გადმოუტლელი ვაგონები, რომლებიც დღეობით იდგნენ ჩიხში.

ჯერ კანტიკუნტად დაიკარგა რამდენიმე ტომარა ფქვილი, ფეხსაცმელი, ფართლელი, შემდეგ ხაშურში, ნავთლულში, ბაქოში, დერბენტში და ხარკოვ-

ში სწორედ სურამის ვაგონები შეარჩიეს მატარებლების უგრძეს შემადგენლობაში და გაცარცვეს, შემდეგ კი ქურდობა უფროდაუფრო მოხშირდა.

ეს პირველად ბესარიონ ლობჯანიძეს შემთხვევით ამაზდ მოეჩვენა, მაგრამ რომ დაუკვირდა საქმის ვითარებას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქურდებს ვიღაც აწვდიდა სურამის ვაგონების ნომრებს...

ამ იჭვით დააპატიმრებინა მომარაგების განყოფილებების მომუშავეები, რკინისგზის სადგურის აგენტები, მაგრამ ამან საქმეს სრულებითაც არ უშველა,

ხან გადასარბენზე, ხან პატარა ასაქცევებზე, ხან დიდ სადგურებზე სურამის ზოგიერთი ვაგონები გამოცარიელდა. გარდა მცირეწლოვან უპატრონო ბავშვებისა, ქურდობის ადგილას ველარაგინ დააპატიმრეს... რკინისგზის დაცვის მთელი აპარატი ფეხზე დადგა.

— ბატონო, თვითონ რკინისგზელები ჩადიან ამას!—ამტკიცებდა იოსებ ბაბუციძე, და ამას ყველაფერში გამოცდილი, ქვეყნის მნახველი და მცოდნე ზებო ინაიჩიუ უდასტურებდა.

ახლა მუშებისათვის გაცილებით უკეთესი პირობები იყო გომის სპირტის ქარხანაში, ბორჯომის შუშის წარმოებაში, აგარის კომბინატში, სურამის კირის ქარხნებში და ზესტაფონის ფეროგიგანტის მშენებლობაზე სააღმშენებლოზე. ეს საწარმოები სურამთან ახლოს მდებარეობენ, და ელოქტროფიკაციის საქმეებზე შერჩენილ თითო-ოროლა მუშისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა იქ გადასვლა, მით უფრო, რომ თვითიული მათგანი განიცდიდა მუშაბელის სიმცირეს.

ასეც ხდებოდა. უკანასკნელ ხანებში მუშებს თითქმის ყოველდღე მოჰქონდათ განცხადებები განთავისუფლების შესახებ, და რაკი ბაბუციძე ამაზე უარს ეუბნებოდა, ისინი სამუშაოს თვითნებურად ტოვებდნენ და თავიანთ გზაზე მიდიოდნენ.

— ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ღალატი!..

ეწეოდა აგიტაციას ბაბუციძე.

— ეს სამშობლოს ღალატი!—უმატებდა გაციცხლებული ზებო.

— როგორ, ზებო, შენ გიყვარს სამშობლო და ჩვენ არა, ხომ!...—აწყნარებდნენ ყოფილ ვაჭარს მუშები; მჭედლიძე მიიწევდა მათ საცემრათ, ხოლო გურჯიშვილი ამ საკითხს უჯრედზე იხილავდა, საქმეს კი მაინც აღარაფერი შეელოდა.

ზესტაფონის სამუშაოები მაინც სულ გაცალიერდა: ფეროგიგანტის სააღმშენებლოზე მოეწყენ, ასე მოხდა შოლითშიც. ხოლო ხაშურს შერჩა ასამდე კაცი, რომელთაც ცოტაოდენი ხელობა ესწავლათ სურამზე და ან აქედან წასვლა აღარ შეეძლოთ. გურჯიშვილმა მათ უღელტეხილის მუშები შეარქვა. აქ რამდენიმე მონტიორი და ზეინკალი, კალატოზი და ქვისმთლელი, დურგალი და მეარმატურე გამოიზარდა. ისინი ყველაფერში ალექსი მჭედლიძეს ჰგვანდნენ, ხითქოს ერთი ძუძუ ეწოვათ და ერთ საბნის ქვეშ გამოზრდილიყვნენ. ეს ხალხი გამოირჩა და დაწინაურდა აქაურ გლეხებიდან, რომლებიც სურამში ათასობით მუშაობდნენ; ესენი დაწინაურდნენ, ხოლო დანარჩენები ისევ სოფლებში

ბრუნდებოდნენ. ზოგს ძალად ერეკებოდნენ მშენებლობიდან, ზოგიც სხვა სამუშაოებზე გადავიდა. აგარაში შაქრის ახალი ქარხანა შენდებოდა, სურამში კირის ქარხანას აფართოვებდნენ, რკინისგზაზე დამატებითი ლიანდაგები გაჰყავდათ, სოფლებში გიგანტი საბჭოთა მეურნეობები ეწყობოდა და აქაც ხალხი აკლდათ, მაგრამ ეს ასამდე კაცი უკვე სურამის საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც ველარაინ შეეხებოდა და შეედავებოდა. ესენი საჭიროების დროს ზოლოატორებს კიდებდნენ და ზედ სპილენძის მავთულს აქსოვდნენ, საჭიროების დროს ქვისმთლელებად, მეარჩატურეებად, კალატოზებად, ზეინკლებად და შავ მუშებადაც ვარგოდნენ.

ამ ასეულში ერთი მჭედლიძეც, მაგრამ ალექსი მარტო არასოდეს ყოფილა, მას თავისი განუყრელი ამხანაგები და თანამებრძოლები ჰყავდა: წითური, ხმელი, თავდაბალი კალატოზი იმერელი იამანიძე, რომლის ბრიგადაშიაც კალატოზების კურსებახლადამთავრებული ბიჭები იყრიდნენ თავს, მათ არასოდეს გაცდენა არ ჰქონდათ, მუშაობდნენ ხაშურში ქვესადგურის მშენებლობაზე, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ და 25 ოქტომბერს მუშათა შეკრებაზე ელექტროფიკაციის ბიუროს გარდამავალი დროშა მიიღეს. ამით იოსებ ბაბუციძეს თავი მოჰქონდა.

დაუღალავი იყო ოქრო გოგოლაძე, რომელსაც ღამე ძილს არ აცლიდნენ: ქვესადგურის მშენებლობაზე ხალხი არ ყოფნიდათ, ლობჯანიძე ღამე შევიდოდა კლუბში, მიუჯდებოდა ოქროს და ალვიძებდა:

— ოქრო, ოქრო, ოქრო! თვალი გაახილე, კაცო! — შემდეგ აუხსნიდა ქვესადგურებზე შექმნილ დგომარეობას. ოქრო თავის ბრიგადას ფეხზე წამოყრიდა და სამუშაოდ გამოდიოდა.

მეარმატურეები კიკნაძე და არლუნაშვილი კაცმა არ იცოდა რომელ საათებში ისვენებდნენ. ისინი დღელამის განმავლობაში არმატურისათვის ხარისხოვან რკინებს სჭრიდნენ.

მაქსიმე კორკოტაძემ სახელი გაითქვა იმით, რომ ანძის ამწევი დაზგა გამოიგონა და სამუშაოებს 20,000 მანეთის ეკონომია მისცა.

მთავარი გადაწყვეტილება ხაზის სამუშაოებიდან უნიჭიერესმა ინჟინერმა შურა მიქაბერიძემ შეუცვლელი მონტიორები გამოზარდა. ესენი იყვნენ: სამსონ ნოზაძე, მიშა ნადირაშვილი, ნიკო თაბუკაშვილი და ასე მთელი ასეული, რომელთაგან თუ ერთს იტყვი, დანარჩენებიც უჩქველად უნდა ახსენო. ლობჯანიძეს ესენი მიაჩნდა „საკუთარ მუშებად“ და ყოველ ჩამორჩენაში მაგათი იმედი ჰქონდა,

ამათ ემატებოდა საუკეთესო ინჟინრები, რომელნიც მშენებლობამ გამოზარდა.

ამათში ყველაზე წინ იდგა ინჟინერი სერგო კოტჩენკო. გადამწყვეტი ხაზის სამუშაოებიდან წამოიზარდა ის. კოტჩენკოს ბესარიონზე ნაკლებ არ იცნობდნენ სურამში. დაბალი, ყვითელი, ხელოვნურად ჩადგმულა წინა კბილები. კოტჩენკო მუშებში იმდენად თავისიანი გახდა, რომ ექვსი თვის შემდეგ ქართულად აკეთებდა მოხსენებებს და ქართულ პერიოდულ პრესაში ვეებერთელა საქმიან კორესპონდენციებს ათავსებდა. შემდეგ კოტჩენკო თანდათან წამოიწია და ბოლოს ლობჯანიძის თანამემწეობამდე მიაღწია.

ინჟინერი შურა მიქაბერიძე რიგრიგობით ყველა სამუშაოების წამომწყებად ითვლებოდა. ის სპეციალობით ელექტრიკოსი გახლავთ, მაგრამ საჭიროებისამებრ მშენებლადც ვარგოდა, უკანასკნელად კი საკონტაქტო ხაზის ანძების დადგმების სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. შეხედულებით ის კოტჩენკოს აღარ ჰგავდა. წითური, საშუალო ტანის, კრელთვალა და უაღრესად კეთილშობილი.

ცნობილი ნიველირისტი, ოსტატი, მექანიკოსი ამხანაგი შირინი, რომელმაც შემდეგ გორში მშენებლობის საქმეები ისე დააყენა, რომ ლენინგრადიდან გამოკვლევებზე ჩამოსულმა ამხანაგებმა განაცხადეს: ამხანაგ შირინს ნამდვილი სოციალიზმი აქვს განხორციელებულიო.

საუკეთესო გამომგონებელი ლოხვიცკი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ატარებდა სამუშაოთა მექანიზაციას, თავის გამოგონებათა მიხედვით.

ინჟინერი ჩიქოვანი უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს, მაგრამ ახლა საკონტაქტო ქსელის მავთულებზე ისე დახტოდა, თითქოს ცირკის ჯამბაზი ყოფილიყო; მისი თანამებრძოლი გახლდათ ინჟინერი ჭანკოტაძე.

დასასრულ ხაშურში იყო იოსებ ბაბუციძე და მისი თანაშემწე გალინა. ლობჯანიძის თვალში იოსები უდიდესი ნდობით სარგებლობდა, და საქმის ეს უაღრესი სპეციალისტი ელექტრიკოსი თავის მარჯვენა ხელს ერჩია.

ყველა ამათ ძალას ლობჯანიძე განიცდიდა. მათი სისხლი თითქოს საკუთარ ძარღვში შეემატა. ბესარიონს ეგონა თითქოს გრძნობდა მათ სუნთქვას, გულისცემას, წადილს და აზრს, რომელიც მათ ოცნებას აწვალებდა:

— ისინი მაინც უნდა შევინარჩუნოთ, ჩვენს ბიჭებს ველარსად გავუშვებთ!— გადაჭრით თქვა უკანასკნელად ლობჯანიძემ, როდესაც ტფილისში მიდიოდა, და ალექსი მჭედლიძეს უნებურად ცხარე ცრემლები მოადგა თვალებზე.

— არა, ამათ სად წაესვლებათ!— უპასუხა ალექსიმ და თავისი ოსტატი დააიმიდა.

ეს მუშები მართლაც არსად წასულან...

ასე განვლო ერთმა წელიწადმა...

გურჯიშვილი ისევ განუწყვეტლივ იწვევდა კრებებს, რალაც დიდ საქმეს ამზადებდა, და ხმამ გამოიჟონა: ჩქარა ქურდებს აღგვიანო. უჯრედი რომ იკრიბებოდა, უკვე ბაბუციძის სახლში აღარ ეტეოდენ, ამიტომ კრება სასადილოში იმართებოდა. გურჯიშვილი მიუჯდებოდა მაგიდას და იდაყვზე დაყრდნობილი ისმენდა გამომრკვევი ბრივადების მოხსენებებს, ზებო ინაიჩის საცოდაობას და ბაბუციძის ქედმაღლობას, გალინას ქალურ, აკანკალებულ, რალაცნაირად დაძაბუნებულ რეპლიკებს და კამათში გამოსულ მუშების აშფოთებას. გურჯიშვილი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა: სრულიად მოუღრეკელი და ბოლომდის სასტიკი იყო.

ამ კაცს აწუხებდა ის მდგომარეობა, რომ აგერ რამდენი ხანია სურამის საქმეებში ჩაერია, და საქმეები ისე მოეწყო, რომ საგულისხმო ვერაფერი გააკეთა, მაგრამ ის რალაც გარდამწყვეტს ელოდებოდა მოწყურებული და ლობჯანიძისაგან გავონილ სარტყებს იმეორებდა:

— მოიცადეთ, მოიცადეთ!.. საქმე გამოირკვევა!..— ყველაზე მეტად კი თვითონ არ უნდოდა მოცდა.

სურამის ქარხნები კირს აგვიანებდნენ, ხარაგოულის კარიერიდან კვირაში ერთხელ მოდიოდა დეპეშა, რომ სურამი ჯერჯერობით ველარ მიიღებს საალმშენებლო ქვას, ქობულეთის ბარიერის სილით და ხრეშით დატვირთული თითო-ოროლა ვაგონები სადღაც უღელტეხილზე იჭედებოდნენ, ან რიონჰესის მშენებლობის თავზეხელაღებული ბიჭები მათ სადგურ რიონში იჭერდნენ და დაუკითხავად ცლიდნენ. ან რა საჭირო იყო ხაშურში კირი, ქვა და სილა?!

იოსებ ბაბუციძე მხიარულ ხასიათზე გახლდათ, გალინასთან დაქორწინებას აპირებდა. ქორწილი რა საჭირო იყო, ხალხის წარმოდგენით ისინი მაინც ცოლქმრულად ცხოვრობდნენ, მაგრამ იოსები საქეიფოლ იყო განწყობილი და რას უნდა შეეშალა ხელი!

დარუს ფული და მზრუნველი დააკლდა. მეზობელი ხარბი ქალები გაიძახოდნენ.

— აჰა, აგრე უნდა! ქალბატონ დარუს ნებავედა, რომ წელს თავის დაბადების დღესასწაული გადაეხადა. ნებავედა ისე მოეწყო საქმე, დღეში ას-ასი მანეთი ჰქონოდა დასახარჯი. ნებავედა პიანინო მოეთრია, მუსიკის და რუსული ენის მასწავლებელი დაექირავე და ეფარფაშა, მაგრამ ვერ მივართვით, ვერა, ბატონო!

ალექსი მკედლიძემ თავი შეატეხა პროფესორ იარკოვის კითხვას და ელექტროტექნიკაში ხელი გაურია, პროფესორ იარკოვს ვერაფერი დააკლო, მაგრამ ვერც პროფესორმა დააკლო აქეთ რაზე, მხოლოდ ეს კია, ცოტაოდენი კეთილშობილური ხასიათი მიიღო და როდესაც გალინას შეხვდებოდა, ის უკვე სალამს სხვანაირად იძლეოდა:

— თქვენი გამარჯვება, გალინა დავითის ასულო!..

მიმართვის დროს მამის სახელის მოხსენება ალექსის უახლოეს მიღწევას წარმოადგენდა.

ეს იყო და ეს, საგულისხმო მეტი არაფერი მომხდარა ამ ერთ წელიწადში.

ლობჯანიძეს ათასში ერთხელ თუ ნახავდით, ხოლო გამომრკვევ კომისიებს უნლარ იკითხავთ! არაეინ იცოდა, ვინ აგზავნიდა ამდენ გამომრკვევ კომისიას!

ბოლოს ხმა დაირხა: მთავრობას დაუდგენია სურამის სამუშაოები სავესებით შეწყვეტილ იქნესო, და თუ არა გურჯიშვილი, იმ სამ დღეში უკანასკნელი მუშები დაანებდნენ საქმეს თავს. გურჯიშვილმა ისინი დატოვა ორი დღის ვადით და თვითონ ტფილისში გაემგზავრა. გავიდა ოთხი დღეც, გურჯიშვილი კი არ ჩანდა. მუშები გამოცხადდნენ ბაბუციძესთან და უკანასკნელად ატეხეს ჩხუბი. იოსებმა კიდევ თავის მხრივ ერთი დღის ვადა დანიშნა.

— არ გვინდა, — გადაჭრით ამბობდნენ ზოგიერთები, — ფულს არ გვაძლევ, საქმელი არაა, სამუშაო არაა, სპეცტანსაცემელს არ გვირიგებ, გაასწორეთ ანგარიშები!

— ერთი დღე კიდევ დაიცადეთ, გეთაყვა! — თითქოს ეხვეწებოდა მათ იოსებ ბაბუციძე და ულვაშებს ისწორებდა.

ასეთ დროს სადგურ ხაშურში მოულოდნელად გაჩნდა დაჭედილი ყუთები-ბით საესე ორი ვაგონი. ელექტროფიკაციის მუშები და ინჟინრები მოიხსნენ. სამუშაოდან და სირბილით სადგურზე გამოცხადდნენ. ყუთები რომ გახსნეს, ურთულეს ელექტრომოწყობილობის ბრჭყვიალა ნაწილები შემოეფეთათ. იოსებ ბაბუციძემ საჩქაროდ განმარტა, ეს დახურული ქვესადგურის მოწყობილობაა და ერთიანად გაფითრებულმა გალინას აღმაცერად დაუწყო ყურება. შემდეგ გამომშრალ ყელით ნერწყვი გადაყლაპა და ვაგონების საჩქაროდ გადმოცლა ბრძანა.

დარჩენილი მუშები დაუკითხავათ ანებებდნენ თავს სამუშაოს და სადგურისაკენ მორბოდნენ. ტვირთი რამდენიმე წუთში გადმოცალეს. აფორიაქებულებს არ ესმოდათ რას ჩადიოდნენ. დაუყოვნებლივ ტფილისთან სცადეს გამოლაპარაკება, მაგრამ ვერ მოხერხდა და ლამის ტელეფონის აპარატი დაამტვრიეს. აფორიაქებულ მკედლიძეს სახეზე ხვითქი ჩამოსდიოდა და ლიანდაგზე კინაღამ ორთქლმავალმა გაიტანა.

საღამოზე ისევ მოვიდა ვაგონების ახალი პარტია, გაიქედა ლიანდაგები და ჩიხები, სამანევრო სამუშაოებს ერთი ორთქლმავალი ველარ აუვიდა, მაგრამ სურამის მუშებმა მანქანის მაგიერობაც გასწიეს და ერთის ყუთინით და გნისით აწვებოდნენ და მიაგორებდნენ ვაგონებს.

— არიქა, არიქა!—ყვიროდა განუწყვეტლივ მკედლიძე და ყოვლად დახეული ფეხსაცმელი სულ გადმოუბრუნდა, ლანჩები მალლა მოექცა, ხოლო საპირე დაბლა.

ახლა უკვე მთელმა ხაშურმა და ულელტეხილმაც იცოდა ვაგონების მოსვლის ამბავი. ეს გავდა გაელვებას, რომელსაც რამდენიმე ხანში ქუხილიც მოჰყვებოდა. ღამით ტფილისიდან ლობჯანიძე და გურჯიშვილი კი არ ჩამოსულან ხაშურში, ამოიჩრენ, ბუდაგოვის დაპატიმრების ამბავი მოიტანეს და აფორიაქებული სურამის მუშები აღარ დააძინეს. სახელდახელო მიტინგი გაიმართა. ქალღმერთი ბაბუციძე პრეზიდენტში იჯდა, ხოლო ლობჯანიძე რუპორივით გასძახებდა.

რაც მთავარია, მათ გაზეთი ჩამოიტანეს და საკავშირო კომუნისტური პარტიის ივლისის პლენუმის რეზოლუცია, რომელიც შავი ასოებით პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი, თავიდან ბოლომდე წაიკითხეს:

„რკინის გზების ელექტროფიკაცია წარმოადგენს ტრანსპორტის რეკონსტრუქციის წამყვან როლს მისი განვითარების პერსპექტივაში“.—ეწერა ერთგან ამ რეზოლუციაში. სუნთქვა გაადვილდა, თითქოს აი აქ, სურამზე, პლენუმის დარბაზიდან ისმოდა ვაჟკაცური ქუხილი, და ეს ხაშურელი ბიჭები ან უნდა დახოცილიყვნენ, ან ქვეყანაზე თავი ესახელებიათ. ცხადია, სურამი წარმოადგენდა პირველ მერცხალს, პირველ კილომეტრებს ჩვენ ქვეყანაში, რომელიც ხორცს შეასხამდა პარტიის ამ მთელი ხმით დაძახილს.

აი რა ყოფილა თურმე გურჯიშვილი, უჯრედი, პარტია!.—ბურტყუნებდა მკედლიძე, მდგომარეობას ასე თუ ისე მიხვედრილი, და გულს ბაგაბუჯი გაჰქონდა.

— ალბათ ამიტომ ირკვევდენ ამდენს, ლობჯანიძეც ამისათვის დაგვე-
კარგა!— ყველაფერს თავისებურად ხსნიდა ალექსი და თავის ოსტატს თმიდან
ფეხებამდე, ფეხებიდან თმამდე თვალებით ჭამდა, ეფერებოდა.

ოსტატი ახლა ბუდაგოვის მაგიერ დაენიშნათ და ამიერიდან მას ვერავინ
შეუბორკავდა ხელს. ახლა კი ცხადი იყო, სულ მალე გათავდებოდა სამუშაოე-
ბი, რომელსაც ალექსიმ საკუთარი სიცოცხლე დაუკავშირა.

ძეორე დღითვე საქმეები ისევ კარგად უნდა წარმართულიყო, სურამს
შებრუნდებოდა სიცოცხლე, და ალექსი მჭედლიძეს მოუსვენრობის ქარი შეუდგა
და ცეცხლი წაუკიდა.

ეს იყო რალაც გიჟური კრება. ბაბუციძეს ისევ ქალაღდის ფერი ედო.
ეს კედლები, ქერი, იატაკი, მაგიდა ისევ დოლაბივით ტრიალებდა და წაგრძე-
ლებული რლიარლია ისმოდა. სულ ახლოს ეჯდა გალინა, რომელიც ერთი წუთი-
თაც არ ანებებდა თავს და თვალსაც არ აშორებდა!..

ბაბუციძე გრძნობდა, რომ გათავდა დიდი და ასე შორეულ წარსულში
დაწყებული საქმე. ის პირისპირ უნდა შეხვედროდა განსაცდელს და თავის
ბედიც უკანასკნელად გამოეცადა. ახლა ყოველივე დასასრულს მიუახლოვდა.
ჯერ მოსკოვში ხელმძღვანელები და თანამოაზრეები დააპატიმრეს და დღეს
აქა-იქ ჩარჩენილ ერთეულებს კენკავდენ... მათ უკვე ბუდაგოვი ჩაუფარდათ
ხელთ და დიდხანია იოსებს უფრო შეეფერება თავისი ფეხით წავიდეს სურა-
მიდან და ამხანაგების ბედი გაიზიაროს, შეატოვოს ხელში ბესარიონს თავისი
გაორებული გული და ამ გიჟურ თავყრილობის უცნაური საწადელი.

აქ წყდებოდა არა მარტო სურამის საკითხი, აქ მთელი კომუნისტური
ქვეყანა ზეიმობდა, და რა უნდა ახლა აქ იოსებ ბაბუციძეს?! რატომ არ წავა,
რატომ არ დაყრის თავის განუხორციელებელ ნაოცნებარს.

არა, არა! იოსები ასეთი უღონო და ძაბუნნი არ არის! სანამ მას თავისი
ხელები ემორჩილება, უნდა მაგრად ჩაეჭიდოს ამ საიმედო ხავსს, მასთან ერთად
რომ მიაქვს მდინარეს. იოსები სად უნდა წავიდეს სურამიდან? პირიქიო, ყველა
თავისი ამხანაგის სამაგიერო ჯავრი მან უნდა ამოიყაროს და დაწყებული საქ-
მეც გაათავოს... ასეა ეს! ამათ კი იყბედონ გიჟურ კრებაზე, იმტერიონ თავი,
იზეიმონ და ქვეყანას თავის ვაჟკაცობას შეჰპირდენ... და ახლა იოსებს უცნაუ-
რად მოენატრა მარტო ყოფნა და ფიქრი... მაღალი დაუღვეელი ცა და
სულ ფიქრი...

ის ადგა პრეზიდენტის მაგიდიდან და გარეთ გამოვიდა... ისევ სურამი
რომელსაც ვერასოდეს მოიშორებ, როგორც სულის მღრღნელ ქიებს და მატ-
ლებს! და ახლა ბაბუციძეს ჰგონია, ეს მთები კი არ არის, დასავლეთით რომ
დგანან, ზღვის უშველებელი ტალღებია და გორები, წასალეკად გრუხუნით
წამოსული, და იოსებს უცნაურად გაელიმა, ქუთუთოებიც დახუჭა.

მეორე დღით, გურჯიშვილი და მჭედლიძე მუშახელის შესაგროვებლად სოფლებისაკენ წავიდნენ, მაგრამ თხინარაში კი არა, წავიდნენ იქ, სადაც კოლმეურნეობები აღმოცენდა და ხელშეკრულებათა დადება შეიძლებოდა.

ახლა თუ ყოჩაღად არ მოიქცეოდნენ, შეიძლებოდა სამუშაოები ისევ შეფერხებულიყო და ქვეყნის თვალში სირცხვილი ექამათ...

...ნელა, როგორც ისრებიდან გამომავალი მატარებელი, ამოძრავდა სურამის უზარმაზარი მანქანა.

ისევ იწყეს დენა კირით, ქვით, საშენი ხე-ტყით სავსე მატარებლებმა, ისევ აგრუხუნდა ბეტონის შემაზავებელი მანქანა. ისევდაისევ მოდიოდნენ მუშები... ლობჯანიძე კვლავ ჩაიჭედა სურამის საქმეებში. ცოტა ხანში ამერიკულ ელექტრომავალებსაც მიიღებდნენ, უკვე გზაში იყო იტალიიდან გადმოგზავნილი ტრანსფორმატორი... სადღაც ლალუმს აფეთქებდნენ, სადღაც კაპასი ორთქლმავალი კიოდა, უროს ურტყამდნენ და ქვებს ხეთქავდნენ, მოდიოდა ახალახალი ვაგონები.

ლობჯანიძე ახლა უცნაურად განიცდიდა ჩვენი დიდი ქვეყნის განუზომელ ვაჟკაცურ ძალას და მაჯის ცემას. ისევ გაიჭედა ხაშურის ყველა ჩიხი და ლიანდაგები, ტვირთს გადმოცლიდნენ, ღამე ისევ ახალი პარტიები მოდიოდა. მჭედლიძე იცინოდა და ერთსა და იგივეს იმეორებდა:

— ამხანაგმა სტალინმა გვიშველა, თორემ აბა ჩვენ როგორ მივხდებოდით, რომ იქით მიხვიდე გლეხთან და ხელშეკრულება დაუდო!

მოლითსა და ზესტაუონში თითო კვირა იჯდა ლობჯანიძე. უკან რომ დაბრუნდა, ერთი ღამე გაათია სახლში და მეორე დღით ისევ უკან გაემგზავრა.

მჭედლიძემ ახლა ხუთი თითივით იცოდა ლობჯანიძის მთელი გეგმები: უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ჰიდროსადგურების—ზაჰესის და რიონჰესის შეერთება აგრეთწოდებული მთავარი გადამცემი ხაზით; ამ ხაზის სიგრძე ორას კილომეტრს აღწევდა, აქ ანძებიც სხვანაირი კონსტრუქციისა ჰქონდათ, დაბალი და განიერი, თითქოს ტყუბად ორი ანძა ყოფილიყოს შეკრული. ხაზი ზაჰესიდან მოემართებოდა რკინისგზის ლიანდაგის გასწვრივ, ხოლო უღელტეხილზე მთებისკენ მოკლე გზით უხვევდა და რიონჰესში რკინისგზის ლიანდაგზე ადრე ჩადიოდა.

მეორე ხაზი იყო საკონტაქტო ქსელი, რომელიც ხაშურში იწყებოდა. ის უნდა მიჰყოლოდა ზედ ლიანდაგს, როგორც ტრამვაის ლიანდაგის ზემოთ არის ხოლმე. მთელი უღელტეხილი, სადგურ ზესტაფონამდე, ეს ხაზი გააცილებდა ლიანდაგს, სიგრძით 63 კილომეტრი, გაივლიდა გვირაბშიც, ვიადუკებზეც; ანძები ამ ხაზს სხვანაირი ჰქონდა: წვრილი, გამხდარი, ნავთის ქაბურღილის კოშკისმაგვარი.

გარდა ამისა, ხაშურში, მოლითის ტყეში და ზესტაფონში შენდებოდა ღია და დახურული ქვესადგურები, აქ უნდა დაედგათ ტრანსფორმატორები, ზეთის ამომრთველები, საზღვარგარეთიდან მიღებული მატორგენერატორები, განმანაწილებელი მარმარილოს დაფა, სარდაფებში უნდა ჩაეყარათ ელექტრო-აკუმულატორები და ელემენტები... ამათ შესახებ მჭედლიძეს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა.

ზაჭვისა და რიონჭვის ოთხმოცათას ცხენისძალას გადამცემ ხაზით გააერთიანებდნენ, ხოლო მთავარი გადამცემი ხაზი დაკავშირებული იყო ხაშურის, მოლითისა და ზესტაფონის ქვესადგურებთან, ეს ქვესადგურები მიიღებდნენ 1.100 ვოლტის ჭინვის ელექტროდენს; ამ დენს პირველად მიიღებდა ღია ქვესადგური, დენს შეუშვებდნენ ტრანსფორმატორში, სადაც ამ ჭინვას შეანელებდნენ, ხოლო ამის შემდეგ მას მიიღებდა დახურული ქვესადგური, სადაც ცვალებადი დენი გადაიქნებოდა მუდმივ დენად და საკონტაქტო ქსელის არტერიებს გადაეგზავნებოდა; საკონტაქტო ქსელს ელმავალი შეეხებოდა პანტოგრაფით და ამოძრავებდნენ მატარებლების შემადგენლობას.

ეს იყო ლობჯანიძის მთელი გეგმა, მაგრამ ჯერ არასოდეს არავის ენახა ფვითონ ელექტრომავალი, არც არავის ეწარმოებია მონტაჟი გადამცემ და საკონტაქტო ხაზებისა, არც ქვესადგურების მოწყობის გამოცდილება ჰქონდათ.

მჭედლიძის ღრმა რწმენით, ლობჯანიძემ ყველაფერი ეს ძალიან კარგად იცოდა, მას სათითაოდ შეეძლო ყველაფერი გაეკეთებია და სხვებისათვის მაგალითი ეჩვენებია, მაგრამ თვითონ ლობჯანიძეს, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა თავის გეგმას, ვინემ შავი მუშა მჭედლიძე, ეშინოდა და მხოლოდ ბაბუციძის იმედითა ჰქონდა, რომელსაც უცხოეთის პრაქტიკა მიელო.

და აი, ამოძრავდა სურამის უზარმაზარი მანქანა, ლობჯანიძემ საიმედო ხალხი შეარჩია, გადამცემ ხაზს ბაბუციძე და კოტჩენკო მიუჩინა, საკონტაქტო ხაზზე ინჟინერი მიქაბერიძე და ჩიქოვანი გადაიყვანა, ხაშურში სააღმშენებლო საქმეები ტექნიკ ცუტკირიძეს ჩააბარა. ქვესადგურების სააღმშენებლო სამუშაოები გალინას მიანდო და თვითონ კი საერთო ხელმძღვანელობა დაიკისრა მჭედლიძე მიქაბერიძესთან მოხვდა საკონტაქტო ხაზზე.

და მშენებლობა წავიდა შერე წინ, როგორც გადასარბენზე გაჭენებული მატარებელი. ბაბუციძეს თუ უჭირდა, ლობჯანიძე იქ გაჩნდებოდა, მიქაბერიძე დარეკავდა ტელეფონით? — დრეზინა მზად ჰქონდა და უმალ უღელტეხილზე გაემგზავრებოდა... გალინას ეხმარებოდა, ზებო ინაიჩს ჭკუას არიგებდა, დარუსთან ჩხუბს საშველი რომ არ დაადგა, ისიც წამოიყვანა და სახერხ სამქროში მოაწყო აღმრიცხველად, დოდოც საზეინკლოში გამოიყენა და ასე ძლივს მოაბა თავი საქმეებს... ახლა ლობჯანიძეც არ ყოფილიყო, ეს უზარმაზარი მანქანა თავისთვის იმოძრავებდა.

III

კიდევ რამდენიმე თვე და ლობჯანიძის ოცნება ფრთებს შეისხამდა. სურამიდან ორთქლმავლები ამოიკვეთდნენ ფეხს, და ქვეყნის თვალში ბესარიონი სახელს დაიმსახურებდა.

ჩქარა დადგა სუსხიანი ნოემბერი. უღელტეხილზე დაიწყო სიცივეები და თოვლი. აღმოსავლეთის ქარები აიშალნენ... ფიფქი აღმაცვრად მოდიოდა. სურამის მთები ერთიანად გადათეთრდა და ანძებსაც სიმაღლე რალაცნაირად მოაკლდათ, ისინი დადაბლდნენ და დაპატარავდნენ.

ამ ყინვებში აქ ბეტონის სამუშაოები არასოდეს ეწარმოებიათ, მაგრამ ელექტრომაგვლების მიღებამდის რამოდენიმე თვე დარჩა, ხოლო სამუშაოები აქ-აქ ახლა უნდა დაწყებულიყო.

ლობჯანიძე მთელი დღე მოღუშული დაიარებოდა, გურჯიშვილს გეგმებს უწყობდა. თან მაღალ ჩექმების საყელოებს ისწორებდა.

გურჯიშვილს უნდა მოეგვარებია გადამწყვეტი პოლიტიკური საკითხი.

დრო ცოტა იყო დარჩენილი, ამიტომ ლობჯანიძეს გადაეწყვიტა, კიდევ ერთი გაუგონარი ამბავი ენახებია ქვეყნისათვის. მთელი ზამთარი უნდა ემუშავათ უღელტეხილის ძვალ-რბილის გამხვრეტ ქარიშხალში, თოვლის ბუქში და სისხლის მიმოქცევის შემწყვეტ ყინვაში!! ფაქტიურად ამ ერთ ზამთარში უნდა დამთავრებულიყო ელექტროფიკაციის ყველა სამუშაო. იქ, სადაც ზაფხულობითაც კი ცივა და წუთში რამდენჯერმე იცვლის ქარი მიმართულებას, სადაც ზამთარში საყენი თოვლი და ყინვა იქნებოდა ჩაწოლილი, უნდა აღემართათ ლითონის კონსტრუქციები და ცა ელექტროგამტარებით დაექსელათ.

ზამთარშიც მუშახელი ადვილად შესაგროვებელი იქნებოდა, გლეხები უსაქმოდ ჯდომას სურამს არჩევდენ, მაგრამ უმთავრესი გახლდათ მათი შენარჩუნება უღელტეხილზე. ეს გურჯიშვილისგან მოითხოვდა დიდ პოლიტიკურ მუშაობას, და აი ლადუც გამოცოცხლდა:

— ვიმუშაოთ უნდა, ამხანაგო გურჯიშვილო! მთელი ზამთარი უნდა ვიმუშაოთ, მეტი გამოსავალი არ არის!!

— ბესარიონ, რას ამბობ, ამ ყინვებში და სიცივეში ბეტონის სამუშაოებზე ვინ გაჩერდება!— უწევდა ნაძალადეგ წინააღმდეგობას გურჯიშვილი.

— კი გაჩერდებიან!— გადაჭრა საკითხი ლობჯანიძემ, — გლეხებს სოფელში ზამთრობით რა საქმე აქვთ, ჩვენს მუშებს კიდევ ველარსად გავუშვებთ?

საგონებელში ჩავარდნილი გურჯიშვილი წითელი ფანქრით ქალაღზე წერდა: „არა, არა, არა“. იცის უჯრედის მდივანმა, კარგად იცის, დეპოდან ახსოვს, ბესარიონთან წინააღმდეგობით არაფერი გამოვა.

— ჰო, ჩენი ბიჭები კი! პარტიიდან გავრიცხავ, რას ჰქვია!

დაეთანხმა გურჯიშვილი და გაიცინა.

სამი დღის შემდეგ უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო ზამთარი ემუშავათ. ზაფხულისათვის ორთქლმავლები უღელტეხილზე ფეხს ამოიკვეთდენ.

ხაშურში ჩამოთოვა. მინდორზე უწყსრიგოდ მიყრილი ქვები, გორახი, ხეტყე, ხრეში გაუჩინარდა, დაუბერა სურამის გამყინავმა ქარმა. ლიანდაგები გადახვეტეს. ახლა პირველ რიგში თვით სადგურ ხაშურის სახე უნდა შეცვლილიყო, აქ ლიანდაგებს შორის უნდა აღემართათ და დაემონტაჟებიათ საკონტაქტო ქსელის ანძები. გაყინულ ნიადაგს ლალუმებით აფეთქებდენ. ინჟინერი ლობჯანიძე სახელდახელოდ დახელოვნდა ამ საქმეში... სურამის სუსხი ქროდა და ძვლებამდე ატანდა, სამუშაო კი დიდი იყო, სულ 146 ანძა უნდა აღემართათ, საიდანაც შოულობდენ ფიჩხს, ანთებდენ ცეცხლს და ზედ მკერდს აფიცებდენ. ამართული ანძები მეორე დღეს გვერდით გადაზნექილი უხვდებოდათ: ქარს თავისი გაჰყავდა, მაღალ კონსტრუქციაზე შეუხელებლად ზუზუნებდა. ხან

ცეცხლს მიაყრიდა ნამქერს და აქრობდა, ხან მალალ ბუქს დააყენებდა და მო-
მუშავეებს აბრმავებდა. როგორც კი ანძის გამართვას შეუდგებოდნენ, ქარი წი-
ვილს და სტვენას უმატებდა, ადამიანის ღონეს ეჭიდებოდა და ანძას ისევ მი-
წაზე გაწვენას უპირებდა.

ყველაზე უძნელესი სამუშაოების ჩატარება მჭედლიძეს მოუხდა. ელმავლების
დეპო უნდა გადაეხურათ, მაგრამ ხუროებს ქარი ზევით არ უშვებდა და სახურავიანად
გადმოხვეტას უპირებდა, მაგრამ მჭედლიძესთან ერთად მუშები ბარიგანი, ლო-
მიძე, არჯვეანიძე და ქურდაძე მაინც ადიოდნენ, ბაწრით ეკიდებოდნენ. ქარმა სა-
ხურავის ოთხივე გვერდი ძირს ჩამოაფრინა და ქიაქიად აქცია, ალექსი კი და-
აკოჭლა

ხუროები ნამქერში იკარგებოდნენ და შენობის გარშემო დაბორილობდნენ
დათოვლილნი და გადათეთრებულნი; ქარი მათ ხან ერთ ალაგას ატრიალებდა,
ხან დეპოს კედლის გასწვრივ გაიტაცებდა და შემდეგ სადღაც ჩაჩუმქრავდა.

საკონტაქტო ქსელის დამმონტაჟებლებმა იმერეთის მხარეზე სამუშაოები
წამოიწყეს და სადგურ მარელისს მოახწიეს. აქ ზაფხულობით და შემოდგომი-
თაც კი ქრიან გამხვრეტავი ქარები, ახლა ყინვა სისხლსაც აჩერებდა. ხოლო
ქარი გუგუნებდა, მიწიდან თოვლს ხვეტდა, აბრუნებდა, ბულს აყენებდა და შემ-
დეგ მიფარებულ ადგილებში ლექავდა.

სწორედ ამ სადგურში ვილაცამ მკაცრ ზამთარს სიმღერა გამოუთქვა:

სურამის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
მასხამს, მასველებს ნამქერი,
თეთრად მომიჩანს მხარიო.

და შემდეგ მთელი უღელტეხილი გუგუნებდა ამ სიმღერას.

ბესარიონ ლობჯანიძე გრძელი ფარაჯით, ჩამოფხატული ბუდიონოვკა
ქუდით და მალალსაყელოებიანი ჩექმებით დააბიჯებდა სურამზე; ჩამოსველებუ-
ლი სახე და მხრები ორთქლს უშვებდნენ. ხან მარელისში რვა მეტრის სიმაღლე-
ზე იყო ჩამოკიდებული და დაბრუნებული თითებით იზოლატორებს ძლივს ამაგ-
რებდა, ხან ხაშურში ანძებს მართავდა, ხან დეპოს სახურავზე ხუროებთან იყო
მიკრული და სადაც არ უნდა ყოფილიყო, თვითონ იყო ყველაზე ძნელი და სა-
ხიფათო საქმის შემსრულებელი, სხვებისთვის მაგალითის მიმცემი.

— დაცხეთ, ბიჭებო, არ შეშინდეთ! საცაა თებერვლის მზე გამოანათებს!

ფიჩხების საცოდავ ცეცხლს ქარი ნამქერს აყრიდა. ცეცხლი იფშუტებოდა,
ქრებოდა, ქარი წიოდა, გუგუნებდა რკინის ანძების კონსტრუქციებთან და აზო-
ლატორთან. ყოველდღე რომ ათოვდა და ათოვდა, ანძები დაპატარავდნენ, ისინი
რადაცნაირად დადაბლდნენ, დამოკლდნენ. რა არის ეს? მთები თითქოს მაღლა-
ცამდე ამოვიდნენ, ქართლის ხოდაბუნებს იქიდან გადმოჰყურებენ და ამას იქით,
ალბათ, აღარ იქნება სურამი—ის მყინვარად გადაიქცევა.

სურამის გზაზე მივდივარ,
მომდევს, მომკივის ქარიო,
მასხამს, მასველებს ნამქერი,
თეთრად მომიჩანს მხარიო.

იოსებ ბაბუციძეს, ბუღაგოვის ჩავარდნის შემდეგ, გრძელი მოხსენებების შედგენის და წიგნების წიწვის ხასიათი აღარ ჰქონდა. ზებო სასადილოდან რომ დაბრუნდებოდა, თავის ლოგინზე წამოწოლილი კითხულობდა ახალ გაზეთებს, ამთქნარებდა და ნატურის მეტს არაფერს აკეთებდა:—ჰაი, ეს მომცა ახლა, ჰაი, ის მომცა და მერე არ მაცოცხლაო!—ამეების შემდეგ თვალები ცრემლით უწყალდებოდა და გულმოსული გურჯიშვილს ცოცხლებს საფლავში უგზავნიდა, მკვდრებს კი იქ არ უყენებდა.

— ნეტავი ერთი ხაშურის ტანჯვისგან გამათავისუფლა და სადმე აგარაკზე მამყოფა!—ინატრა ჩვეულებრივად იოსებმა.

ზებომ ყური მოჰკრა იოსების სიტყვებს და გაიოცა:—ფი! თუ ნატვრაა, ქე მაინც ინატრე, ან სულ გაჩუმიდი!—შემდეგ დაამთქნარა და გადიხარხარა.

გალინასაც გაეცინა და ფეხზე წამოდგა;

— კარგი, აბა შენ რას ინატრებდი, ზებო?

— რას ვინატრებდი? აი დამიდგეთ ყური. თურმე ორი ვაჭარი მიდიოდა გზაზე. ერთმა ინატრა: ნეტავ ასი ოქრო მომცაო! მეორემ თქვა: თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს: რაც ქვეყანაზე ფოლადია, კალმად აქცია, ხეები კალმისტარად და ზღვები მეღნად; რაც ეს მოწყობილობა ციფრს დაწერს კალმების გაოხრებამდე და ზღვების ამოშრობამდე, იმდენი ოქრო მომცაო!

— რად გინდა, მერე, ზებო, ამოდენა ფული, სახელდახლოდ კომუნისტებს გამოუთხრიდი ძირს, ზომ? შემდეგ სპირტის ქარხანასაც დაიბრუნებდი, ალბათ, არა?

ზებო გაჩუმიდა და შეეცადა წარმოედგინა, რამდენი ოქრო უნდა ყოფილიყო ვაჭრის ნანატრი:

— ნეტავ მართლა მომცა!—ამოიხვნეშა მან და დაუმატა:—ვაი, ნეტავ მართლა მომცა და მერე თუგინდ არ მაცოცხლა!

ბაბუციძე გაწყრა, ზიზღის გამოსახატავად ზედა ბაგეები მალლა აზიდა და თეთრი კბილები გამოაჩინა:

— დანებეთ თავი ამ სისულელეებს და მომასვენეთ!

იოსებს სჭირდებოდა მოსვენება, ძილი, სიწყნარე, მარტოობა და ახალი ადამიანების წრეში ყოფნა, თორემ აქ მას ყოველდღე უფროდაუფრო უჭირდა და სუნთქვა, უმიზეზოდ ფორიაქდებოდა, თვალსა და ხელს შუა ილეოდა, ყვრიმალის ძვლები წინ წამოიზარდენ, თვალები სადღაც გადაცვივდენ. როდესაც ლაპარაკობდა, თვალში გეცემოდათ თეთრი, თითქოს მშიერი კბილები, და შუბლზე ჩამოყოლებული შავი ძარღვის დაძაბუნებული ფეთქვა.

— კიდევ დავიკელი!—ჩაიქნია ხელი იოსებმა წინადლით სასწორის წინ. დაწვრილებული და გაფითრებული თითებით ქალაღის ნაგლეჯი სათუთად დაკეცა.

სქელი წიგნები უჯრაში მაგრად აქვს ჩაკეტილი, ნაწერები ხელაღებით შეკრული და ყუთში გადაყრილი. მელანი ამოშრა და ახლა იქ თითის სისქე მტვერი ძევს. იოსები მიუჯდება მაგიდას, დაიდებს ნიკაპს იდაყვზე და ფიქრობს:

თვალეებს ფანჯრიდან გააპარებს და ხანგრძლივი ღუმლის შემდეგ შფოთავს, ანგარიშობს, წყვეტს, ხენეშის და მარჯვენა ხელი ჯიბისკენ მიაქვს, მაგრამ იქ ახლა ოქროს კაუჭებიანი სათვალეები აღარ ძევეს: ბევრი ხანია იოსები არც წერს, არც კითხულობს და სათვალეებიც სადღაც დასაკარგავში გდია.

— ღმერთო ჩემო, როგორ დაილიე, იოსებ!— შემოდის ოთახში გალინა და ზმის მისი დანისპირივით ალესილი ხმა.

— ეციო თქვენს თავს პატივი და დამტოვეთ მარტო!— ოხრავს მისუსტებული იოსები და კარებისაკენ გაიშვერს თითს. გალინა შეკრთება და დოინჯს შემოიყრის: *Warum erschrickst du, wen ich spreche*¹ და ცოტა ხნის შემდეგ ირონიულად უმატებს: — ნუ გეშინია, ბატონო, ჩემგან არაფერი მოგვივა. იოსები შეუბღვერს, და გალინაც ხმაამოუღებლივ გადის კარებში. „სანამდის მივიდა ამ ქალის საქმე“— ფიქრობს იოსები.

ბაბუციძეს ძალიან ხშირად გადაუტყდება პირის მოპარსვა, შავი წვერულვაში წამოეზრდება და მამინ მისი სახე უფრო დაღვრემილი, დალეული და ჩაქოლვილია. სამართებელს ჟანგი მოეკიდა, ფუნჯი მტვრითაა დაფარული, გაურეცხავად დარჩენილ ალუმინის ჭიქას, გამხმარი საპნის სუნი ასდის.

რამდენ გეგმას აწყობდა ბაბუციძე, რამდენ ოცნებას ერთმანეთზე აბამდა, და შემდეგ ესენი ბოლოს ყველანი ამაოდ გაცუდდენ.

სად არის ქვესადგურების ნგრევის და გენერატორის საკისურების დადგმის გეგმა? ყოველი ნაბიჯი წინასწარ გამოზომილი აქვთ, წაიფორხილებ და წაქცევას დააპირებ? ზურგზე გტაცებენ ხელს და ისევ მიწაზე დაგამყარებენ! ლობჯანიძე კი პირდაპირ ადამიანის სულში მიძვრება და ქექავს, უჯრედი მოსვენებას არ იძლევა, ისინი ათასნი არიან, ბაბუციძე კი ერთია, მეტი არავინ ქვეყანაზე, მეტი არავინ... აქ რაიმეს გააკეთებ? ფასიც არ აქვს! ზებო ლოგინზე ასვენია, როგორც ათი წლის შკვდარი, რაშია გამოსადეგი ზებო!

იოსებს კაჟივით გული ჰქონდა, შეუცვალეს, დაუძაბუნეს და დაუსუსტეს მიზანი და რწმენა გაუცამტვერეს, იმედი მოუსპეს, ფრთები დასჭრეს და უსასოდ დაადგეს, ამხანაგები და მეგობრები ჰყავდა— დაუკარგეს, დააწიოკეს და დარჩა მარტო იოსებ ბაბუციძე, მეტი არავინ ქვეყანაზე, მეტი არავინ... ახლა გალინაც მოშხამეს, დღეს არა ხვალ წითელ ვარსკვლავს დაიბნევს... გათავდა, რაღა დარჩა იოსებ ბაბუციძეს, საით წავიდეს, რომელ გზას დაადგეს? თუ გაათავოს ყველაფერი, მოშორდეს ხაშურს, ამ გამოუვალ ტალახს და წავიდეს სხვაგან, სადაც აქაური ჟრიაშულიც კი არ მიაწევს?! ან, თუ ეს შეუძლებელია, თავის თავს ისეთი რამ დაჰმართოს, არც გზა სჭიროდეს სასიარულოდ, არც ამხანაგები სამეგობროდ...

— ვინ თქვა?— წამოიყვირა ფიქრებში წასულმა იოსებმა და თუმცა უნიათოდ, მაგრამ ხმამალა გაიცინა, შემდეგ გაჩუმდა... და წამოუდგა, თითქოს გაიღო კარი და შემოვიდა ბესარიონი, ქარის ზუზუნი და ნამქერი შემოჰყვა, თეთრად მოუჩანს მხარი, გადაიბერტყა:

1) რატომ ფითრდები, როდესაც მე ვლაპარაკობ.

— გამარჯობა შენი, იოსებ!—მაგრამ იოსები პასუხს არ იძლევა.

— იოსებ, გამარჯობა, რატომ ხმას არ იღებ?—გუგუნებს ლობჯანიძე, და ბაბუციძეც ნაძალადევად აღმართავს კისერს:—ოო! ბესარიონი ხარ? დაბრძანდი: გეთაყვა, ფიქრში ვიყავ წასული. მაპატივეთ!

ბესარიონი, ცხადია, აპატივებს, შემდეგ დაჯდება, და ბაბუციძე შეხედავს მის ბრინჯაოსფერ სახეს.

— ბესარიონ, როგორაა საქმეები?

— კარგად, იოსებ, როგორ უნდა იყოს! ჩქარა ზეიმი გვექნება და ერთს ვაქეიფებთ!—იჩენს მზრუნველობას ლობჯანიძე.

— ცხადია, იქეიფებთ!—ფიქრობს იოსები და შემდეგ ისევ ხანგრძლივად უყურებს ბესარიონის უცნაურ სახეს.

— მალე მოვრჩებით და ვიზეიმებთ, არა!

— მოვრჩებით, მაშ!

— ბესარიონ, ეს რა არის, მე ახლა შეგამჩნევ: შუბლის ზემოთ კანი გაჩეხილი გაქვს!

— ესაა? ჰო, ეს მემანქანეიდ რომ ვიყავ, იმდროინდელია, ბიჭებმა ქვა და-მარტყეს!

— ეს? დაბლა, ნიკაპზე?

— ესეც ჩხუბში მომივიდა და ახლაც ვერ მიმიგნია ვინ მიყო!

— ნეტავი თქვენ! ბესარიონ ლობჯანიძე კი არა, კლასი ზეიმობს, გიხარიათ, უანა!?

— გვიხარია! ჰო!

— მაშ მოდი გავსწორდეთ მე და შენ, ბესარიონ! აი იარაღი, გავსწორდეთ!—და შემდეგ ერთბაშად აუწია ხმას:—შენ ვერ იზეიმებ, ვერა, ვერა!

ლობჯანიძე ვერ ხვდება რას ელაპარაკებიან და გაოცებული იყურება: იოსები ავად ხომ არ გახდა? იქნებ ექიმი და მზრუნველობა სჭირია?

იოსები წამოიჭრება:

— მოდი, გავსწორდეთ, გავსწორდეთ!

კედლები, კარი, იატაკი და ჭერი დოლაბებივით ტრიალებენ. სადაა ლობჯანიძე? ოთახში არავინ არის! და განუწყვეტელი რლიარლია ისმის.

გონსმოსული იოსები მოიბუზება, გადაიხურავს პალტოს და მშენებლობის უბანზე გაივლის დაჩივებულ, თავისთვის ბუზლუნებს:

— რად ვარგა ზამთარში გაშენებული! მოვა ზაფხული, გალხვება და ყოველივე დაინგრევა!..

ზოგიერთები ბესარიონის გულის მოსაგებად ატეხენ ყაყანს:

— აქ როგორ იქნება მუშაობა, ცივა, ჩვენივე მონასუნთქით ვითბობთ ხელებს, სინდისი არ არის?!—მაგრამ ამ „კაცუნებს“ უჯრედში ხელებს დაატანენ ზურგზე და ორივე დეხით მიწაზე დაამყარებენ.

ბაბუციძე ენას მოიკვნეტს, დამუნჯდება, ხელებს გულზე დაიკრებს და თავის სახლისკენ ლასლასით წამოვა.

მშენებლობიდან გამოქცეული ბაბუციძეთავის სახლში მოიჩქაროდა. აზრად ჰქონდა მოსვლისთანავე ტანთ გაეხადა და ჩაწოლილიყო, დაეძინა, სიჩქარის გამო ორგან კალოშები თოვლში ჩაურჩა, გამწარებულმა ბუზღუნით მოძებნა და ამოიღო.

ოთახში კარებს ხელი რომ ჰკრა, ერთბაშად შედრკა: მაგიდას უჯდა ბესარიონ ლობჯანიძე და ქალაღდებს ფურცლავდა. ბაბუციძემ თავის უფროსს გაუცინა და სალამი მისცა:

— გამარჯობა, ამხანაგო ბესარიონ!

— იოსებს ვახლავარ, რასა იქ, რაეა ხარ?

ლობჯანიძე წამოდგა, მასპინძელს ხელი ჩამოართვა.

იოსებმა ისევ გაიცინა, შემდეგ დაჯდა და იქაურობას თვალი მოავლო. ახლალა შეამჩნია, რომ კუთხესთან მობუზული გალინა ხმაამოუღებლივ იჯდა. ბაბუციძე უფრო საფუძვლიანად შედრკა. იგი მწვავედ დასუსხა გალინას ასეთმა გამოხედვამ. რაშია საქმე? დასხდენ...

— ვარ რა, ჩემო ბესარიონ, მაგრამ, ხომ ხედავ, აი ყოველდღე ვუარესდები; ახლა რევემატიზმები ამეშალა და მგონია, საცაა სულიც ამომხადოს! — ძლივს წარმოთქვა დაგვიანებული პასუხი ბაბუციძემ.

— არა, ჯერ შენს თავს ავადმყოფობას ვერ დავანებებთ, ის კი არა, ასოწელიწადი უნდა გაცოცხლოთ, ასი!

ბაბუციძემ ძლივს ამოისუნთქა თავისუფლად... ისევ მზრუნველი სიტყვები! მამ არაფერი მომხდარა!.. ამოისუნთქა და ლობჯანიძეს ხავერდად გაეფინა...

— ოღონდაც, ოღონდაც! თქვენც კარგად იყავით, ბესარიონ, და ამის იმედო მიქვს!

შემდეგ მთელი წუთი ხმა არავის ამოულია, და ამ ხნის განმავლობაში ლობჯანიძე ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა მოეხერხებია ბაბუციძის ქარებისათვის... გამოსავალი ჩქარა იპოვა. თვითონაც გაეხარდა, უბის წიგნაკში რალაც ჩაინიშნა და შემდეგ ერთბაშად მოლბა:

— სადგურ ლიხში უნდა გავიქცე, იოსებ, აი რად შეგაწუხებ! შენც იცი, უკვე დროა, ხარკოვიდან, კოლჩუგინოდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ჩვენი ელექტრომოწყობილობა უნდა მოვიდეს, მაგრამ იგვიანებს! ვგრძნობ, ეს საქმეს ჩაშლამდის მიიყვანს!

— ეს გადამეტებული სიფხიზლეა, აწ სურამის საქმეს ვერაფერი ჩაშლის! — გაუბედავად გამოცოცხლდა იოსები და თვალეები ფართოდ გაახილა. გულს კარგახანს გაჰქონდა ბაგაბუგი და იოსები ლობჯანიძის პასუხს მოუთმენლად ელოდა. იქნებ სასწაული მოხდეს, სრულიად მოულოდნელი და მოუფიქრებელი?

— არა, ამისმაგვარ რამეზე ლაპარაკი სისულელეა! მე გადავწყვიტე ამ ქარხნებში მუშათა დელეგაციები გავგზავნო. რას იტყვი?

— კარგი იქნება!

გაბზარა ხმა ბაბუციძემ, რომელსაც მთელი ნაფიქრალი ხელად დაენგრა და ახლა კი შეეჭვდა, რა უნდოდა ბესარიონს ეთქვა, რატომ გამოუარა და ყველაფერი ეს წინ დაუკაკლა?

— მერე, მერე?— დაიხრიალა მოთმინებიდან გამოსულმა იოსებმა.

— ამასობაში იტალიელი სპეციალისტები, ტრავაზონი და ჟანაკორი იგვიანებენ!

— მერე, მერე?— გაუშეორა იოსებმა, რომელსაც რაღაც არაჩვეულებრივი ამბავს მოლოდინში თმა ყალყზე შესდგომოდა.

— დიახ, იგვიანებენ! ჩვენში ყველაზე კარგი სპეციალისტი შენ ხარ, უცხოეთში ნამყოფი!

— ეს გადამეტებულია!— მთლად დაილია იოსებ ბაბუციძე და კუნთებმა კანკალი დაუწყო.

— გენერატორი მიღებულია, მონტაჟს გაუკეთებს „ვეო“ მოსკოველი ინჟინერებით, ხოლო ამ საქმეს იტალიელების მაგიერ შენ უხელმძღვანელებ.

-- ჰოო!..— ჰირი ღიად დაურჩა ბაბუციძეს, ბესარიონი კი თავისას განაგრძობდა, მაგრამ იოსებს უკვე აღარაფერი ესმოდა, ყურები წიოდენ, საიდანღაც კვლავ წაგრძელებული რღიარდა ისმოდა... თვალი რომ გაახილა, კუთხეში მობუზული გალინა შემოეფეთა, მაგრამ იმ წუთს იოსები წამოდგა და ინჟინერებს გამოემშვიდობა.

— მაშ თანახმა ხარ.

— თუ საქმე მოითხოვს...— შეყოყმანდა იოსები.

შეთანხმდენ. ბესარიონი წავიდა, მას ლიხში მიეჩქარებოდა. მაშინ ბაბუციძე ფანჯარას მიუახლოვდა და ფიქრებს მიეცა.

თოვს. ქარბუქი ფიფქებს ხვეტს, ახვევს, კივის, გუგუნებს, აწყდება ხეების ტოტებს, სახურავს, კედლებს. ფიფქები თითქოს დედამიწიდან მიცივია მალლა ცისკენ, რძისფერია მიწა, ცაც რძისფერია და თითქოს როფებიდან აყრილი ფუტკრები უხმოდ ეშვებიან, უნახესი ფაჩუნით და შრიალით... ფანჯრის ჩარჩოებში ძვეს თოვლი და გაყინულ მინაზე ყინვის თეთრი ვარდებია გამოსახული. ორ საეწეზე ღობის მესერი არ ჩანს. სად არის მთები! სად გაუჩინარდენ, თითქოს ყველაფერზე აღულებული და აქაფებული რძე გადაღვრილა! სად თავდება მიწა? ან ცა სად არის? ალბათ ის ჩამოიქცა და დაბლა ჩამოვიდა.

თოვს, ხელალებით თოვს!

გალინა ფეხაკრფით მივიდა და იოსებს მკლავებზე ხელები სათუთად შეახო:

— იოსებ, იოსებ! ღმერთო ჩემო, რა ფერი გაძევს!

ბაბუციძე გამოფხიზლდა:

— რა გინდა?

მაშინ გალინამ ერთხელ კიდევ მოიქცია კისერი საცოდავად, სახე დაისაწყლა, მკლავებზე მიეკრა და თავისი სავედრებელი გადმოალაგა:

-- იოსებ! მეტი არ შემიძლია, არა! რაც მინდა, ეს შენ კარგად იცი! შენი ცოლი თუ არა, ხასა ხომ მაინცა ვარ, დამეჯერება, ცოტა მაინც დამეჯერება! მე გატყობ! მე ყველაზე მეტად ვხედავ და ვიტანჯები... შენს გულში

ჩემს მეტი არავინ ზის, მე მარტო მესმის შენი უფერულობის და უძილობის მიზეზები... მეც მომასვენე; შენ ახლა გენდვენ, იოსებ, და გიხარია, განა? გიხარია: დრო დაგიდგება. ჩვენ მარტონი ვართ, სრულიად მარტონი. მორჩი და გაათავე, აქ გუშინდელი და გუშინწინდელი დღე არ არის!

— რა გინდა?— გაუმეორა მოთმინებადაკარგულმა იოსებმა, და მეორე ოთახიდან ზებო შემობაჯბაჯდა.


გალინამ რამდენიმე წუთით ხმა გაიკმინდა, ერთიანად გაფითრდა, თვალები გადმოკაკლა, აცახცახებული თითები იოსებისკენ გაიშვირა და დაიკიელა:

— ზებო, ბიძია ზებო! აი, ესეც შენი შვილი! ბატონი იოსები! ხუთი წელიწადია ვცხოვრობ მასთან და ამის შემდეგ მან დამაცადოს! მე დღეს გადავდივარ თქვენი ოჯახიდან და ჩემი მხრივ აქაურობას ჯვარი უწერია!— და ხმას უცნაურად აუწია, ისევ გაიმეორა „ჯვარი უწერია!“ იოსები წამოვიდა გალინასაკენ, რომ ერთხელ კიდევ ჩაემწყვდია, მაგრამ გალინამ სწორედ ამ დროს კარები გააღო და იოსების ყვირილი გარეთ გამოიტანა:

— დაიცადე! სად მიხვალ! დაიცადე!

შემდეგ იოსები გავარდა გარეთ, გალინას დაეწია, ზურგზე ხელი წაუპოტინა, მკლავი შეუჭრილა, შეაჩერა. გალინაც აპყვა, ის ჩუმად ქვითინებდა-ოთახში დაბრუნდენ.

(გაგრძელება იქნება)



ფ. აგბელსი

ნახ. ს. კვცხველის.

პრიტიკა

ალი არსენიშვილი

ფრიდრიხ ენგელსი და მწერლობის პრობლემები

ყოველივე ის, რაც მარქსმა და ენგელსმა გამოსთქვეს თავის თხზულებებში, მიწერ-მოწერაში და მოწინააღმდეგეებთან პოლემიკაში ხელოვნების საკითხების და კერძოთ მწერლობის შესახებ, განუზომელად და შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი, ღრმა და იდეურად გამანაყოფიერებელია, ვიდრე მრავალი აკადემიურად დაკანონებული „ესთეტიკის“ მრავალტომიანი სახელმძღვანელოები და ფოლიანტები.

საერთო მუშაობაში მათთვის არ არსებობდა „კერძოლი ზერატურული საკუთრება“, მთელი თავისი ნააზრევი მათ უანგაროთ მიჰქონდათ მუშათა კლასის შესაიარაღებლად. და როდესაც ისინი ერთ დროს იძულებული იყვნენ ერთმანეთთან დაშორებით ეცხოვრათ, მათი ამ დროის მიწერ-მოწერა შემოქმედების განუწყვეტელ პროცესს წარმოადგენს. მარქსს თავის წერილებში ზოგჯერ შეუცვლელად და მთლიანად შეაქვს ენგელსის მიერ მისდამი მიწერილი პირადი წერილები. და ის, რაც მეგობრებისათვის დიდ დანაკლისს შეადგენდა — დაშორება — ერთი მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ, პროლეტარიატისათვის, მათი წერილების წყალობით, დამატებითი სიმდიდრის წყაროდ გადაიქცა.

თეორეტიულ შრომებში, პამფლეტებში, კერძო წერილებში მარქსი ყველგან იბრძვის ნათელა, მკვეთრი, ჩამოქნილი და აზრის სიცხოველით გამშვენიერებული სტილასათვის. და როდესაც ენგელსი მოუთმენლად ელის „კაპიტალის“ პირველი ტომის ხელნაწერს, მარქსი სწერს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ხელნაწერის ნაწილის (ხაზი მარქსისაა) გამოგზავნა: „... არ შემძლია გაგზავნა და რამე გამოგვიგზავნო, სანამ ყველაფერი მთლიანად და სავსებით არ მექნება გამხატული. როგორც არ უნდა იყოს ჩემი ნაკლი, ერთი რამ შეადგენს ჩემი თხზულებების ღირსებას, ისინი წარმოადგენენ მხატვრულ მთლიანობას“. აი კიდევ მარქსის ახალგაზრდობის დროის მაგალითი. მამისადმი მიწერილ შესანიშნავ წერილში, სადაც 19 წლის მარქსი სცნობს თავის „დამარცხებას“ პოეტურ ცდებში და „ემშვიდობება“ პოეზიას, მარქსი სწერს: „მაპატიე გაუგებარი ხელი და ცუდი ენა... გადაეცი სალამი ჩემს მშვენიერ, ძვირფას ყენის (მარქსის საცოლე.ა.ა.). მეთორმეტეჯერ გადავიკითხე მისი წერილი და მუდამ ახალ მშვენიერებას ვნახულობ მასში. იგი ყოველმხრივ-სტილისტურად აკი-ყველაზე მშვენიერი წერილია, რომელიც კი შეეძლო დაეწერა ქალს“-ო.

ლიტერატურული ფორმის, სტილის საკითხები მარქსისათვის შეადგენდენ არა თვითმიზნურ, ესთეტიურ თამაშს და ვარჯიშს, იგი უღრმეს პოლიტიკურ როლს და მნიშვნელობას აკუთვნებს მათ. „კაპიტალს“, „გერმანული იდეო-

ლოგის“, „18 ბრიუმერის“ გადმოცემაში მარქსი მიმართავს მსოფლიო ლიტერატურის გენიოსებს და მათი ნააზრევით ასურათებს და ხსნის თავის დებულებებს.

თეორეტიული მსჯელობის უპასუხისმგებლეს მომენტებში მარქსი სარგებლობს მსოფლიო მწერლობის საგანძურით, და თავის გადმოცემაში ჩაურთავს კაცობრიობის შემეცნებითი ენერჯის ისეთ უდიდეს აკუმულატორებს, როგორცაა შექსპირის, გოეტეს, ჰაინეს, სოფოკლეს და ჰომეროსის სახეები, რომ უფრო მძაფრად აღბეჭდოს თეორეტიული დასკვნა, მარქსი ბურჟუაზიასთან ბრძოლაში მოიხმობს სიტყვის მსოფლიო ოსტატებს—და მარქსის დებულებებს თქვენ გიხსნით შექსპირი, სერვანტესი, გოეტე, სოფოკლე, ესხილოსი. მსოფლიო გენიოსთა შემოქმედება თავის სახეებს აწვდის „კაპიტალს“ და ამით უდიდესად აძლიერებს მარქსის ტექსტის შემოქმედების ძალას! მაგრამ ყველაზე პასუხისმგებელ როლს ამ შემთხვევაში თამაშობს მარქსისათვის უსაყვარლესი შექსპირი (მ. ნეჩინა. კ. მარქსის „კაპიტალის“ ლიჭ. გაფორმება, გვ. 46. პარტგამომც. 32 წ.).

მარქსმა ზეპირად იცის ჰაინე და გოეტე და აცტირებს მათ საუბარში, კითხულობს ესხილოს ბერძნულ ორიგინალში. შექსპირისადმი მისი პატივისცემა და სიყვარული უსაზღვროა, იგი განუწყვეტლივ სწავლობს მას და მისი დრამების უმნიშვნელო მოქმედ პირებსაც კი იცნობს. მარქსის ოჯახში გამეფებულია დიდი ინგლისელი დრამატურგის ნამდვილი კულტი. მარქსი იცნობს როპის ყველა ერების ლიტერატურას. უკვე 50 წელს მიღწეული, იგი ექვს თვეში დასძლევს რუსულ ენას იმდენად, რომ ორიგინალში კითხულობს რუს პოეტებს და პროზაიკოსებს—პუშკინს, გოგოლს, შჩეღერინს.

ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში“ ხსნის შრომის როლს და მნიშვნელობას ხელოვნების წარმოშობაში და განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც ოდესღაც ადამიანმა უბრალო ქვისაგან დანა გააკეთა, მისი ხელი განთავისუფლდა (ხაზი ენგელსისა. ა. ა.), მას შეეძლო წინ წასულიყო უნარის გამოჩენაში და ოსტატობაში, და ამ გზით შეძენილი დიდი მოქნილობა გადადიოდა მემკვიდრეობით და მოდგმიდან. მოდგმამდე იზრდებოდა. ამგვარად, ხელი არა მარტო შრომის ორგანოა, იმავდრო ორიგინალი იგი მისი პროდუქტიცაა (ხაზი ენგელსისა. ა. ა.). მხოლოდ შრომის წყალობით, მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანის ხელი სულ ახალ ოპერაციებს ეგუებოდა, და კუნთების, სახსრების და (უფრო დიდი დროის მანძილზე) აგრეთვე ძვლების ამ გზით მიღწეულ განსაკუთრებულ განვითარებას-მემკვიდრეობით გადასცემდა და ამასთან სამემკვიდრეოდ გადაცემულ გაუმჯობესებათ სულ ახალ და უფრო რთულ ოპერაციებში იყენებდა,—ადამიანის ხელმა მიაღწია სრულყოფის იმ მაღალ საფეხურს, რომელზედაც მას უკვე თითქო რაღაც სასწაულმოქმედებით შეეძლო სიცოცხლე მიენიჭებია რაფაელის სურათებისა, ტორვალდსენის ქანდაკებისა და პაგანინის მუსიკისათვის-ო.

პირველ პერიოდის ერთერთ უბრწყინვალეს შრომაში „გერმანულ იდეოლოგიაში“, რომელშიაც გამანადგურებელი ანგარიში აქვს გასწორებული გერმანული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეალიზმის („ქმშნარიტი სო-

ცილისტები“) წარმომადგენლების მთელ პლენადას, არკვევენ რა ხელოვნების ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ ინდივიდუალური კვალიფიციური შრომის ადგილს შრომის ორგანიზაციის საქმეში, მარქსს და ენგელსს, სხვათა შორის, მოჰყავთ შტირნერის „დებულება“ იმის შესახებ, რომ შრომის ორგანიზაცია შეეხება მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელთა შესრულება ჩვენს მაგიერ შეუძლია სხვასაც (როგორცაა საქონლის დაკვლა, ხენა-თესვა და სხვ.), სხვა სამუშაოები კი ეგოისტურია, რადგან არავის შეუძლია შენს მაგიერ შეთხზას შენი მუსიკალური ნაწარმოები, განახორციელოს შენი განზრახვები მხატვრობაში და სხვ. (სიტყვა შენი შტირნერს, რომელსაც მარქსი და ენგელსი ირონიულად უწოდებენ ხან „წმინდა მაქსს“, ხან „სანჩოს“ და სხვ., ყოველთვის მოჰყავს ასომთავრულით, როგორც ერთადერთ და განუმეორებელ „მე“-ს ნიშანი). არავის არ შეუძლია თავისით შესცვალოს რაფაელის ნამუშევარიო—გადაჭრით აცხადებს შტირნერი.

„სანჩოს“ უნდა სცოდნოდაო—უპასუხებენ შტირნერს მარქს-ენგელსი,— რომ უმეტესი ნაწილი მოცარტის „რეკვიემის“ დაწერილია არა მისი, არამედ სხვა მუსიკოსის მიერ და რაფაელი თითონ „ასრულებდა“ თავისი ფრესკების სრულიად უმნიშვნელო ნაწილს-ო, რაც შეეხება არაუშუალოდ მწარმოებელ შრომის სხვადასხვა სახეობას, ისინი (ე. ი. კომუნისტები) სრულიადაც არ ფიქრობენ, როგორც ეს სანჩოს ეჩვენება, რომ თითოეული და ყველა უნდა მუშაობდეს რაფაელის მაგიერ, არამედ იმათი აზრია, რომ ყველას, ვისშიაც იმალება რაფაელი, დაუბრკოლებლად შეეძლოს განავითაროს თავისი ნიჭი. სანჩოს ეჩვენება, თათქო რაფაელმა თავისი სურათები შექმნა დამოუკიდებლად რომში მის დროს არსებულ შრომის განაწილებისა. მას რომ რაფაელი შეეძარებია ლეონარდო-და-ვინჩის ან ტიციანისათვის, დაინახავდა, რომ პირველის შემოქმედება უდიდესად დამოკიდებული იყო ფლორენტიული გავლენით მიმდინარე მაშინდელი რომის აყვავებისაგან, ლეონარდოს შემოქმედება—ფლორენციის სოციალურ გარემოსა და ტიციანის კი—ვენეციის სულ სხვაგვარ ისტორიულ განვითარებისაგან. როგორც განურჩევლად ყველა სხვა მხატვრის, რაფაელის შემოქმედებაც განპირობებული იყო ხელოვნებაში მანამდე მიღწეულ ტექნიკურ წარმატებებით, მის ქვეყანაში არსებულ საზოგადოების ორგანიზაციით და შრომის განაწილებით და, ბოლოს, შრომის განაწილებით ყველა იმ ქვეყნებში, რომლებთანაც მისი სამშობლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. მოახერხებს თუ არა რაფაელის მსგავსი ინდივიდი თავისი ნიჭის განვითარებას, ეს საკვებით დამოკიდებულია მოთხოვნილებისაგან, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია შრომის განაწილებისა და მისგან შექმნილ ადამიანთა განათლების პირობებისაგან.

„გერმანული იდეოლოგიის“ ამავე ალაგას მარქს-ენგელსს მოჰყავთ თავი-სი გენიალური მოსაზრებები მხატვრული ნიჭის კონცენტრაციაზე ცალკეულ პიროვნებაში და მხატვრის ტიპის შესახებ კომუნისტურ საზოგადოებაში. ვამჯობინეთ უცვლელად მოვიყვანოთ ეს ნაწყვეტი: „მხატვრული ნიჭის კონცენტრაცია ცალკეულ ინდივიდში და მასთან დაკავშირებული მისი დახშობა მასაში—შრომის განაწილების შედეგს წარმოადგენს. გარკვეულ საზოგადოებრივ

ურთიერთობათა პირობებში ყოველი ინდივიდი ჩინებული მხატვარიც რომ იქნეს, ეს სრულიადაც არ რიცხავს თვითეულისათვის შესაძლებლობას იმავე დროს ორიგინალური მხატვარიც იყოს, ასე რომ აქაც განსხვავება „ადამიანურსა“ და „ერთადერთ“ შრომის შორის სრულ უაზრობას წარმოადგენს. მართალია, საზოგადოების კომუნისტური ორგანიზაციის დროს აღარ არსებობს შრომის განაწილებიდან გამომდინარე მხატვრის ადგილობრივი და ნაციონალური შეზღუდულობა და მისი ჩაკეტვა რომელიმე განსაზღვრული ხელოვნების ფარგლებში, რაც მას აიძულებს გახდეს მხოლოდ მხატვარი, მხოლოდ სკულპტორი და სხვ. მოღვაწეობის დარგის დასახელება უკვე თავისთავად მკვეთრად გამოხატავს პროფესიული განვითარების შეზღუდულობას და დამოუკიდებლობას შრომის განაწილებისაგან. კომუნისტურ საზოგადოებაში არ არიან მხატვრები, არიან მხოლოდ ადამიანები, რომლებიც სხვათა შორის ეწევიან მხატვრობას“.

თითქო აქ გამოთქმულ აზრების კიდევ ერთხელ დასასაბუთებლად ენგელსი ათეულ წელთა შემდეგ „ბუნების დიალექტიკაში“ ისევ უბრუნდება ამ საკითხს და შრომის განაწილებით დაუმახინჯებელ ადამიანის ანალოგიას ეძებს წარსულ საუკუნეებში, ე.წ. ალორძინების ეპოქაში. ეს იყო—ამბობს ენგელსი იმ ეპოქის შესახებ—უდიდესი პროგრესიული გადატრიალება, რომელიც კი მანამდე განუცდიდა კაცობრიობას, ეს იყო ეპოქა, რომელიც საჭიროებდა ტიტანებს და რომელმაც დაბადა აზროვნების სიძლიერის, ვნებას, ხასიათის, მრავალმხრივობის და სწავლულობის ტიტანები. ადამიანები, რომელთაც დააარსეს ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობა, რაც გნებავთ ის იყვნენ, მხოლოდ არა ბურჟუაზიულად—განსაზღვრულნი... იმ დროის ადამიანები ჯერ კიდევ არ გამხდარიყვნენ შრომის განაწილების მონებად, რის შემზღუდველ და დამამახინჯებელ მოქმედებას ჩვენ ასე ხშირად ვამჩნევთ მათ შემკვიდრებებს. მაგრამ რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მათთვის ეს არის ის, რომ ისინი, თითქმის ყველა ცხოვრობენ თავისი დროის ყველა ინტერესებით, მონაწილეობას იღებენ პრაქტიკულ ბრძოლაში, დგებიან ამათუიმ პარტიის მხარეზე და იბრძვიან—ვინ სიტყვით და კალმით, ვინ ხმლით და ზოგი კი—ერთითაც და მეორითაც. აქედან გამომდინარეობს ხასიათის ის სისრულე და ძალა, რომელიც მათგან მთლიანად ამინებს ჰქმნის...

ენგელსი დაულალავად ებრძოდა მეშჩანობას და მის ყოველგვარ გამოვლინებას—პირდაპირს თუ არაპირდაპირს—მუშათა მოძრაობაში მოკალათებულ წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნიზმის, მწერლობაში რეაქციური რომანტიზმის და ილუზიურ, ე. წ. „ნაზი“—ვარდისფერი რეალიზმის სახით. 1890 წ. პაულ ერნსტისადმი მიწერილ წერილში ინსენის შემოქმედების შესახებ იგი განსაზღვრავს გერმანულ მეშჩანობას, როგორც შიგნით გერმანიაში არმომხდარ რევოლუციისა და ქვეყნის განვითარებაში ამით გამოწვეულ შეწყვეტის და შეჩერებისა. „გერმანულმა მეშჩანობამ შემდეგშიაც შეინარჩუნა თავისი ხასიათი, როდესაც გერმანია ხელახლად გაიტაცა ისტორიული განვითარების ნაკადმა—ამბობს ენგელსი. ამან თავისი დალი დაასვა გერმანიის დანარჩენ საზოგადოებრივ ფენებსაც და შექმნა საყოველთაო გერმანული ტიპი, სანამ ჩვენმა მუშათა კლასმა არ გააარღვია ეს ვიწრო რკალი. გერმანელი

მუშები სწორედ იმ მხრივ არიან ყველაზე თავგამოდებულნი „სამშობლოს უარისმყოფლები“, რომ მათ უკუთავდეს გერმანული მეშჩანური შეზღუდულობა“. (ხაზი ჩვენია ა. ა.).

გერმანიის ისტორიული ჩამორჩენით გამოწვეულ რევოლუციის დაგვიანებით ხსნის ენგელსი იმ ფაქტს, რომ ასეთი ბუმბეოაზიკი, როგორცაა „ნამდვილი ზევსი—ოლიმპიელი“ გოეტე სავსებით ვერ განთავისუფლდა გერმანულ ფილისტერობისაგან. „ქემმარიტი სოციალიზმის“ ერთერთმა „წინასწარმეტყველმა“ გრაუნმა, სცადა სწორედ ის განოცხადებია დადებითად გოეტეში, რასაც მისი შეზღუდულობისა და სისუსტის ბეჭედი ემჩნეოდა. მაგრამ ენგელსმა გაანთავისუფლა გოეტე მისი ამბორისაგან და „ბატონ გრიუნის მთელი აპოლოგია და მხურვალე მადლობის სიტყვები, რომელსაც ის ბუტბუტებდა გოეტეს ყოველი ფილისტერული შენიშვნის გამო“ გამოაცხადა „მეურაცხყოფილი ისტორიის უსასტიკეს შურისძიებად უდიდეს გერმანელ პოეტზე“.

შეუძლებელია ხელოვნების და მწერლობის დარგში მარქსის და ენგელსის (ან ცალკე ენგელსის) გამონათქვამების და მით უმეტეს მთელი მემკვიდრეობის თუნდაც სულ გაკვრით და კონსპექტიურად გადმოცემა ერთ წერილში. ამას ესაჭიროება სპეციალური მონოგრაფია, რომელშიაც მარქს-ენგელსის ლიტერატურმცოდნეობის მემკვიდრეობის მკვლევარი ამ დარგის საკითხებს დაუკავშირებს მარქსიზმის თეორეტიულ დებულებათა მთელს ერთობლიობას, მაგრამ სანამ ეს შესრულებული არაა, საჭიროა მათ გამონათქვამთა და სათანადო ნაწყვეტების პოპულარიზაცია, თუნდაც მათი კრებულის გამოცემის სახით.

მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა შევცხოთ ორ საკითხს მარქს-ენგელსის მდიდარ ლიტერატურულ საგანძურთან. ესაა დრამატურგიის პრობლემების ანალიზი და საკითხი რეალიზმის და ტენდენციურობის შესახებ.

პირველ საგანს მიძღვნილი აქვს მარქსის და ენგელსის შესანიშნავი წერილები ლასალისადმი მისი ისტორიული დრამის „ზიკინგენის“ გამო. ერთ და იმავე დროს, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, დაწერილი ეს წერილები აშკლავნებენ მეტად საინტერესო შეხვედრებს ძირითად მომენტებში, უმთავრეს არგუმენტაციაში და ზოგიერთ მნიშვნელოვან დეტალებშიაც.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ მარქსი და ენგელსი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლასალის დრამის პირველმა წაკითხვამ მეტად ააღელვა ისინი. საინტერესო აქ ისაა, რომ დრამის ორი გენიალური მკითხველის აღელვებას სარჩულად უდევს არა ემოციონალური გულჩვილობა, არამედ „ზიკინგენის“ ნაციონალური გერმანული ხასიათი, რაც გამომდინარეობდა ლასალის დრამის თემატიკიდან—არმომხდარი, აცდენილი და დამარცხებული რევოლუციის შესახებ. მარქსი ამასთან აღნიშნავს, რომ განზრახული კოლიზია არა მარტო ტრადიკულია, არამედ ეს არის სწორედ ის ტრადიკული კოლიზია, რომელმაც სავსებით საფუძვლიანად დამარცხებამდე მიიყვანა 1848—1849 წ. წ. რევოლუციური პარტია-ო. შემდეგ ისინი მიუთითებენ ლასალს, რომ მისი ყურადღება სავსებით დაპყრობილი აქვს რევოლუციის აზნაურულ წარმომადგენლებს, რომელნიც გამოხატავენ სამოქალაქო მთლიანობის იდეას, და სრულიად არასაკმარის

სადაა ხაზგასმული და გამოჩენილი არაოფიციალური, პლებეური და გლეხური ელემენტები-ო.

უნდა ითქვას, რომ ლასალის მიერ პლებეური ინტერესების ასეთი უგულვებელყოფის აღნიშვნის დროს ენგელსს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული იმედი, რომ ლასალი საერთოდ ბოლომდე შერჩებოდა რევოლუციურ პოზიციებს. ეს აშკარაა ენგელსის წერილის დასკვნითი ნაწილისაგან, სადაც იგი მოაგონებს ლასალს, რომ მძაფრი და მკაცრი კრიტიკა „ზიკინგენისა“— ეყრდნობა იმ სავალდებულო ურთიერთი კრიტიკის მოთხოვნილებას, რომელიც პარტიის ინტერესებითაა ნაკარნახევი და ყოველთვის ატარებს უკიდურესად აშკარა და გულახდილ ხასიათს. მაგრამ, როდესაც ლასალმა საბოლოოდ უღალატა პარტიას, ენგელსი ლასალის სიკვდილის გაგების დღესვე მარქსისადმი მიწერილ წერილში პირდაპირ პირუთენელ შეფასებას აძლევს რენეგატ ლასალს, როცა სწერს: „ჩვენთვის იგი ამჟამად მეტად არასაიმედო მოკავშირე იყო და მომავალში კი თითქმის დანამდვილები შეიძლება ითქვას ჩვენი მტერი იქნებოდა-ო“. მაგრამ დაუფრუნდეთ „ზიკინგენის“ კრიტიკას.

მარქსი და ენგელსი ერთხმად აღნიშნავენ, გლეხობის და ქალაქების რევოლუციური ელემენტები რომ უფრო არსებით აქტიურ ელემენტს შეადგენდნენ შენს დრამაში, მაშინ შენ მოგიხდებოდა მეტი შექსპირიზირება, ეხლა კი შენს უდიდეს ნაკლად მე ვთვლი შილეროვშიჩინას (ხაზი მარქსისაა. ა. ა.), ე. ი. ინდივიდების გადაქცევას ეპოქის სულისკვეთების უბრალო საყვირებად. ჩანს, როგორც ზიკინგენს, შენ თითონ მოგივიდა ის დიპლომატიური შეცდომა, რომ ლიტერატურულ-რაინდული ოპოზიცია პლებეურ-მიუნცერულ ოპოზიციასზე მაღლა დააყენეო.

ენგელსი, უსვამს რა ხაზს, რომ იდეური მომენტის ხარჯზე არ უნდა იქნას დაეიწყებული რეალისტური მომენტი და შილერის გამო—შექსპირი, ლასალის ყურადღებას მიაქცევს მას, რომ მან ბევრი წააგო, როგორც იდეურად ისე მხატვრულად, როდესაც გამოტოვა დრამის ისეთი უდიდესად გამაცხოველებელი მასალა, როგორც იყო კრელი პლებეური საზოგადოებრივობის გამოყენება. ეს იყო გამოუთქმელად ძვირფასი ელემენტი ავანსცენაზე წარმოებულ აზნაურობის ნაციონალურ მოძრაობისათვის, იგი პირველად და ნამდვილი შუქით გააშუქებდა ამ მოძრაობასო.

ენგელსი უწონებს ლასალს „ზიკინგენში“ მას, რომ მთავარი მომქმედი პირები ნამდვილად წარმოადგენენ გარკვეულ კლასებს და მიმართულებებს (და, მაშასადამე, თავისი დროის გარკვეულ იდეებს) და რომ ისინი არა წვრილმან ინდივიდუალურ ზრახვებში ჰპოებენ თავისი ყოფაქცევის მოტივებს, არამედ ისტორიულ მიმდინარეობაში, რომელშიაც ეს უკანასკნელები ნახულობენ თავის გამოხატულებას. მაგრამ აქ საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ, საქმის ისე მოგვარება, რომ ეს მოტივები წინ წამოწეული ყოფილიყო თვით მოქმედების მსვლელობით, რაც სულ უფროდაუფრო ზედმეტად გახდიდა საარგუმენტაციო, წმინდა ორატორულ სიტყვების წარმოთქმასო. ამასთან დაკავშირებულია მომქმედ პირთა დახასიათება და ამ ხაზით ენგელსი საესებით სწორად სთვლის ლასალის გალაშქრებას მაშინ გაბატონებულ ცუდ (მანკიერ) ინდივი-

დუალიზაციის წინააღმდეგ, რაც გამოიხატებოდა წვრილმანი ჭკუიანობის გამოჩენაში და რაც შინაარსდაცლილ ეპიგონურ ლიტერატურის არსებით ნიშანს წარმოადგენდა. საერთოდ მომავალი დრამის სახე ენგელსს ეხატება, როგორც დიდი იდეური სიღრმის, შეგნებული ისტორიული შინაარსის შეერთება შექსპირულ სიცხოველესთან და მოქმედების სიმდიდრესთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ლასალის ორივე კორესპონდენტი არ ივიწყებენ მისი დრამის ფორმის საკითხსაც. „ეს წმინდა ფორმალური მომენტი—სწერს მარქსი—მაგრამ რახან ლექსად სწერდი, შეგეძლო რამოდენიმედ უფრო მხატვრულად დაგემუშავებია შენი იამბიო. საერთოდ კი, როგორც არ უნდა გაიმრიზონ ამ შენი უყურადღებობის გამო პროფესიული პოეტები, მე მასში ერთგვარ უპირატესობასაც ვხედავ, რადგან ჩვენ პოეტურ ეპიგონებს, გარდა დავარცხნილი ფორმისა არაფერი აღარ დარჩენიათ“.

ენგელსიც ლექსთწყობისადმი ერთგვარად დაუდევარ მოქცევის გარდა, ერთ მეტად დახვეწილ შენიშვნას აძლევს ლასალს მისი დრამის უფრო საკითხავ-ლიტერატურულ, ვიდრე სცენიურ—სათამაშო ხასიათის შესახებ. ერთი ჩემი მეგობრის აზრით, თქვენი დრამა გამოუსადეგარია დასადგმელად მეტად გრძელი მონოლოგების გამო, რომელთა წარმოთქმის დროს თამაში უხდება მხოლოდ ერთ აქტიორს, დანარჩენები კი იძულებულია ორჯერ და სამჯერ ამოსწურონ თავიანთი მიმიკა, რომ უბრალო სტატისტებად არ გადაიქცნენ.

ერთერთ რეცენზიაში მარქსი და ენგელსი რეალისტურ სიმართლეზე დამყარებულ მეთოდს მწერლობაში განმარტავენ როგორც წერას მკაცრი რემბრანტული ფერებით. საჭიროა—მოითხოვენ ისინი, რომ მოძრაობის სათავეში მდგომი ადამიანები (ე. ი. რევოლუციის ბელადები,—ა. ა.) ბოლოსდაბოლოს, გამოყვანილი იქნან მწერლობაში მკაცრი რემბრანტული ფერების საშუალებით და მთელი მათი მკვეთრი სიცხოველით. არც ერთი არსებული აღწერა არ იძლევა მათ რეალურ გამოხატულებაში, არამედ ოფიციალურად, ოჩაფხებებით ფეხებზე და შარავანდედით თავზე. და ამ ფერშეცვლილ რაფაელისტურ პორტრეტებში სავსებით იკარგება სურათის მთელი სიმართლეო. აქ მოცემულია შემდეგი დაპირისპირება: რემბრანტი—რაფაელი, მატერიალისტური და სპირიტუალისტური მეთოდი პორტრეტის მოცემაში, ე. ი. რეალიზმის სიმართლე და ილიზიონური, რეაქციური რომანტიზმის ტყუილი.

მაგრამ მახვილ რეალიზმის რევოლუციურ ძალის და ბრძოლის უნარიანობის შემქმნელ მთავარ საშუალებად ენგელსს მიაჩნია არა პირდაპირ გამოთქმული პუბლიცისტურობა მხატვრულ ნაწარმოებებში (როგორიცაა; სხვათა შორის, პიროვნების გათქვეფა პრინციპში), არა გარედან მიტანილი და მექანიკურად მიკერებული ტენდენცია, არამედ ნაწარმოების ყველა კომპონენტების „უხილავად“ მათი გამსჭვალვა.

ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ენგელსი მიუთითებს ისეთ სახელებს, როგორიცაა ტრაგედიის მამა ესხილოსი და კომედიის მამა არისტოფანე, როგორიცაა დანტე, სერვანტესი, შილერი, თვით ენგელსის თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი რომანისტები (წერილი ეკუთვნის 1885 წ.—ა. ა.) და ამბობს, რომ ყველა ისინი თავიდან ბოლომდე ტენდენციური არიანო. მე ვფიქრობ,

რომ ტენდენცია თავისთავად უნდა გამოდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, უმისოდ, რომ ამაზე განსაკუთრებულად მითითებული იყოს— ამბობს ენგელსი. ნწერალი არაა ვალდებული მზამხარეულად მიართვას მკითხველს მის მიერ გამოსახული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაჭრის გზა და საშუალება.

განსაზღვრავს რა იმ დროის სოციალისტურ ტენდენციურ რომანის კონკრეტულ—ისტორიულ ამოცანას, ენგელსი ამბობს, რომ, რამდენადაც ჩვენს პირობებში (იგულისხმება 1880 წლები ევროპაში) იგი უმეტესად მიმართავს ბურჟუაზიულ და არა პირდაპირ ჩვენი წრის მკითხველებს, მისი ამოცანა საესებით შესრულებული იქნება, თუ იგი კეთილსინდისიერად გამოხატავს რეალურ ურთიერთობას, ააფეთქებს გაბატონებულ პირობით ილუზიებს ამ ურთიერთობათა ბუნების შესახებ, შეარყევს ბურჟუაზიული ქვეყნის ოპტიმიზმს და შთანერგავს ეჭვს არსებულ წესწყობილების საფუძვლების უცვლელობაში—თუნდაც ავტორი ამასთან არც იძლეოდეს საკითხის არავითარ გარკვეულ გადაჭრას და ზოგჯერ არც დგებოდეს ამკარად ვისიმე მხარეზე.

ინგლისელ მწერალ ქალ ჰარკნესისადმი მიწერილ ცნობილ წერილში ენგელსი იძლევა ბალზაკის შემოქმედების შესანიშნავ ანალიზს. ენგელსი მოუწოდებს ჰარკნესს ისეთივე რეალისტური ძალით დახატოს პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიასთან, როგორც ბალზაკმა შესძლო გადმოეცა თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის ურთიერთ შორის ბრძოლა. ენგელსი მიუთითებს ჰარკნესს, რომ მას თავის ნაწარმოებში „ქალაქის ქალიშვილი“ არასწორად ჰყავს ასახული მუშათა კლასი, როგორც პასიური მასა, რომელსაც არა აქვს უნარი უშველოს თავის თავს და რომელიც არც კი ცდილობს ამას. „თუ ეს აწერილობა სწორია 1800 და 1810 წლებისათვის, სენ-სიმონას და რობერტ ოუენის დროისათვის—სწერს ენგელსი—ეს უკვე ასე აღარაა 1887 წელს იმ ადამიანისთვის, რომელსაც პატივი ჰქონდა 50 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიეღო მებრძოლ პროლეტარიატის ბრძოლაში და რომელიც მუდამ ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმეს უნდა შეადგენდეს“-ო.

ენგელსი სთვლის ბალზაკს გაცილებით უფრო დიდ რეალისტ-მხატვრად, ვიდრე წარსულის, აწმყოს და მომავლის ყველა ზოლას—და მის რეალიზმს რევოლუციურ ბურჟუაზიულ რეალიზმის უმაღლეს მიღწევად. მიუხედავად პოლიტიკურ მსოფლმხედველობის რეაქციური ხასიათისა, თავის კოლოსალურ სატირულ ეპოპეაში ბალზაკმა გენიალურად გახსნა კაპიტალისტური განვითარების შინაგანი წინააღმდეგობა და თავის საყვარელ არისტოკრატების დაცემის აუცილებლობასთან ერთად „დაინახა მომავლის ნამდვილი ადამიანები იქ, სადაც კი შესაძლებელი იყო იმ დროს მათი დანახვა“.

თუმც ბალზაკი ამბობს, რომ „საფრანგეთის საზოგადოება თვით ჰქმნის თავის ისტორიას და მე კი მხოლოდ მისი მდივანი ვარ, რომელიც ვაწარმოებ მხოლოდ ჩაწერას-ო“, მაგრამ იგი არაა მარტო მეთვალყურე და აღმნიშვნელი. ბალზაკი ხედავს არა მარტო ფაქტებს, მოვლენების ზედაპირს, იგი ხედავს სოციალურ ადამიანს ღრმად, მან იცის არა მარტო ის თუ რას აკეთებს იგი,

არამედ ისიც თუ როგორ და რატომ აკეთებს. იგი დაუფლებულია ისეთ რეალიზმს, რომელიც ენგელსის გაგებით, გარდა დეტალების სიმართლისა, გულისხმობს ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ გარემოში. ამასთან ერთად ენგელსი ზახს უსვამს ბალზაკის რომანების უდიდეს შემეცნებით მნიშვნელობას და განცვიფრებულია იმ გაქანებით, რომლითაც იგი იძლევა საფრანგეთის სააზოგადოების სურათს, საიდანაც მან ეკონომიური დეტალების მხრივ ამოკრიფა მეტი მასალა, ვიდრე ამას იძლევა მოცემული პერიოდის (1816—1848 წ. წ.) ერთად აღებული ყველა პროფესიული ისტორიკოსი, ეკონომისტი და სტატისტიკოსი.

შეუძლებელია მარქსიზმის გაგება და მთლიანად მისი გადმოცემა ისე, თუ ანგარიში არ გაეწია ენგელსის ყველა თხზულებებსო—ამბობს ლენინი. ლიტერატურმცოდნეობის დარგში ენგელსის ზოგიერთი ნააზრევის აქ მოცემულ მცირე ნარკვევიდანაც მკითხველი დარწმუნდებოდა, თუ რამდენად ორგანიულად და მკიდროდაა შედუღებული ყოველივე ის, რაც შეადგენს მარქსისტული აზროვნების საგანძურს, ამ ორი ბუმბერაზის დაუშრეტელ მექვიდრეობაში.

შესაბამისად იმპერიალიზმის და პროეტარული რევოლუციის თანამედროვე ეპოქისა, მარქსის და ენგელსის დიადმა მოწაფეებმა ლენინმა და სტალინმა—წინ წასწიეს და განავითარეს ახალ პირობებში მარქსისტული ლიტერატურმცოდნეობა.

ენგელსის ნეშთი დასწვეს და ფერფლი მდინარეს გადააფრქვიეს—ეს იყო მისი ანდერძი. მისი იდეები კი ცოცხლობს და ხორციელდება საბჭოთა კავშირის და მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაში და შემოქმედებაში.

სოციალისტურ რეალიზმისათვის

სიტყვა, თქმული კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე

1.

ჩემი მოხსენების თემა მეტად რთულია, ვინაიდან სოციალისტურ რეალიზმზე ლაპარაკი მარტო სალიტერატურო მეთოდზე ლაპარაკს კი არ ნიშნავს, არამედ იმაზედაც, რაც ბრძოლაში იშვიათ მშრომელთა მასების საღრმეიდან, რაც მოდის, როგორც განახლება ქვეყნიერებისა, რამაც შექმნა სოციალისტური რეალიზმის განვითარების და განმტკიცების ყველა პირობა.

ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმა გვერდი ვერ აუქციეს ისეთ მწვავე საკითხს, როგორცაა, მაგალითად, აგრარული საკითხი, გლეხობაზე სწერდა ბალზაკი, გუი-დე-მოპასანი, კნუტ ჰამსუნი, ტურგენევი, ლევ ტოლსტოი, იბანსი, ზოლა, უსპენსკი, ჩეხოვი, ბუნინი. ყოველი ამთავანი გლეხთა საკითხს თავისებურად ეპყრობოდა. „ტეტის წყლულის“ სამკურნალოდ ყველა თავის რეცეპტს იძლეოდა, მაგრამ ვერაფერს ვერაფერს ის ქეშმარიტება, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში იყო ნაპოვნი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

მაგალითისათვის აიღეთ ისეთი შესანიშნავი რომანი ზოლასი, როგორცაა მისი „მიწა“. რომანში გამოყვანილია ორი და—ლიზა და ფრანსუეზა. ამათ ჯერ კიდევ დიდი ნაზი სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ, აი, მამამ დაიწყო თავისი ნაკვეთი მიწის განაწილება და... დები ერთმანეთის დაუძინებელი მტრები გახდნენ იმ წუთს, რა წუთსაც შეეხო მათ საკუთრების საშინელი თათი. და, ბოლოს, ლიზამ ფრანსუეზა ცელით დაჰკლა, რომ ამით მოესპო ნაყოფი დის მუცელში, ვინაიდან ეს ნაყოფი მომავალი მემკვიდრე იყო იმ ციცქნა მეურნეობისა, რომლის ხელში ჩაგდებაც გადაწყვეტილი ჰქონდა უფროს დას ლიზას.

ასეთ ფაქტს ბუნინი რომ შეჰყროდა, შეჰველია, იტყოდა: აი, შეხედეთ, გლეხი თავის ბუნებით მხეცია, რეგენი; ლევ ტოლსტოი შეჰველად გამონახვად და ქადაგად დაცემულს პლატონ კარატაევს, მისცემდა ხელში სანთელს და სიმაღლე-მოთმინების უგუნურ ფილოსოფიის ჩმახვას დააწყებინებდა; კნუტ ჰამსუნი თავს დაესხმოდა ქალაქს და უკან დაიხვედა. უსპენსკი გულუბრყვილოდ აქვითინდებოდა. ზოლამ კი აღნიშნა ის ფაქტი, რომ ადამიანები კარგები იბადებიან, მაგრამ მათ აფუჭებს ის პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ. ზოლამ მხოლოდ აღნიშნა ფაქტი, გამოსავალი გზა კი არ გვიჩვენა. როგორც მის კალმით მრავალ ამხანაგსაც მოსდიოდა, ზოლასაც იმის გამო მოუვიდა ეს, რომ მას მსოფლიო შეზღუდულად ჰქონდა გაგებული. უმთავრესად კიდევ იმის გამო მოუვიდა ზოლას ეს, რომ ყოველი დიდი ნაწარმოები, ბოლოსდაბოლოს, ცხოვრებით იკვებება, მას ცხოვრება განმარტავს. ცხოვრებაში კი ჩიხი იყო.

რუსეთის წინანდელი სოფელი ცოტა რამით თუ განიჩეოდა იმ სოფლისაგან, ზოლას რომ აქვს აწერილი თავის რომანში. იქაც აგრედვე იყო კერძო საკუთრება მიწაზე, წარმოების იარაღზე. ადამიანები აგრედვე კარგები იბადებოდნენ, მაგრამ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ხდებოდნენ იმ წუთს, რა წუთსაც კი კერძო საკუთრებას დაეუფლებოდნენ ხოლმე.

როგორც ყველამ იცის, ამ ჟამად საბჭოთა კავშირში არამც თუ გაუქმებულია კერძო საკუთრება მიწასა და წარმოების იარაღზე, არამედ განდევნილია მინდვრებიდან კავი, შეტანილია ტრაქტორი, კომბაინი, შექმნილია კოლექტიური მეურნეობა. ხოლო ყველაფერმა ამან ერთად მოსპო ის ფაქტორები, რომლებიც ადამიანებს ამხეცებდა და რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაიყვანა ორი და, ზოლას რომანში რომ არის აღწერილი. ყველაფერმა ამან გლეხი გაანთავისუფლა სოფლის იდიოტიზმის უღლისაგან და გლეხთა მრავალმილიონიანი მასა ბუმბერაზული ნაბიჯით წავიდა წინ ნამდვილ ადამიანურ კულტურისაკენ. ეს განთავისუფლება ადვილად როდი მოხდა; ძველი, წარსული, ყოველთვის ტკივილით მოსწყდება ხოლმე, დრამულად, ხშირად ტრაგედიულად, ისე როგორც ტკივილებით იბადება ხოლმე ახალი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში გადაწყვეტილია ერთი მსოფლიო პრობლემათაგანია—აგრარული საკითხი. ეს არის ის ცხოვრებითი მასალა, რომელიც თვალწინ აჩაჰქონია არც ზოლას, არც ბალზაკს, არც ლევ ტოლსტოის, არც ტურგენევის და წარსულის სხვა რომელიმე გენიალურ მხატვარს.

მთელი ჩვენი ქვეყნის ძალთა უდიდეს დაჭიმვით ისეთი ისტორიული საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკაზე, როგორცაა გლეხის—სოფლის ამ გონებაშეზღუდულ ცხოველის—ადამიანად ქცევის საკითხი, არ შეიძლებოდა არ ასახულიყო საბჭოთა ლიტერატურაში. ასეთი მაძრწუნებელი პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტამ მწერალ-მხატვარს ბრწყინვალე მასალა მისცა შემოქმედებისათვის; მწერალი ახალი, მძლავრი საშუალებით შეიარაღდა, აიძულა იგი გლეხურ მასისათვის სულ სხვანაირად შეეხედნა, ისე არა, როგორც უცქერდნენ მას რეალისტურ სკოლის გენიალურა წარმომადგენლებიც კი.

ასე გადიშალა მწერლისათვის ახალი ქვეყანა.

2.

კაცობრიობის და, მეტადრე ლიტერატურის ჭეშმარიტი კულტურის ისტორია ჰუმანიზმის და „სოციალურ სამართლიანობის“ ნიშნით ვითარდებოდა. (ასე ეგონათ, მაინც, კულტურისა და ლიტერატურის შემქმნელებს) და ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლების საუკეთესო იდეალები ჰუმანიზმის იდეალებით იყო გამსჭვალული, უსათუოდ. თუმცა, დიდი შემოქმედებებიც, ხანდახან, რაკი ჩიხში მოემწყვდებოდნენ, დასცდებოდნენ ხოლმე კიდევ და აცხადებდნენ, ადამიანებს ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც „მასტაღონტებს და ხეითქსა“-ო (ფლობერი). მაგრამ წარსულის საუკეთესო წარმომადგენლებმა თავიანთი დროის გმირების მხატვრული შემოძრწუნებელი სახეები შექმნეს. ამას ვერ წავეართმევთ მათ.

ისინი—მხატვრულ სიტყვის ეს ოსტატები—ხანდახან ქვევითაც ჩადიოდნენ, მუშათა უბნებში მიდიოდნენ, დასტიროდნენ ლარიბებს, მდიდრებს მარისხანე თვალებით გადახედავდნენ ხოლმე. მაგრამ ვერა ხედავდნენ მუშათა კლასის რეალურ ბრძოლას ახალი ქვეყნის დასამყარებლად, სადაც განხორციელებული იქნება ჰუმანიზმის ზედმიწევნით ნამდვილი იდეალები და ამიტომ მუშათა კლასი მათ წარმოდგენილი ჰყავდათ ან როგორც მათხოვარა მასა, ყოველნაირ ბილწმეყრილი (ზოლა), ან როგორც აულაგმავი ნახირი (კელერმანი), ხოლო მუშათაგან გამოსული მათი გმირები ან ილუპებიან, ან გული უტყდებათ თავიანთ თავზედაც და თავიანთ კლასზედაც.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ისტორიაში უნახავი ბრძოლა გადიტანა, კაპიტალისტების ბატონობა დასცა და შეღდგე, ხშირად ცუდითა და ნიჩბით, ხანდახან ორმოცგრადუსიან ყინვაში, ძველი, ტილიანი რუსეთის გარდაქმნა დაიწყო... და გარდაქმნა კიდევ; აგრარული, ჩამორჩენილი ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად აქცია და ამით პრაქტიკულად განახორციელა ისტორიის საუკეთესო ადამიანების ოცნება. რამდენი ადამიანი—ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები—ოცნებობდა მშუოთვარე დნებრზე აეგოთ ჯებირი და ურჩი წყალი ადამიანის მსახურად გამოეყენებინათ. ამბობენ, ეკატერინე II-ის დროიდან მოყოლებული პროექტები 900 ფუთია დაწერილიო, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მოახერხა. და, აჰა, მოვიდა მუშათა კლასი და დნებრის მშუოთვარე წყალი ადამიანის სამსახურად აამუშავა. ვინ გადააქცია ქალარა ურალი ინდუსტრიის ცენტრად, ვინ დაიპყრო შორეული, ველური კუხნეცკის აუზი, ვინ ააშენა ქვეყნად საუკეთესო მეტრო? ასე, ქვეყნის გარდაქმნასთან ერთად მუშათა კლასმა თავისი თავიც გარდაქმნა. მაგრამ ესეც ცოტაა. მუშათა კლასი მარტოკა არ დარჩენილა. მან, წყეულ ცხოვრების ფსკერიდან თან გაიყოლა საბჭოთა კავშირის უზარმაზარი სიერცის მცხოვრებნიც.

წარსულის რომელ მხატვარს ჰქონდა თვალწინ ასეთი მასალა?

კაცობრიობის ისტორიაში შემარყეველი ამბები მოხდა: დედამიწის ერთ მეექვსედზე, ას სამოცმა მილიონმა მცხოვრებმა, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით თვალთაგან ბლანდი მოიგლიჯა, დაგლიჯა ძველი ტრადიცია, ძველი შეხედულებები და ერთ დიდ ოჯახად შეერთდა. ქვეყნიერებიდან ოდესღაც გაძევებული მთიელი შორელი, უწიგნო, გაველურებული იაკუტი, ჩრდილოეთის მცხოვრები სამოედი, დაბეჩავებული თათარი, ტრახომით დახრული მორდენი, განაწამები მცხოვრები კავკასიონის ქედისა, დენილი კალმიკი, მუშა და გლეხი, სწავლული და პოლიტიკოსი, მხატვარი და მწერალი—ათეულ მილიონობით ხალხი, განცალკევებულ ეროვნებათა ათეულები, სულ მთლად ას სამოცი მილიონი მცხოვრები, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის ქურა განელო, ჯიუტად და ბეჯითად ანახლებს თავის ქვეყანას, ჯიუტად და ბეჯითად ეუფლება კულტურის ციხე-სიმაგრეს და მთელი ქვეყნიერებისათვის განახლება მოაქვს.

და ვინც ბრმა არ არის, ხედავს: ეს ხომ ახალი ეპოქაა, ეპოქა პროლეტარული რევოლუციისა.

და თუ რეაქციის ეპოქამ, მტანჯველი გულგატეხილობის ეპოქამ, მწერალს ცოცხალ სინამდვილისაგან ხელი იდეალისტურ თხზვისაკენ ჰკრა და როგორც

აუცილებელი რამ, რომანტიზმის სკოლა შექმნა, ხოლო რომანტიზმის სკოლამ, თავისი მხრით, გზა გაუკაფა კრიტიკულ რეალიზმს — ესეც აუცილებელი მოვლენაა თავისი ეპოქის — პროლეტარულ რევოლუციის ეპოქას არ შეეძლო გვერდი აეხვია ლიტერატურისათვის, ხელოვნებისათვის.

ხომ ყველამ იცის, რომ რეალისტურ სკოლის განვითარება და განმტკიცება კაცობრიობის უდიდესი მონახვევი იყო. მაგრამ რა გინდ დიდი იყოს კრიტიკულ რეალიზმის მინალწევი, ამ სკოლის უდიდეს ნაწარმოებთა განხილვით ვიცით, რომ გენიალურ შემომქმედთაც კი მხოლოდ იმისი უნარი ჰქონდათ, რომ გაეკრიტიკებიათ არსებული წყობილება, ემხილებიათ „საზოგადოების ბიწიერება“, გამოესახნათ „პიროვნების ცხოვრება და თავგადასავალი ოჯახურ ტრადიციების, რელიგიურ დოგმატების, უფლებრივ ნორმების მუხრუჭებში“ (დ. გორკი), მაგრამ არც ცხოვრების მაგალითები ჰქონდათ, არც კადნიერება, არც გამბედაობა იმისათვის, რომ ეჩვენებიათ ქვეყნისათვის გამოსავალი გზა იმ ჩიხიდან, სადაც შეაგდო ადამიანი ისტორიამ.

ჩიხიდან გამოსავალი პროლეტარიატმა გვიჩვენა, გვიჩვენა რეალურად და იგი გზა უცილებელი ფაქტია. და ამაშია პროლეტარულ ეპოქის ხასიათი. და ამან, ამ ახალმა ეპოქამ, როგორც აუცილებელი რამ, ლიტერატურაში ახალი მიმდინარეობაც შექმნა, საბჭოთა კავშირში სოციალისტურ რეალიზმად წოდებული.

სოციალისტური რეალიზმი, მაშასადამე, გამოგონებული რამ არ არის, არამედ აუცილებელი მოვლენაა პროლეტარულ ეპოქისა. სოციალისტური რეალიზმი, ეს პროლეტარულ ეპოქის მეთოდია, ლიტერატურული სკოლა, რომელიც კრიტიკულ რეალიზმის შემცვლელად მოდის. მაგრამ ასეთი განმარტება მეტად ზოგადია და ჩვენ გვსურს უფრო კონკრეტულად გამოვთქვათ იგი, თუნდაც ისეთ მალეღვებელ საკითხებით, როგორცაა ქალთა თანასწორ უფლებიანობის საკითხი, ქორწინებისა, სიყვარულისა და სხ.

3.

განრისხებაში ჩავარდნილმა ოტელომ — შექსპირის პიესიდან — თავისი საყვარელი ცოლი მოჰკლა, რადგანაც ეჭვი შეიტანა, მალატობსო და, შემდეგ, თითონაც მოიკლა თავი... მაყურებელი პუბლიკა გრგვინავს, ტაშს უკრავს, ცათამდე აჭყავს იგი, როგორც გმირი, ხოლო როცა შექსპირის პიესას „ოტელოს“ ჩვენი მაყურებელი უცქერის, იგი ტაშს უკრავს გენიალურ შექსპირს და ამბობს:

— პიესა ხელოვნურად არის დაწერილი, მაგრამ ოტელოს საქციელი კი სისულელეა. ჯერ ერთი, ცოლს მისთვის სულაც არ უღალატია, მეორეც ის, რომ თუნდაც ეღალატა, რა უფლება აქვს ოტელოს ცოლის სიცოცხლეზე. ყველას შეუძლია უყვარდეს ის, ვინცა სურს.

ასეთმა მაყურებელმა, შეიძლება, არც კი იცის, რომ 1902 წელს ფსიქოლოგიის პროფესორმა ოტო ვაინინგერმა გამოსცა წიგნი „სქესი და ხასიათი“. ამ წიგნში მან მობილიზაცია უყო მეცნიერების მისთვის საჭირო მონაცემებს და ამტკიცებდა, რომ ქალი თავის ბუნებით მამაკაცზე დაბლა სდგას და ამიტომ ქალის ხვედრია — ჩგრები, სამზარეულო და ლოგინის კუთვნილებად ყოფნა.

ხოლო გაავწყლულებული ქალთმობილეთ შოპენჰაუერი უფრო მეტი სიაფთობით დაეცა ქალს და განაცხადა, ქალს უნდა ვასწავლოთ კულინარული ხელოვნება, ცოტა მუსიკა, ხოლო პოეზია, პოლიტიკა და მეცნიერება მისი ჭკუის საქმე არ არისო. ამათ არც ნიცშე ჩამორჩა. მან პოეტურ ფორმით ამცნო ქვეყანას: შენ, მამაკაცო, თუ ქალთან მიდიხარ, შოლტიც თან წაიძღვანეო.

არა. ჩვენმა მკითხველმა, მაყურებელმა—სოციალისტურ სინამდვილის შემქნელმა—საუცხოოდ იცის, რომ ბურჟუა ქვეყნიერებას თავის სახიერებისა და მსგავსების მიხედვით აგებს და აქებ-ადიდებს იმას, ვინც სცდილობს „მეცნიერულად“ დაამტკიცოს, რომ დედამიწაზე ბურჟუის საქმენი ბუნების კანონია—აუცილებელი, ურყევი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. ამიტომ, შემთხვევით არ მოხდა, რომ ფრაკებში გამოწყობილ ბნელეთელების წიგნები ყოველ ეგრედწოდებულ კეთილმორწმუნე, ბურჟუისათვის მაგიდაზე სადები წიგნია, ხოლო ოტო ვაინინგერის თეორიას ფაშისტები თანამედროვე გერმანიაში განსაკუთრებული ჯიუტობით ანხორციელებენ და თუ ვაინინგერის სახელს არ ახსენებენ, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი არიელი კი არ იყო, არამედ სემიტელი.

არა. ჩვენმა მკითხველმა, მაყურებელმა იცის, რომ ფრაკებში გამოწყობილ ბნელეთელების სწავლა ცოტა რამით თუ განსხვავდება მოღვაწის ჯაჭვით შემოიხილ მოქრისტიანო იდიოტ ბნელეთელების ქადაგებისაგან. სხვა რამეც იციან. იციან, რა წამს გაჩნდა კერძო საკუთრება და საშინაო მეურნეობამ საზოგადოებრივი ხასიათი დაჰკარგა, ქალი მონად იქცა და ამას თავისი შედეგები მოჰყვა: მას წაართვეს სამოქალაქო უფლებები, განარიდეს პოლიტიკურ მოღვაწეობას, მეცნიერებას, დამალეს დარბაზებში, ჰარამხანებში, სასახლეებში, საროსკიპოებში, აქციეს საქონლად, რომელსაც ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ ზოგან ფარულ ფორმებით, ქორწინების სახით, ზოგან აშკარად, პირდაპირ ბაზრებზე.

მუშათა კლასმა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად რევოლუციის პირველ დღეებშივე შავბნელეთელთა ყოველგვარ სწავლის წინააღმდეგ მიანიჭა ქალს სრული პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები. ამ უფლებების მიღებისთანავე ქალები მიაწყდნენ ქაჩხნებს, საბჭოთა დაწესებულებებს და სასწავლებლების კარებს, რომლებიც მათ წინ გაიღო და პრაქტიკით გადააყირავეს ოტო ვაინინგერის, შოპენჰაუერის, ნიცშეს და ლიტერატურაში მათი მიმდევრების სწავლა—პშიბიშვესკისა, უკანასკნელ წლების ლეონიდ ანდრეევისა და სხვათა მრავალთა—რიცხვი მათი უთვალავ არს.

დახედეთ ჩვენს ქვეყანას. ქალი-ბრიგადირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ქალი-აგრონომი, ინჟინერი, ქალი-პროფესორი, სწავლული, ქალი-სახალხო კომისარი, ელჩი, მთავრობის წევრი, ქალი-მფრინავი, პარაშუტისტი, ქალი-ხარატი, კომბაინერი, ქალი-დედა—ეს ყველაზე ძვირფასი არსება სახელმწიფოსათვის. ქალმა ბრძოლით შეიძინა თავისათვის ზედმიწევნით ნამდვილი თანასწორობა, ზედმიწევნით ნამდვილი თავისუფლება და აიძულა ყველა პატივი სცემ მას, მოეპყრან როგორც თანასწორს. ამისთანა ქალთან ველარ მივა შოლტიანი ადამიანი.

ასე ჩამოინგრა ძველი ცნება ქალზე, როგორც სუსტ, უნებო არსებაზე, რომელსაც მხოლოდ შვილების შობის უნარი აქვს. ასე გადაწყდა ჩვენში კიდევ ერთი მსოფლიო პრობლემა—ქალთა თანასწორუფლებიანობის პრობლემა და ამასთანავე, მოისპო ის ტრაგედიები, რომლებითაც სავსე იყო ყველა ოჯახური რომანი რეალისტურ სკოლის წარმომადგენლობისა. გაიხსენეთ გამოჩენილი რომანი ლევ ტოლსტოისა—„ანა კარენინა“. რაშია აქ ტრაგედიის არსი? ანას შეუყვარდა ვრონსკი, ეს გაიგო ბლენძია კარენინმა, რომელიც ანას სულ არ უყვარდა; კარენინი არ ანებებს ანას შვილს, არ ეყრება, „საზოგადოებამ ანასაგან პირი იბრუნა და გაწამებული, გატანჯული ანა მატარებლის ქვეშ ჩავარდა“.

განალა მოსაფიქრებელია ასეთი ტრაგედია ჩვენს ქვეყანაში? არა. ჩვენი ქვეყნის ქალმა თუ სხვა ვინმე შეიყვარა, მას თავისუფლად შეუძლია განშორდეს თავის არსაყვარელ ქმარს და თუ ქმარი შვილებს არ ანებებს, კანონის ძალით დაუბრუნებენ. იქნებ ჩვენს ქვეყანაში ხდება ისეთი ტრაგედიები, როგორებიც აღწერილია „მადამ ბეარში“, ან ტურგენევის რომანში „რუდინ“, ან მოპასანის რომანებში აღწერილი ტრაგედიების მაგვარი ან, იქნებ არის ისეთი ტრაგედია, როგორიცაა „წვეფე ლირი“? არც ეს არის. ვინაიდან ჩვენში ქალი და ვაჟი მხოლოდდამხოლოდ ნებაყოფლობით შეიყრებიან ხოლმე. ჩვენში ქორწინება არ არის ვაჭრობა, სადაც ყველაზე წინ მუდამ წამოწეული იყო ნივთი, ფასეულობა. ჩვენს ქვეყანაში ქორწინება სქესთა მხოლოდამხოლოდ ნებაყოფლობითი თანხმობაა. ასეთი ქორწინება საბოლოოდ სპობს საროკიპოებს, გარყვნილებას, აიძულებს ადამიანებს სათუთად მოეპყრან ერთმანეთს, აქედან სიყვარული სულ სხვანაირად გამოიყურება: იგი წმინდაა, ჯანსაღი, ისეთი, როგორიც ბუნებით უნდა იყოს.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, ვითომც საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ყველაფერი რიგზე იყოს. სულაც არა. საქმე ის არის, რომ იმ პირობებში, რომლებსაც უკლასო, სოციალისტური საზოგადოება ჰქმნის, ლიტერატურის „მუდმივი“ თემების ნაწილი სრულებით ქრება, კვდება, ნაწილს კი აზრი ეცვლება. „ჩვენი ეპოქა გაცილებით უკურო მეტად მხიშველოვან და ტრაგედიულ თემებს ვგთავაზობს“ (მ. გორკი). ცხოვრებაში ბევრი დრამაა, ბევრი ტრაგედია, ისინი ლოდინით მძლავრნი არიან და დიდრონნი. ეს დრამები და ტრაგედიები საზოგადოების თემების შიგნით რომ ხდება, მაშასადამე ყოველი ადამიანის შიგნითაც, ეს არის ბრძოლა ძველ ჩვევებთან, ჩვეულებებთან, წარსულის მემკვიდრეობასთან და ზრდა ახლისა განა დრამული არ არის? ეს ბრძოლა მკაცრია, ადამიანისაგან ცოტას არ მოითხოვს მისხვერპლს და გონების და ნების დაძაფვას. მაგრამ ამ ბრძოლაში ახალი ადამიანები იწრთობიან, სხვანაირი შეხედულებებით ოჯახზე, შვილებზე, მშობლებზე, მოხუცებულებებზე, ნივთებზე, თავის ქვეყანაზე. და სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენელ მწერლისათვის აქ იხსნება ადამიანის ახალ, კაცურ განცდათა უმდიდრეს საბადოებიანი კლონდაიკი.

მაშასადამე, სოციალისტური რეალიზმი არა თუ მხოლოდ აკრიტიკებს, არამედ ადასტურებს კიდევ ახალს, არა თუ სხვანაირად ხედავს წარსულს, არამედ

ნათლად აქვს წარმოდგენილი კაცობრიობის აწმყო და მომავალი. სოც ალისტური რეალიზმი ცხოვლად მომქმედია, მხნე, გამბედავი, კადნიერი, თვით პროლეტარულ რევოლუციასავით კადნიერი, გამბედავი.

ცხადია, სოციალისტურად რეალისტური ნაწარმოები მხოლოდ ის ნაწარმოები შეიძლება იყოს, რომელიც სოციალისტურ სინამდვილის ფაქტებით იქნება სავსე, რომელიც პერსპექტივას იძლევა, ამობილიზებს, უზმობს მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის საბრძოლველად. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომც მხატვარს, რომელსაც სოციალისტური რეალიზმი დაუფლებია წარსულში გადახედვა არ შეეძლოს. პირიქით, ის მოვალეა—და ამისათვის ყველა პირობა აქვს—გადიხედოს წარსულში და ახლებურად, მართლად ასახოს იგი, ისე, როგორც ესა ჰქნა, მაგალითად, მაქსიმ გორკიმ თავის რომანში „არტამონოვების საქმე“, ანრი ბარბიუსმა თავის რომანში „ცეცხლი“.

სოციალისტურ რეალიზმს სულაც არ სურს გადაადგოს წარსულის კულტურა—ამ სურვილს თავზე რომ ახვევენ მას—პირიქით, იგი ისრუტავს წარსულის ყოველივე კარგს და წარსულის საფუძველზე კრიტიკულად შეითვისებს წარსულს, მიიწევს წინ და ჰქმნის ახალს. სოციალისტურ რეალიზმის წარმომადგენლებს სავსებით ესმით, რომ წარსულის დიდებულ მწერლების მოწაფეები არიან, მაგრამ სურთ—და ამისთვის საფუძველიც აქვთ—გახდნენ მასწავლებლები.

5.

ჩვენ წარსულის გენიალურ მხატვრებისაგან ვსწავლობთ. მაგრამ თუ მათი გმირი უმაღლეს სფეროს ადამიანია, ჩვეულებრივ ისეთი ადამიანები, რომლებიც შრომის საწარმოო პროცესებს არიან მოწყვეტილი, ე. ი. უპრაველესობა უსაქმური, უსაქმურობის გამო „მსოფლიო სევდით“ დაავადებული, ხშირად კი—გაიძვერები, ქურდები, ვიგინდარები, რომლებიც გამოყვანილი არიან ბირჟაზე, სამოვართან, რესტორანში, სამორინო მაგიდასთან, დოღზე; ჩვენი გმირი მშრომელია, სწავლული, პოლიტიკური მოღვაწე, ვინც სისხლით არის დაკავშირებული მასებთან, კოლექტივში მუშაობს მთელი კოლექტივისათვის და იმავედროს თავისთვისაც.

ახლა კოლექტივს უფრთხიან როგორც შავ ჭირს, ხოლო ისეთმა სწავლულმა, როგორიცაა ჰერბერტ სპენსერი, ტრაქტატიც კი დასწერა—„მომავალი მონობა“, სადაც სცილილობდა დაემტკიცებინა კოლექტივს მსოფლიო მონობა მოაქვსო. რა არის კოლექტივი? ეს არის საზოგადოება, სადაც ადამიანისათვის უმაღლესი არსება თითონ ადამიანია. ასეთ საზოგადოებაში გამქრალია ყველა ის პირობა, „რომელშიც ადამიანი დამცირებულ, დამონავებულ, დაბეჩავებულ არსებად არის გადაქცეული“ (კ. მარქსი). კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანი კი არ არის წინ წამოწეული, არამედ ნივთი—მატერიალური ფასეული. აიღეთ შესადარებლად რომენ როლანის „ჟან კრისტოფ“ და ზოლასი—„ფული“—ამ უდიდეს ნაწარმოებებში გამოყვანილია შემოქმედების უნარით დაჯილდოვებული ორი ადამიანი, ერთი ხელოვნების დარგიდან—ჟან კრისტოფ, მეორე ვაქ-

რობის დარგიდან — გუნდერმანი. ჟან კრისტოფს ვერ მიუხვდა საზოგადოება, რადგანაც მის შემოქმედებას მოხვეჭის წყურვილი არ მიერეკება და, იმის მიუხედავად, რომ გუნდერმანზე ათჯერ უფრო ნიჭიერია, საზოგადოება არ იღებს, აძევებს მას. გუნდერმანი კი — გონებათა მპყრობელია, ვინაიდან მის ზურგს უკან ოქროთი სავსე საოდაფებია. წაართვით ეს ოქრო და საზოგადოება მას აითვალწუნებს ისე, როგორც შემდეგში აითვალწუნა გუნდერმანის მოქიშპე საკკარი.

მე თითონ ვმსახურებდი ერთ კაპიტალისტთან და ექვსიოდე წელიწადი ვაკვირდებოდი „ჩემს ხაზინს“. იგი ნიჭიერი კაცი იყო, საუცხოოდ მოხერხებულ და მეტად ენერგიული, მაგრამ რა განაგებდა მის ნიჭს? დოლარი, რუსულად „Цельковый“*) მოგების წყურვილი. და ის საზოგადოება, რომელიც მას გარს ეხვია, პატივსცემდა მის კაპიტალს და არა თითონ მას. ზოგნი, იმიტომ სცემდნენ პატივს, რომ იგი უსასტიკესი კონკურენტი იყო მათი, ზოგნი კი იმიტომ, რომ მათ ექსპლოატაციას უწყევდა.

შემდგომში მე მომიხდა საბჭოთა კავშირში დაგვირგვინებული ნიჭიერ ხალხს. აი ფრანკფურტი — კუზნეცკის სამეტალურგო ქარხნის მშენებლობის უპროსი. ეს კაციც იწოდა საქუშაოზე, შემოქმედების საუცხოო უნარს იჩენდა. რა ხელმძღვანელობდა მის შემოქმედებით ნიჭს? ფული? არა. იმ ფულის აღება, რასაც კუზნეცკში იღებდა, მას მოსკოვშიც შეეძლო. დაგროვების წყურვილი? არა. იგი ქარხანას თავისთვის კი არ აშენებდა. არამედ სახელმწიფოსათვის. და ერთხელ ვკითხე:

— რამ გაიძულათ წამოსულიყავით აქეთ, ციმბირის ამ ყრუ ადგილებში, მოსკოვში კი დაგეტოვებინათ მშვენიერი ბინა, მოშორებოდით მეგობრებს, ოჯახს?

— შემოქმედებამ — გვიპასუხა ფრანკფურტმა — გარდაექმნათ კატორგული ციმბირი სოციალისტურ ციმბირად და ამასთან ერთად, მშენებლობაზე გარდაექმნათ ათიათასობით ხალხი და ამით გავამავროთ ჩვენი საზოგადოება — კოლექტიური საზოგადოება. აი რა გვხელმძღვანელობს მე, თქვენ.

როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის შემქმნელთა ნიჭიერებას სხვანაირი მოტივები ხელმძღვანელობს. და ასეთ შემოქმედებს საზოგადოება აფასებს, უყვარს. უყვარს ასეთი შემოქმედები და აფასებს მათ ენერგიას, ნიჭს. ასევე უყვარს და აფასებს ჩვენი საზოგადოება ჟან კრისტოფს და მისთანებს და სცილილობს ისეთი პირობები შეუქმნას მათ, რომ მათი ნიჭი გაიფურჩქნოს, არა თუ ჩაქრეს. მაშასადამე, კოლექტივში საშინელი არაფერია. პირიქით, მხოლოდ კოლექტივი ქმნის ნიჭთა სრული გაფურჩქენის პირობებს.

როგორც ვხედავთ, კოლექტივში ადამიანის ნიჭს, უნარს და საერთოდ ადამიანს სულ სხვა მოტივები ამოძრავებს, ვიდრე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაშასადამე, სოციალისტური რეალიზმი არა თუ მხოლოდ ადასტურებს და იძლევა პერსპექტივას, არამედ სულ სხვანაირადაც გვიჩვენებს გმირს, სულ სხვა საფუძვლებზე, ვიდრე წარსულის მხატვრები გვიჩვენებდნენ თავიანთ გმირებს.

* რუსული ხალხური სახელი მანეთიანისა, სიტყვიდან „Цельный“ მთელი, — მთლიანი. რედ.

ჩვენ წარსული ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენლებთან ვსწავლობთ. ჩვენ ძვირად ვაფასებთ შექსპირსაც, ჰიუგოსაც, ბალზაკსაც და ყველა მათ ნიჭიერ მიმდევარს. მაგრამ ვიცით: წარსულის ლიტერატურის გენიალურმა მწერლებმაც კი სავსებით ვერ სთქვეს ცხოვრების სიმართლე, რადგანაც მათი კლასი შეზღუდული იყო. ხოლო უაზრო ბუშები, რომელთა რიცხვი თანამედროვე საზოგადოებაში უთვალავია, ცხოვრების სიმართლის მოცემის მაგიერ სიცრუეს გვაპარებენ. ცხოვრების სამართლის საჩვენებლად მათ თავიანთი კლასი, თავიანთი თავი მთლად უნდა გამოამჟღავნონ, უნდა დაგვანახონ მხეცური სახე იმათი, ვინც მათი კალამი იყიდა. ბუშებს ასეთ ნაბიჯის გადადგმის შნო არა აქვთ, ამიტომ ისინი ყველაფერს გამოიგონებენ ხოლმე, ოღონდ თავიანთი გასასყიდი ბუნება დაჰფარონ: გამოიგონებენ ხოლმე ვითომც პოლიტიკა ამცირებს მწერალს, ვითომც მწერალი კლასთა ყოველნაირ ინტერესებზე მაღლა სდგას. მაგრამ წერა-კითხვის ცოტაოდენ მცოდნესაც კი ესმის, რომ „ადამიანი სინამდვილის გარე-ითად შეუცნობელია, სინამდვილე კი თავით ბოლომდე პოლიტიკითაა გაჟღენთილი“ (მ. გორკი).

სოციალისტური რეალიზმი მწერლისაგან ცხოვრების სიმართლის სრულ ჩვენებას მოითხოვს და ამას არ ეშინია ამისი, რადგანაც ცხოვრების თვით სიმართლეა სოციალისტურ რეალიზმის მხარეზე.

სოციალისტურ რეალიზმის წარმომადგენლები პირდაპირ და გულახდილად აცხადებენ, რომ მუშათა კლასს ემსახურებიან, მშრომელ გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას და ამას არ მალავენ, არა სცხვენიათ ამისი. პირიქით, ამაყოფენ, რადგანაც აქვთ კიდევ საამაყო, ვინაიდან მშრომელი ზედმიწევნით ნამდვილი გმირია თანამედროვე ისტორიისა, ქვეყნიერებისათვის ზედმიწევნით ნამდვილი თავისუფლების, ზედმიწევნით ნამდვილი თანასწორობის მომჩინი.

ჩვენ წარსულის ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენელთაგან ვსწავლობთ და კულტურის და ლიტერატურის შემქმნელებს საუკეთესო ძეგლებს საბჭოთა კავშირში დაუდგამთ. მაგრამ „ისტორია გვასწავლის—ამბობს გორკი—რომ ენა მეტად სწრაფად მდიდრდება ადამიანთა უაღრეს მოქმედების ეპოქებში, შრომის ახალ ხერხების სხვადასხვაობათა და კლასთა წინააღმდეგობის გამწვავებასთან ერთად“.

სოციალისტური რეალიზმი ყოველნაირ ჟანრს მიიღებს. მაგრამ იგი ემყარება შინაარსს ხელოვნებაში, რადგანაც ახსოვს, რომ ის ლიტერატურული მიმართულებანი, რომლებიც უგულველჰყოფდნენ შინაარსს ხელოვნებაში, უშინაარსო, უსაზღვრო კომპოზიციებს მიაღვენენ. ამისთანა კომპოზიციებს კი შეგვიძლია ნებისმიერი ფორმულა მივუყენოთ. ამან კი, თავის მხრით, უსახეობასთან მიგვიყვანა, ხოლო უსახეობა წინ აღუდგება ხელოვნებას, ანგრევს მას.

ჩვენ კლასიკოსების მხარეზე ვართ, მაგრამ ვიცით, რომ კლასიკოსების მიმდევრები წარსულში ორ ძირითად ბანაკად გაიყვნენ: ერთი მათგანია—რომენ როლანი, ბარბიუსი, ანდრე ჟიდ, ჰენრიხ მანი, დრაიზერი და სხვა—რომელთაც ამაყად, თავდადებით მოაქვთ წარსული ლიტერატურული ქვეყ-

ნის საუკეთესო წარმომადგენლების დროშა და თავიანთი ქმნილების მთელი პრაქტიკით გზა გაუკაფეს სოციალისტურ რეალიზმს. მეორეებმა—ჰამსუნმა, კელერმანმა და მათმა მსგავსებმა ეს დროშა გათქერეს, გასვარეს. ჩვენ ამათთან არა ვართ.

ჩვენ კლასიკების მხარეზე ვართ, მათ ნიჭიერ მიმდევრების მხარეზე, მაგრამ ჩვენ უკვე გვყვანან სოციალისტურ რეალიზმის ჩვენი ფუძემდებელნი. ეს არის მაქსიმ გორკი თავისი გენიალური ნაწარმოებით „დედა“, „არტამონოვების საქმე“, „კლიმ სამგინი“, „ეგორ ბულიჩოვი“ და სხვები. ეს არის სერაფიმოვიჩი თავისი „რკინის ნიაღვართ“. ხოლო საბჭოთა სინამდვილემ—მრავალფერადმა, სახიერმა შემომქმედმა უკვე შექმნა საუკეთესო პლეადა მწერლებისა, რომელთა წიგნები ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. ესენი არიან პროზაში—ლევონიდ ლეონოვი, შოლოხოვი, ვსევოლოდ ივანოვი, ერენბურგი, ტოლსტოი, ლიბედინსკი, ფადეევი, ანაკარაევა და სხვანი. დრამატურგიაში—ბილ-ბელოცერკოვსკი, პოგოდინი, რომაშოვი, კირშონი, აფინოგენოვი და სხვანი. პოეზიაში მაიკოვსკი, ბაგრიცკი, ასეევი, ტიხონოვი. დემიან ბედნი, ბეზიმენსკი, პასტერნაკი, სელვინსკი და სხვანი. ამათ კი ათეულობით, ასეულობით მოსდევენ ახალგაზრდა ნიჭიერები, რომლებიც მშრომელთა ასების სიღრმიდან მოდიან. ამათ ლიტერატურაში მოაქვთ სისხლი და ხორცი ჩვენი დროისა.

უსათუოდ, ყოველი ჩვენი მხატვართაგანი თავისი გზით მიდის, არ კარგავს თავის სტილს, თავის ინდივიდუალობას, მაგრამ ყველანი ჩვენ ერთად მივი-სწრაფით სოციალისტურ რეალიზმის პოზიციების დასაპყრობად, იქითკენ რომ შევქმნათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა, და არც შეიძლება ყოფილიყო.

ჩვენ საუტხოვოდ ვიცით: იმისათვის, რომ სოციალისტურ რეალიზმის წარმომადგენელთა რიგებში ვიყვეთ, მარტო ნიჭი არ კმარა. საჭიროა, უნარი გვექონდეს ცხოვრება საკუთარი ხელით მოვსინჯოთ, საჭიროა მონაწილენი ვიყოთ კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლისა, მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებზე ვიდგეთ. კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის აქტიური ბრძოლა მწერლის წინაშე აყენებდა და აყენებს უდიდეს სოციალურ პრობლემებს, აძლევს გამარჯვების რწმენას, პერსპექტივას და ძალას. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ რამდენიც ძალა და შესაძლებლობა გვაქვს, სოციალიზმისათვის საბრძოლველად მობილიზაცია ვუყოთ მშრომელთა მილიონებიან მასებს.

7,

რა არის სოციალისტური რეალიზმი?

სოციალისტური რეალიზმი—ნათქვამია საბჭოთა მწერლების წესდებაში—მხატვრულ ლიტერატურის და სალიტერატურო კრიტიკის ძირითადი მეთოდია, მოითხოვს მხატვრისაგან მართლად, ისტორიულად,—კონკრეტულად გამოსახოს სინამდვილე მის რევოლუციურ განვითარებაში. ამასთანავე მხატვრული გამოსახვის სინამდვილე და ისტორიული კონკრეტულობა მშრომელების სოციალისტურად იდეურ გარდაქმნას და აღზრდას უნდა შეუფარდდეს.

აი რა არის სოციალისტური რეალიზმი.

დიდი გარდატეხა

21-26 ივნისს პარიზში გაიმართა „კულტურის დაცვის“ კონგრესი, რომელსაც 24 ქვეყნის წარმომადგენელი—230 დელეგატი დაესწრო. კონგრესმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიზიდა. ამ კონგრესის ორგანიზატორებად და მონაწილეებად ჩვენ ვხედავთ დასავლეთ ევროპის საუკეთესო, მოწინავე მწერლებს: აწ განსვენებულ ანრი ბარბუსს, რომენ როლანს, ანდრე ჟიდს, მალროს, გენრიხ მანს, ფორსტერს და სხვას. კონგრესმა გამოამჟღავნა ძალთა დიფერენციაციის, ფრონტების გამიჯვნის ის დიდი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს დასავლეთ ევროპის ინტელიგენციაში.

ეს დიფერენციაცია მიმდინარეობს კაპიტალისტურ მეურნეობის, კაპიტალისტურ სისტემის ჯერ არნახულ კრიზისის პირობებში, მას განსაზღვრავს მთელ რიგ ქვეყნებში მმართველი კლასების გადასვლა ბატონობის ფაშისტურ მეთოდზე, ტერორისტულ შეუნიღბავ დიქტატურაზე, ფაშისტურ ტენდენციების ზრდა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამხდარან ფაშიზმის მსხვეოპლი, ფაშიზმის მიერ იერიშის მიტანა მშრომელი მასების მიერ საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლით და სისხლით მოპოვებულ დემოკრატიულ თავისუფლებებზე, რეაქციის, საშუალო საუკუნოებრივ ობსკურანტიზმის, ბარბაროსობის ზრდა ფაშისტურ დიქტატურის ქვეყნებში, ახალი ომის, ახალი საკაცობრიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხე, რომლის წინაშე დააყენა კაცობრიობა ფაშიზმმა.

კონგრესს ერქვა კულტურის დაცვის კონგრესი. რომელ კულტურაზეა აქ ლაპარაკი, რა საფრთხე მოელოს კულტურას, ვის შემოტევისგან უნდა დაცვან ის? მიუხედავად კონგრესის შემადგენლობის დიდი სიჭრელისა, მის მონაწილეთა პოლიტიკურ და მხატვრულ პლატფორმათა დიდი სხვაობის, კონგრესმა მაინც საკმაო ერთსულოვანი პასუხი გასცა ყველა ამ ძირითად პრობლემებს, კულტურის დაცვისთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეს კონგრესი არ იყო ერთთავად კომუნისტი მწერლების თავყრილობა, ბევრი მისი მონაწილე მწერალთაგანი არც მარქსისტულ მსოფლმხედველობის მატარებელი იყვნენ, ბევრ მათ მიერ თქმულში საკმაოდ ვხვდებით იდეალიზმის და მცდარ ბურჟუაზიულ ილუზიების ნაშთებს.

ანდრე ჟიდი, რომენ როლანი, ანდრე მალრო, ჰენრიხ მანი, ლეონ ფოიხტვანგერი, ფორსტერი და ჰეკსლი, ანდერსენ ნეკსე და კორინა, მიხაელის და ვალე ინკლან არ არიან კომუნისტი მწერლები.

მაგრამ 1933 წლის 10 მაისს ბერლინის და ბევრ სხვა გერმანულ უნივერსიტეტების წინ გამართული საშუალო საუკუნოებრივ აუტოდაფეს გამართვა, რომელშიაც დასწვეს საკაცობრიო კულტურის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწარმოებები, მეცნიერების და ხელოვნების მუშაკთა ისეთ წარმომადგენლების განდევნა გერმანიიდან, როგორც არიან ალბერტ აინშტაინი, ჰენრიხ და ტომას მანი და მრავალი სხვა ასი და ათასი მწერლების, კომპოზიტორების,

მსახიობების, მხატვრების, ექიმების, იურისტების, რომელიმე მსხვერპლი გახდენ-
ფაშისტურ სიმხეცის, ყველაფერი ეს ისე ხმამალა დადადებს ფაშისტურ ბარ-
ბაროსობაზე და საერთოდ მიხრწნილ კაპიტალიზმის კულტურის და ცივილიზა-
ციის სრულ გადაგვარებაზე, რომ ყველა პათიოსანი ინტელიგენტი, მწერალი
და ხელოვნების მუშაკი იძულებულია გადასინჯოს და გადააფასოს თავისი-
ათეულ წლობით შემუშავებული შეხედულებები, ეძიოს ახალი დასაყრდენი,
ეძიოს ახალი ორიენტირი თავისი მუშაობისათვის, იძულებულია თვალი მია-
პყრას ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, ეძიოს მოკავშირე ერთადერთ მოწინავე
საზოგადოებრივ კლასში—პროლეტარიატში.

ცნობილია, რომ ფაშიზმი და განსაკუთრებით მისი ყველაზე რეაქციონური
სახეობა—გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, ეს საერთაშორისო კონტრრევო-
ლუციის ყველაზე აგრესიული ძალა, რომელიც ყოველთვის სათავეში უდგას იმ-
ელემენტებს, რომლებიც ჰიისწრაფვიან ახალ იმპერიალისტურ ომებისაკენ და-
პირველ რიგში ამზადებენ ომს მთელი ქვეყნის მშრომელების სამშობლოს საბ-
ჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩემულობს ევროპულ კულტურის დამცველის
როლს „კომუნისტურ საფრთხისაგან“.

კულტურის დაცვის კონგრესმა ფაშიზმის ამ უსირცხვილო დემაგოგიას
ერთხელ კიდევ ლახვარი ჩასცა. თანამედროვეობის უდიდესმა მწერლებმა, კულ-
ტურის მუშაკებმა კონგრესის ტრიბუნიდან საქვეყნოდ განაცხადეს, რომ კულ-
ტურას უდიდესი საფრთხე მოელის სწორედ ფაშიზმის მხრივ, რომ საჭიროა-
ყველა მოწინავე, პროგრესიულად განწყობილ ინტელიგენციის ძალების გაერ-
თიანება, რათა კულტურა დავიცვათ ფაშისტურ გადაგვარებისაგან. თითქმის-
ყველა ორატორის გამოსვლაში ისმოდა ფაშისტურ დემაგოგიის გამამათრახებელი
დებულება, რომ კომუნისში არის კულტურა და ზავი, ფაშიზმი კი არის ბარ-
ბაროსობა და ომის საფრთხე.

ბევრ მსოფლიო სახელის მქონე მწერლის გამოსვლაში გაისმოდა ის აზრი,
რომ იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ამდენხანს თითქოს ბურჟუაზიულ-
ლიტერატურის მონოპოლიად ითვლებოდა, შეიძლება მხოლოდ პროლეტარია-
ტის დიქტატურის ქვეყანაში. „ბურჟუაზია განწირულია, მისი დაღუპვა და
მოსპობა აუცილებელია—ამბობს საფრანგეთის უდიდესი მწერალი, ერთ დროს
საფრანგეთის ბურჟუაზიულ ლიტერატურის სიამაყე, ანდრე ჟიდი,—კვდება და
იხრწნება ბურჟუაზია და ხრწნის და აავადებს კულტურას და ლიტერატურას.
კულტურის მტრებია ფაშისტები, ჰიტლერელები და საფრანგეთის ნაციონალის-
ტები. კულტურის ნაციონალურ ხასიათს არაფერი აქვს საერთო თანამედროვე
ბურჟუაზიის მხეცურ ნაციონალიზმთან. საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ-
ხალხთა ურთიერთობა და, განსაკუთრებით, დამოკიდებულება პატარა ერებთან
იძლევა ეროვნულ საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტის მაგალითს. მე შემძლია
ვიყო ინტერნაციონალისტი და იმავე დროს ფრანგი, ვიყო ინდივიდუალისტი
და კომუნისტი“.

ანრი ბარბიუსმა თავის ვრცელ მოხსენებაში „ეროვნება და კულტურა“
ზაზი გაუხვა იმ გარემოებას, რომ ნაციონალური თავისებურება, რომელიც ასე
აუცილებელია კულტურის თავისებურებისათვის, ფაშისტურ ბურჟუაზიის ხელში

ხდება კაცობრიობის გათიშვისა და განადგურების იარაღად. კულტურის ნაციონალურ ხასიათს არაფერი საერთო არა აქვს ნაციონალისტურ და ფაშისტურ უბადრუკ თეორიებთან. საბჭოთა კავშირი, სადაც ჰყვავის კულტურა ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით, გვიჩვენებს პრობლემის ჭეშმარიტად გადაჭრის მაგალითს.

ცნობილი გერმანელი მწერალი ჰენრიხ მანი, ფაშისტ ბარბაროსების მიერ თავის სამშობლოდან განდევნილი, აცხადებს, რომ „ჰიტლერის გერმანიაში მას წაართვეს უფლება ლაპარაკის, წერისა და ფიქრის. საბჭოთა კავშირში, —სთქვა მან, —ჩვენ ვხედავთ კულტურის კოლოსალურ ზრდას, მისწრაფებას ცოდნისა და ხელოვნებისადმი. საბჭოთა მწერლების ყრილობაზე მოსკოვში გამოდიოდნენ მწერლები, ერთ დროს წერაკითხვის უცოდინარნი, რომლებიც ეხლა დიდი მწერლები გახდნენ. გერმანიაში ჩვენ ვხედავთ საწინააღმდეგო პროცესს. მსოფლიო სახელის მქონე მწერლები განდევნილია, მათი წიგნები საჯაროდ დასწვებს. მათ ადგილას დანიშნეს უბადრუკი და უცოდინარი მოხელეები ფაშისტურ აპარატიდან“.

ფაშისტურ ტენდენციების ზრდაზე, ფაშისტურ მოძრაობის ჩანასახების არსებობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ კომინტერნის მეექვსე კონგრესი.

კომინტერნის მეშვიდე კონგრესმა აღნიშნა, რომ ღრმა ეკონომიურ კრიზისის, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამძაფრებისა და მშრომელი მასების გარეგოლუციონერების პირობებში ფაშიზმი გადადის ფართო შეტევაზე, ფაშიზმის სუთთქვა საგრძნობია არა მარტო ჰიტლერის გერმანიაში, სადაც გამეფებულია მხეცური შოვინიზმი, „ხელისუფლებრივი სისტემა პოლიტიკურ ბანდიტიზმის, პროვოკაციის და წამების სისტემა მუშათა კლასის, წვრილ-ბურჟუაზიის და ინტელიგენციის მიმართ, საშუალო საუკუნოებრივი ბარბაროსობა და მხეცობა, აღვირახსნილი აგრესია სხვა ხალხების და ქვეყნების მიმართ“, *) სადაც დასაჭურისება პოლიტიკურ ბრძოლის იარაღად არის ქცეული, სადაც დედებს საფოსტო ამანათებით უგზავნიან მათი დახოცილი შვილების ფერფლს, სადაც ანტიფაშისტებს წამების დილეგებში კანქვეშ უშხაპუნებენ მომწავლავ ნივთიერებას, სხეულის კანზე სჭრიან ფაშისტურ სვასტიკას, ფაშიზმის დანაშაულებრივი ხელი მოქმედებს არა მარტო პოლონეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, არამედ მისი ხელი საგრძნობია იმ ქვეყნებშიც, სადაც ჯერ კიდევ არ გამქრალა უკანასკნელი ნიშანწყალი მშრომელთა საუკუნოებრივ ბრძოლით მოპოვებულ დემოკრატიულ თავისუფლებების. ეს საფრთხე საგრძნობია ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

თავის შინაარსიან სიტყვაში „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ“ ინგლისელმა მწერალმა ფორსტერმა კონგრესს გადაუშალა სურათი კლასიურ და რასიულ წინააღმდეგობათა ინგლისში, ამ „ტრადიციულ თავისუფლებათა“ ქვეყანაში.

„თავისუფლება იქ, —განაცხადა ფორსტერმა, —არსებობს მხოლოდ მდიდრებისათვის. უმუშევრებმა, რომლებიც სილატაკეში ცხოვრობენ, არაფერი იციან ინგლისის „თავისუფლების“ შესახებ“.

*) დიმიტროვის მოხსენებიდან კომინტერნის მეშვიდე კონგრესზე.

ფორსტერმა განაცხადა, რომ მას არ ასვენებს შიში მოახლოებულ ომისა და რომ საერთაშორისო მდგომარეობა უფროდაუფრო შიშის მომგვრელი ხდება. მან იცის, რომ ომი ისეთი მწერლებისათვის, როგორც არის ის და ჰექსლი, მოასწავებს სრულ განადგურებას, რომ ის და მისი შემოქმედება განადგურებულ იქნებიან. ამ შიშმა მოიყვანა ისინი კონგრესზე და მას სურს მწერალთა საერთაშორისო სოლიდარობაში ჰპოვოს დაცვა პოლიციურ მონობისა და ომის საფრთხის წინაშე.

რეაქციის და ბარბაროსობის ტალღის ზეასვლის, კულტურის დეგრადაციის ფონზე კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებულ ბრწყინვალეობით მოხანს კულტურის აღორძინება, ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავება საბჭოთა კავშირში. დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილში უფროდაუფრო მაგრად იკიდებს ფეხს იმის შეგნება, რომ ნამდვილი კულტურული პროგრესი, ახალი ჰუმანიზმის აღორძინება, მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალიზმის მშენებლობასთან ჩვენს ქვეყანაში. ამის მაჩვენებელი იყო ის მხურვალე აღტაცება, რომლითაც მიეგებნენ საბჭოთა დელეგაციას კონგრესის მონაწილეები. ეს აზრი გამოსჭვივოდა თითქმის ყველა მწერლის გამოსვლაში კონგრესზე. განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ის ცნობილ ფრანგ მწერალ ჟან რიშარ ბლოკის სიტყვაში, რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე და იქიდან ყრილობის შემდეგ ჩამოვიდა ტფილისში.

თავის ბრწყინვალე სიტყვაში მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის შესახებ ჟან რიშარ ბლოკმა შეადარა მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პირობები ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში.

„საბჭოთა მწერლები,—სთქვა მან,—გარემოცულია მასების ყურადღებით, რომელნიც აქტიურად ემსახურებიან მის შემოქმედებას, აკრიტიკებენ მას და უყენებენ მოთხოვნებს. ეს დიდად ამაღლებს როგორც მწერლის პირად ღირსებას, ისე მის პასუხისმგებლობას თავის მუშაობისადმი“.

ბლოკი აღნიშნავს, რომ წარსული საუკუნის დიდი ფრანგი მწერლები პიუგო, ბალზაკი, ზოლა, ანატოლ ფრანსი, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ხალხთან. „ჩვენი საზოგადოება კვდება,—ამბობს ბლოკი,—მან დაჰკარგა წყურვილი პროგრესისა და იმ პერიოდის ოპტიმიზმი, როცა ის ზეალსვის ხაზით მიდიოდა. ჩვენ ვსუნთქავთ სასოწარკვეთილების, უიმედო პესიმიზმის ატმოსფეროთი და მხოლოდ ქვეყნის ერთ ნაწილში, რომელიც სიდიდით ჩვენს კონტინენტს უდრის, იქმნება ახალი ცივილიზაცია, რომლის აგებას ჩვენ ამაოდ ვცდილობთ ჩვენს ერთობ ძველ საზოგადოების ფარგლებში“. დანელ მწერალმა ანდერსენ ნექსემ განაცხადა, რომ მსოფლიოში უფროდაუფრო საგრძნობია ფაშისტური საფრთხე. გერმანიაში უნივერსიტეტები ყაზარმებად არის ქცეული, ინტელიგენცია კი ჯარისკაცებად. კულტურის ერთადერთი ხსნა მდგომარეობს კულტურის მუშაკების სოლიდარობაში პროლეტარიატთან.

კულტურის დაცვის კონგრესი ერთობ სიმპტომატიური მოვლენა იყო რევოლუციისკენ მობრუნების დიდი პროცესისათვის დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილში. ინტელიგენციის ეს ნაწილი უფროდაუფრო

მეტად რწმუნდება, რომ გახრწნის პროცესში მყოფმა ბურჟუაზიულმა კლასმა სავსებით ამოსწურა თავისი შემოქმედებითი პოტენცია კულტურის დარგში, რომ კაცობრიობას ის უკან მიაქანებს საშუალო საუკუნოებრივ ბარბაროსობისაკენ, მხეცობისა და გადაგვარებისაკენ, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც შესწევს უნარი კაცობრიობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ კულტურის ათვისების, ახალი კულტურის შექმნის, არის მუშათა კლასი, რომ ეს ახალი საკაცობრიო კულტურა, ახალი ჰუმანიზმი პრაქტიკულად უკვე იქმნება საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის პროცესში.

კულტურის დაცვის კონგრესი მიმდინარეობდა ერთიანი ფრონტის შექმნის ნიშნის ქვეშ ფაშიზმის და ომის საფრთხის წინააღმდეგ.

კონგრესის შედეგად შეიქმნა მწერალთა ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც დაიცავს მუშათა კლასის ინტერესებს, ვინაიდან მუშათა კლასის დაცვა ეს არის კულტურის დაცვა.



ა. ბარბიუსი

ნახ. კროტკოვის.

ანრი ბარბიუსი

გარდაიცვალა საფრანგეთის უდიდესი რევოლუციური მწერალი, მგზნებარე მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის, თავდადებული მეგობარი საბჭოთა კავშირის მშრომელებისა ანრი ბარბიუსი.

მთელი მშრომელი კაცობრიობა, ყველა უანგარო მებრძოლი მშრომელთა ინტერესებისათვის უდიდეს მწუხარებას განიცდის ამ დიდი ადამიანის და მწერლის დაკარგვის გამო.

ანრი ბარბიუსის სახით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო შესანიშნავი მწერალი, არამედ მსოფლიოს მშრომელთა საქმისათვის, სოციალიზმისათვის თავდადებული მებრძოლი. „რომ ჩემთვის კითხვა დაესვათ, თუ ვინ არის კაპიტალისტური ქვეყნების ნამდვილი მოწინავე მწერალი, რომელიც დიდ მხატვრულ ოსტატობას აერთიანებს აქტიურ ბრძოლასთან მილიონების განთავისუფლებისათვის, მე უყოყმანოდ მივუთითებდი ანრი ბარბიუსზე“, — წერს კომინტერნის აღმასკომის გენერალური მდივანი აშხ. გ. დიმიტროვი.

აღექსეი ტოლსტოი და მთელი რიგი სხვა დიდ საბჭოთა მწერლებისათვის თავიანთ წერილებში ამბობენ, თუ რა დიდი გარდატეხა მოახდინა ანრი ბარბიუსის რომანის „ცეცხლის“ გამოსვლამ 1916 წელში მათ მიერ ომის რაობის, მის სოციალურ ბუნების გაგებაში.

„ბარბიუსი ერთერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გააშუქა 1914--1918 წლ. ომის დანაშაულობა. ბარბიუსი ერთერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დასავლეთ ევროპის ინტელიგენციას გზა უჩვენა პატიოსან, გმირულ მუშაობისაკენ პროლეტარიატს შორის, იმ მუშაობისაკენ, რომელსაც გვიკარნახებს მთელი წარსულის ისტორია“, — წერს პროლეტარულ ლიტერატურის ბელადი მაქსიმ გორკი.

ცნობილია ის დიდი შეფასება, რომელიც მისცა ლენინმა ანტიმილიტარისტულ ლიტერატურის ამ პირმშოს, „ცეცხლს“.

რაში მდგომარეობს ბარბიუსის რომანის ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობა. რაში მდგომარეობდა „ცეცხლის“ ავტორის ის დიდი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა, რომელიც გზის მაჩვენებელი და მაგალითის მიმცემი გახდა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო, მოწინავე ნაწილისათვის.

ეს აიხსნება როგორც რომანის მაღალ იდეურ დონით და დიდი მხატვრული ღირსებებით, ისე იმ ისტორიულ ვითარებით, რომელშიაც ის გამოქვეყნდა. ეს იყო 1916 წელი, როცა ბურჟუაზიის მიერ გონებამოწმამულ, დაბრმავებულ, კაპიტალის მიერ დამონებულ ხალხთა 30 მილიონიანი მასა ქლექტდა ურთიერთს; როცა შოვენისტურ, მილიტარისტულ ვენებათა აზვირთება თავის აპოგეის აღწევდა.

ბურჟუაზიამ ომის პირველ წლებში მოახერხა არა მარტო ადამიანთა საეღუპო იარაღების მობილიზაცია, არამედ მან ამ სასაკლავო სამსახურად გაიწვია მთელი ბურჟუაზიული მეცნიერება და ხელოვნება, მხატვრობა და ლიტერატურა

შოვინისტურმა შხამმა მოსწამლა ბურჟუაზიულ მეცნიერთა და ხელოვანთა დიდი ნაწილის შეგნება. მას ვერ გადურჩნენ დასავლეთ ევროპის თვით ისეთი დიდი და მოწინავე მწერლები, როგორც იყვნენ ანატოლ ფრანსი, ემილ ვერჰარნი, ტომას მანი და სხვა. ანატოლ ფრანსი, ამ დროს უკვე სამოცი წლის მოხუცი, აცხადებდა: „მომეცით მე იარაღი ხელში, რომ ჩვენს მტრებზე საომრად გავიდეთ“.

ანრი ბარბიუსი, რომელიც 1914 წელს ომში მოხალისედ წავიდა და, როგორც ბევრი სხვა ბურჟუაზიული მწერალი, დარწმუნებული ამ ომის სამართლიანობაში, „ლუმანიტეს“ რედაქციას სწერდა შემდეგს: „მე მივდივარ მოხალისედ ომში, ვინაიდან ის მიმართულია ჩვენი მუდმივი მტრების, მილიტარიზმის, იმპერიალიზმის, დაშნის, ჩეჰმის და გვირგვინის წინააღმდეგ“.

1916 წელს კი საშინელ ტერორის პირობებში, როცა ომის საწინააღმდეგოდ წარმოთქმული ყოველი სიტყვა მომაკვდინებელ ცოდვათ ითვლებოდა, აქვეყნებს თავის რომანს „ცეცხლი“, რომელშიაც ულმობლად ამათრახებს ინდუსტრიის მაგნატებს და ბანკირებს, საკაცობრიო სასაკლავოს ორგანიზატორებს; შლ ის მშრომელთა მასების განუზომელ ტანჯვასა და წამების აღმაშფოთებელ სურათებს; გვიჩვენებს სანგრებში დაგუბებულ ტალახსა და სისხლში მგმინავ ადამიანებს და ამის გვერდით ომის ორგანიზატორების ფუფუნებასა და განცხრომას, ქეიფსა და ღრეობას ზურგის სიმშვიდეში.

ის ამჟღავნებს ომის ნამდვილ სოციალურ ბუნებას, მის კლასობრივ ხასიათს, მან ომს ჩამოაგლიჯა გმირობის ის ნიღაბი, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ძერწავდა გაბატონებულ კლასების მეცნიერება და ხელოვნება. მან პირველმა გვიჩვენა ომის ნამდვილი, გაშიშვლებული სახე, და მასთან ერთად მთელი სიმბინჯე იმ წესწყობილებისა, რომელიც დამყარებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და დამონებაზე, მოსპობასა და განადგურებაზე.

მან გვიჩვენა, თუ როგორ იზრდება აღშფოთება ზარბაზნებით და ზარბაზნის ხორციით მოვაჭრეთა წინააღმდეგ იმ მასების ცნობიერებაში, რომელთაც განიცადეს ომის ჯოჯოხეთი, თუ როგორ მწიფდება მათში შეგნება ომის ნამდვილი მიზეზების, მისი ნამდვილი ბუნების შესახებ.

რასაკვირველია, ბარბიუსის მიზნები ამხანად არ იყო საკმაოდ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული. მის ბუნდოვან მისწრაფებებს აკლდა მთლიანი მსოფლმხედველობრივი გამართულობა. ის გრძნობდა კაცთა სასაკლავოს საშინელებას, კაპიტალისტურ სინამდვილის მთელ ჯოჯოხეთს, მაგრამ ის ჯერ კიდევ გარკვევით ვერ ხედავდა ხსნას და გამოსავალს. მომავალი მისთვის, ისე როგორც მისი რომანის გმირ კაპრალ ბერტრანისათვის, ბურჟუსით იყო მოცულობოლოდ ერთი სახე ანათებდა ამ ბურჟუსით დაფარულ მერმისს.

„მომავალი,—ამბობს კაპრალ ბერტრანი შეტევის წინ,—რა თვლებით შეხედავენ ისინი, ვინც ჩვენს შემდეგ იცხოვრებენ, ჩვენს ხოცვა-ჟლეტას, იმას, რასაც ჩვენ ჩავდივართ, რას უნდა შევადაროთ ის, პლუტარხის და კორნელის გმირთა საქმეებს, თუ ავაშების ვაჟკაცობას... მაგრამ მაინც დახეთ,—განავრძობ მან,—არის ერთი სახე, რომელიც ამბლდა ომზე და რომელიც იბრწყინვალეებს სილამაზით და ვაჟკაცობით:“

„მე ყურს ვუგდებდი, ჯოხზე დაყრდნობილი, მისკენ დახრილი, ვიჭერდი ამ ხმას, რომელიც გაისმოდა მწუხრის სიმშვიდეში ამ თითქმის მდუმარე ბაგეებიდან. მან წამოიძახა ნათელი ხმით: **ლიბკნეხტ**“.

ამ სტრიქონებში გვაქვს ნათელი კლასობრივი შეგნების ნაპერწკალი. ომის წყვედიადზე ამალღებული სახე საკაცობრიო ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, ლენინის თავდადებულ თანამებრძოლის კარლ ლიბკნეხტის სახე. მაგრამ ეს არის მხოლოდ ნაპერწკალი, ეს არის ელვის შუქი, რომელიც წამიერად გაანათებს ქარიშხლიან ღამის უკუნეთს.

კაპრალი ბერტნარი ფიქრობს, რომ ამ საკითხების დასმა ნაადრევია, რომ მათი გადაჭრა შორეულ მომავალის საქმეა. იმდენად შორეულ მომავალის, რომ მასზე ფიქრიც ძნელია. ეხლა კი მას თავისი ოცეულ შეტევაზე გადაწყავს და ილუპება ბრძოლის ველზე, ისე როგორც ილუპება მილიონი სხვა კაპიტალის ანგარულ ინტერესების მსხვერპლი. ხალხთა მასები ექლი ტებიან ერთმანეთს, მათი შეჯახებისაგან ზანზარებს მთა და ველი.

„ორი არმია, რომელიც ებრძვის ერთმანეთს, არსებითად ერთი არმიაა, რომელიც თავს იკლავს,—ამბობს ერთი გმირი,—ხალხი ამოძრავებს ომის საშინელ გამანადგურებელ მანქანას, ხალხი დამონებული და დაბრმავებული კაპიტალის მიერ“.

„უხალხოდ ომები არ იქნება. ხალხები არაფერია, ისინი უნდა გახდნენ ყველაფერი“.—ამბობს რომანის მეორე გმირი. ეს იყო ლოზუნგი, რომელსაც იმეორებდენ, მაგრამ მას მხოლოდ ამ გარემოებაში მიეცა მისი მსოფლიო მნიშვნელობა, ამბობს ავტორი. „ომი ომს“ მწიფდება ეს საბრძოლო ლოზუნგი მასების თავში და ბარბიუსი ჯარისკაცების შეუდარებელი ოსტატობით გამართულ დიალოგებში გვიჩვენებს ამ შეგნების მომწიფებას.

მაგრამ აი დაპბერა ოქტომბრის ქარიშხალმა. მან მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე გაანადგურა ის ძალა, რომელიც ქმნის იმპერიალისტურ ომის შესაძლებლობას, მან ხალხი, მშრომელი მასა მსოფლიოს ამ მონაკვეთზე მართლაც გახადა „ყველაფრად“, თავის ბედ-იღბლის მესაჭედ და სუვერენულ ხელისუფლად.

ბარბიუსმა იგრძნო, რომ მშრომელების პირველ რესპუბლიკამ ხორცი შეასხა მის ბუნდოვან და გაურკვეველ მისწრაფებებს. ის უყოყმანოდ გადავიდა ახალი ქვეყნის მშენებელთა ბანაკში და მთელი თავისი მგზნებარე ტემპერამენტით, მთელი თავისი დაუცხრომელი ენერგიით შეუდგა მშრომელთა ხელისუფლების დაცვას.

1919 წლის 12 ოქტომბერს, როცა შინაგან და საგარეულო კონტრარეოლუციის ძალები რკინის რკალივით ევლებოდენ მსოფლიო რევოლუციის კერას, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები არმიას არმიასზე გზავნიდენ ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის ჩასახრჩობად, ანრი ბარბიუსი „ლუმანიტეში“ აქვეყნებს თავის ისტორიულ წერილს: „ჩვენ ბრალსა ვსდებთ“, რომელშიაც სამარცხვინო ბოძზე აკრავს ინტერვენციის ორგანიზატორებს.

„ჩვენ ბრალსა ვსდებთ,—წერს ის,—საერთაშორისო რეაქციას, რომელიც ანგარების და კლასობრივ ინტერესების აღმაშფოთებელი მოსაზრებებით, თავის

უპირატესობათა გულისათვის სპობს დიად რუსეთის რესპუბლიკას, რომელმაც მხოლოდ ის დააშავა, რომ განახორციელა თავისი ოცნება განთავისუფლების შესახებ. ჩვენ ბრალს ვსდებთ საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის ხელისუფალთ“. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ის თავდადებით იცავს საბჭოთა კავშირს მისი მტრების ყოველგვარ თავდასხმებისაგან. ის არა მარტო იდეურად და ორგანიზაციულად შეუერთდა ახალი ქვეყნის მშენებელთა ბანაკს, არამედ თავგამეტებით შეუდგა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო ძალების ორგანიზაციას რეაქციის, ფაშიზმის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. და მთელი წლების გასწვრივ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მისი დაუდგრომელი, თავდაუზოგავი მუშაობა დასავლეთ ევროპის მოწინავე ინტელიგენციის ძალების დასარაზმევად. მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით იმართება ყველა კონგრესები, კონფერენციები, საპროტესტო მიტინგები, მიმართული რეაქციისა და ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

1920 წელს ჟენევაში ომის ყოფილ მონაწილეთა კონგრესზე ის ამბობს სიტყვას ახალი ომის საფრთხის შესახებ. და ამ სიტყვაში უკვე მოსჩანს ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილება, უკვე მოსჩანს იმ დიად მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრების სიბრძნე, რომელსაც ის ეზიარა მუშათა კლასთან დაახლოვების შედეგად.

„დაძმობილება გვმართებს არა ომის დროს, არამედ ომის დაწყებამდე. ჩვენ შევიყარენით იმისათვის, რომ შევერთდეთ მტკიცე ძმობაში ომების წინ, რომლის საფრთხე ასე დიდია. ომის ნამდვილი მიზეზი ეკონომიურია. ომი—ეს არის საკითხი სავაჭრო და მფარველობით ხელშეკრულებების, ბაზრების, კონკურენციის, ომი—ეს არის გამდიდრების საკითხი. ჩვენ ვიყავით ომის მუშაკები. ჩვენ უნდა გავხდეთ სავის მუშაკები. ჩვენ ვართ უკანასკნელი ნაწიერები წამებულთა თაობის, ჩვენ უნდა გარდავქმნათ სინამდვილე საფუძვლიანად, ჩვენ არ დავკმაყოფილდებით ნახევარ ზომებით“.

1919 წელს მის თაოსნობით შეიქმნა ჯგუფი „კლარტე“, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო ძალები,—რომენ როლანი, ანატოლ ფრანსი, სინკლერი, კოლვიცი და მრავალი სხვა. ამ ჯგუფის პლატფორმა საკმაოდ რადიკალური იყო. ის თანაუგრძობდა კომინტერნის მოძღვრებას და გადაჭრით გმობდა კაპიტალისტურ ცივილიზაციას.

1920 წელს ანრი ბარბიუსმა დასწერა ჯგუფის მანიფესტი „შუქი უფსკრულიდან“. 1921 წელს ბარბიუსი გამოვიდა მიმართვით ინტელიგენციისადმი. ამ მიმართვაში, რომელსაც დამახასიათებელი სათაური ჰქონდა—„დანით კბილებში“, ის მოუწოდებდა ინტელიგენციის შეგნებულ ელემენტებს გაბედულად დამდგარიყენენ სოციალურ რევოლუციის მხარეზე.

ამ ორგანიზაციაში, რომელიც შესდგებოდა სხვადასხვა მიმართულებათა წარმომადგენლებისაგან, მალე დაიწყო დიფერენციაცია. ნაწილი კაპიტალიზმის დროებით სტაბილიზაციით ნირშეცვლილი, ჩამოშორდა მას, ნაწილი კი წავიდა უფრო მარცხნივ—კომუნისმისკენ. ბარბიუსმა გაბედული ნიბიჯი გადასდგა მარცხნივ და 1923 წელს შევიდა საფრანგეთის კომპარტიის რიგებში. ის იდეურად და ორგანიზაციულად დაუკავშირდა მუშათა კლასის მებრძოლ ავანგარდს. ის

გახდა არა თუ უდიდესი რევოლუციური მწერალი საფრანგეთის, მისი რევოლუციურ ლიტერატურის საფუძვლმდებელი, არამედ დიდი პრაქტიკოსი რევოლუციონერი. ის მქედროდ დაუკავშირდა სოციალისტურ მშენებლობის პროცესს ჩვენს ქვეყანაში. ის დაუღალავად სწავლობდა გამარჯვებულ პროლეტარიატის ბრძოლის გამოცდილებას, მის მიღწევებს. აცნობდა მას მთელი მსოფლიოს მშრომელებს. მრავალი წიგნები და ცალკე წერილები გამოაქვეყნა მან ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური მშენებლობის შესახებ. მათ შორის წიგნი: „150 მილიონი ჰქმნის ახალ სამყაროს“.

მის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სოციალისტური მშენებლობის საკითხი საბჭოთა საქართველოში. ის ჩამოვიდა ჩვენში 1921 წელს, იმ პერიოდში, როცა ქართული ემიგრაცია იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერვენციის მოსამზადებლად ჩვენს ქვეყანაში გაშმაგებულ მუშაობას აწარმოებდა ჩვენი სოციალისტურ მშენებლობისათვის ჩირქის მოსაცხებად.

ანრი ბარბიუსი ჩამოვიდა ჩვენში რომ გასცნობოდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს. ამ მოგზაურობის შედეგად მან გამოაქვეყნა წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს“, რომელშიაც საკუთარ თვალთ ნანახი და განცდილი სურათებით საკადრისი პასუხი გასცა ჭორების და ინსინუაციების მოთხველს ემიგრანტულ და ბურჟუაზიულ პრესას.

რევოლუციური მებრძოლის ეს დამაბული ყოველდღიური მუშაობა უთავსდებოდა შეუწელებელ შემოქმედებით მუშაობას. 1919 წელს მან გამოაქვეყნა რომანი „კლარტე“. 1924 წელს გამოუშვა ორტომიანი მონუმენტალური რომანი „რგოლები“, რომელშიაც გადაშალა გრანდიოზული მსოფლიო ისტორიული პანორამა, სადაც ის შეეცადა მოეცა მსოფლიოს განვითარების სურათები, ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა საფეხურებზე. 1924 წელს გამოსცა ფაქტიურ მასალაზე აგებული, ასევე საკუთარ თვალთ ნანახი და განცდილი წიგნი თეთრი ტერორის ბარბაროსობის შესახებ ბალკანეთის ქვეყნებში. ამას მოჰყვა ნოქელების კრებული „ძალა“, კრებული დოკუმენტალურ მასალაზე აგებულ სხარტ, ლაკონიურ ნოველებისა „ფაქტები“. უკანასკნელ ხანებში ბარბიუსმა გამოაქვეყნა დიდი ნაშრომი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე „სტალინი“. წიგნმა უკვე მსოფლიო სახელი მოიხვეჭა და მრავალ ენაზე იქმნა თარგმნილი. უკანასკნელ დროს ის მუშაობდა წიგნზე ლენინის შესახებ.

ის განუხრელი გზა განვითარებისა, რომელიც განვლო ბარბიუსმა, მისი თავდაუზოგავი ბრძოლა ომის, რეაქციის, ფაშიზმის წინააღმდეგ, მაგალითის მიმცემი გახდა საფრანგეთის ბევრ დიდ მწერლისათვის. მან სხვებზე ადრე შეიგნო ძველი სამყაროს განწირულება და სხვაზე ადრე გახდა მგზნებარე მებრძოლი ახალი ქვეყნის შესაქმნელად. მის მიერ გაკაფულ გზას გაჰყენენ საფრანგეთის დიდი მწერლები: რომენ როლანი, ანდრე ჟიდი, მალნო და ბევრი სხვა. ისინი გაჰყენენ ამ გზას, ვინაიდან დარწმუნდენ, რომ ის არის ერთადერთი გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიაც შეიყვანა კაცობრიობა გაბრწინის პროცესში მყოფმა კაპიტალიზმმა.

ა. ა—ლი

ალექსანდრე შირვანზადე

ა. შირვანზადეს სახით ა. წ. 7 აგვისტოს მოძმე სომხეთის საბჭოთა მწერლობამ დაჰკარგა ოქტომბრის წინაეპოქის ლიტერატურის ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი, რომლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა სცილდება ნაციონალური ლიტერატურის საზღვრებს, რადგან მასში ძლიერი მხატვრული ოსტატობით მოცემულია ფართო სურათი ნატურალური მეურნეობის რღვევის, სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის დამკვიდრების და წინააღმდეგობით სავსე შემდგომი განვითარებისა ამიერკავკასიაში.

თავის უკანასკნელ გამოსვლაში მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წ. მწერალმა სთქვა: „მე ძველი თაობის ადამიანი და სამი მეფის მეფობის მომსწრე ვარ. მე განვიცადე და ვნახე რამდენიმე რეჟიმი—მეფის, კერენსკის, დაშნაკების და სხვ. 76 წლისა ვარ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არასოდეს არ მიგრძენია თავი ისე თავისუფლად და ისე ბედნიერად, როგორც უკანასკნელ წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დროს“-ო.

საინტერესოა, როგორ, რა კუთხიდან, რომელ პოზიციებიდან და რამდენად სრულად გააშუქა მწერალმა ის დიდი სოციალური მასალა, რომელიც გადაწლილია მისი რომანებისა და მოთხრობების ციკლში.

ა. შირვანზადეს მოღვაწეობისა და იდეების მთავარ გზას და განვითარების მსვლელობას, ცხადია, ჩვენ ვერ გავიგებთ, თუ იგი მოეწყვიტეთ ისტორიულ-კონკრეტულ გარემოს და, ბოლოს, თვით შირვანზადეს დამოკიდებულებას ხსენებულ მოვლენებისადმი და მათ ანარეკლს მის ნაწარმოებებში, ე. ი. მწერლის იდეურ-პოლიტიკურ თვალსაზრისს და პოზიციას.

შირვანზადეს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის სომხეთის სავაჭრო კაპიტალს პირველი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრებაში. ესაა 1860-70 წლები. ნავთის, ბამბის სამთამადნო და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა ჭარბი მარაგის გამო ამიერკავკასიაში, სომხეთის სავაჭრო კაპიტალის წინაშე ფართო პერსპექტივა და ფართო შესაძლებლობა იყო გაშლილი.

გარშემო მიმდინარეობს ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთების რღვევისა და კაპიტალიზმის დამკვიდრების გამაღებელი პროცესი, რაც თავისი იდეური განწყობილების შესატყვისად სომხეთის მწერლობაში, ვამოხატეს გაბრიელ სუნდუკიანმა, აზერბეიჯანის—მირზა-ფათალი ახუნდოვმა და ქართულ მწერლობაში გ. ერისთავმა, არდაზიანმა და სხვ.

მაგრამ ფეოდალურ წყობიდან ახლად გამოჩეკილი სომხეთის ბურჟუაზია—და მისი იდეოლოგები მწერლობასა და ჟურნალისტიკაში ჯერ კიდევ სავ-

სებით ტყვეობაში ჰყავს ნაციონალურ რომანტიზმის იდეას, ბურჟუაზიულ „დიდი სომხეთი“ შექმნის იდეას, რაც საღვებდა საერთო და საყოველთაო სომხურ იდეად, განურჩევლად მჩაკვრელებისა და ჩაგრულთათვის.

„ამ დროს-ო — სწერს კრიტიკოსი პ. მიკინციანი — სომხეთის საზოგადოების ზრახვათა ხელისუფალი იყო რაფფი. ამ მაღალნიჭიერმა და მრავალმხრივმა რომანისტმა საზოგადოების გული მოაგო უმთავრესად იმ ნაწერებით, რომელიც ოსალეთის სომხეთის სვე-ბედეს შეეხება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაფფი დაშნაკუტუნის პარტიის სულიერი მამა იყო. რაზმელობა, პარტიზანობა, ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლების იდეა საბერძნეთის და ბულგარეთის ანალოგიით, ყოველივე ეს დაშნაკებმა პირწინდად გადმოიღეს რაფფის რომანებიდან... შირვანხადე კი გამაჩინდა როგორც საღი რეაქცია რაფფის ნაციონალური რომანტიზმის წინააღმდეგ, რომელიც სომხეთა გულიცხურს საზღვარს იქით (ოსმალეთის სომხეთისაკენ) იზიდავდა იმ დროს, როცა შირვანხადე თავის გარემო წრეზე იყო მიჯაჭვული და გვიჩვენებდა, თუ რა ბევრი მასალა გვექონდა ჩვენ აქვე სახლში“. (ხაზი ჩვენია ა. ა.).

მართლაც, მოღვაწეობის დაწყებისთანავე შირვანხადემ უარყო ნაციონალური რომანტიზმის და მისგან გაშომდინარე ლიტერატურული და პრაქტიკული მოქმედების გზა და დაუპირისპირა მას ბურჟუაზიულ რეალისტის მრწამსი და პროგრამა. აი როგორი მწვავე ირონიით მიმართავს ერთერთი მისი პიესის („დაღუპული“-ს) პერსონაჟი სომხეთის ეროვნული „გმირების“ სურათებს: „შეხეთ რა საინტერესოა! ყველანი აქ არიან — ვარდან მამიკონიანიდან დაწყებული ჩვენ თანამედროვებამდე. ეს ვინ არი? მოხუც ეპისკოპოსის წვერით, ჯვარით და ხმლით ხელში შურისძიებისაკენ რომ მოუწოდებს? აჰა, ესენიც აქ ყოფილან! ახალი გმირები იღუმალი სახეებით, „სომხეთის მხსნელები“ (იგულისხმება დაშნაკები. ა. ა.) როგორი თვითკმაყოფილება და ყოყოჩობა აწერიათ სახეზე „ეროვნული ბოსტნის ამ საერთოებელებს!“

შირვანხადე ბოლომდე ერთგულად შერჩა ნაციონალური შეზღუდულობის შოვინიზმისა და კარდახშულ ეროვნულ ბინაში ჩაკეტვის უარყოფას და ამ თავითვე დაადგა ამიერკავკასიის ერების ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ერთიანობის და ინტერნაციონალური თანამშრომლობის ალიარების და თავისი სპეციფიური იარაღით — მწერლობით — განხორციელების გზას.

შირვანხადე არ იზიარებდა არც იმ იდილიურ წარმოდგენას ძველ პატრიარქალურ სომხურ სოფელზე, რომლითაც გამსჭვალულია სომხეთის რევოლუციამდელი მწერლობის მეორე დიდი წარმომადგენლის — ოვანეს თუმანიანის შემოქმედება. იქ, სადაც თუმანიანი ემორჩილება ილუზიას, რომ თითქო სოფელს შეუძლია თავი დააღწიოს კაპიტალიზმს და მის „გამხრწნელ“ გავლენას, რომ გლეხი განურჩევლად „უწიკვლო“ და „პარმონიული“ არსებაა — შირვანხადე პირდაპირ და ფხიზლად შეჰყურებს კაპიტალიზმის რკინისებურ აუცილებლობას და თავის პირველ ნაწარმოებშივე „ხანძარი ნავთის სარეწაოებზე“ მკაცრი, თუმცა ჯერ კიდევ რამდენიმედ ნედლი, ნატურალისტური საღვებებით ხატავს კაპიტალისტის და მუშის შორის არსებულ დაძაბულ და განწვაყვებულ ურთიერთობას.

როდესაც ნავთის მრეწველი მართიანი გაიგებს, რომ მისი სარეწაო იწვის, იგი საშინელი ლანძღვა-გინებით მიზართავს მუშებს: „ეს წყეულები, ბოლოს

და ბოლოს, ულუკმაპუროდ დამტოვებენო¹⁴. „აღა,—ეუბნება ამაზე ხანძრის ამბის მომტანი მუშა მარუთიანს—რა შუაში ვართ აქ ჩვენ, ჩვენ ხომ განგებ არ გაგვიჩენია ცეცხლი თქვენი ქარხნისათვისო“. მარუთიანის მუშები თავგამოდებით იბრძვიან სარეწაოს გადარჩენისათვის, მაგრამ ნავთით გაულენთილმათ ძონძებს ედება ხანძრის ალი და რამდენიმე მუშა ცეცხლში იწვის. ამხანაგები და ახლობლები მკვდრებს დასტირიან, და მარუთიანი კი მათ აგინებს: „თქვე ქურდებო, თქვენ ჩემი სიკვდილი და ამოგდება გინდათო“. მეზობელ-სარეწაოს მუშები ვერ ითმენენ მარუთიანის უადაჰიანო საქციელს და მოურიდებლად მიმართავენ მას: „თუ ერთ წუთში ხანძარმა ამდენი ადამიანი იმსხვერპლა, დაე შენ და შენი წყეული ქარხანაც მაგის წერა გახდითო“. მარუთიანის ერთგული ნოქარი ხედავს მუშების ასეთ განწყობილებას და ურჩევს მას—„მოსცილდი მაგ ბოროტ არამზადებს, ვინ იცის რას შეგამთხვევენ ჩვენი მუშების ამხანაგები“—ო. მარუთიანი მიეარდება მუშას, ცეცხლში ახლად დამწვარი ძმის ნეშტს რომ დასტირის, ჰკრავს მას ფეხს მუცელში და უყვირის: „რა გაღრიალეებს, რა ღროს ეგენია. ქარხანა ხელიდან მეცლება და ეს კი ღრიალეებსო“. მარუთიანის საქციელით აღელვებული მუშა შეპყვირებს მას: „შე უღვთო, მადლი არა გაქვს. უბედურებით გონებადაკარგულ ადაჰიანს როგორ შეუძლიან შენს ქარხანას უშველოს?“.

ჩვენ იმიტომ შევჩერდით შირვანზადეს პირველ ნაწარმოებზე, რომ მასში უშუალოდ და ძლიერადაა გადმოცემული აშკარა და ნიღაბახდილი კლასობრივი განხეთქილება და სიძულვილი.

„ხანძარში“ გამონატულია ახალგაზრდა მწერლის პირველი პროტესტი მუშათა ზოოლოგიური ექსპლოატაციისადმი, მისი დამცირებისა და უსაზღვრო შეურაცხყოფისადმი.

ბაქოში ახლად ჩამოსული ბედის და ლუკმაპურის მაძიებელი, გაკოტრებული პროვინციელი თერძის შვილი, ახალგაზრდა შირვანზადე გაივლის ცხოვრების მკაცრ სკოლას. ხან სასამარლოს კანცელარიის წვრილი მოხელე, ხან სარეწაოების კანტორების მოსამსახურე—მომავალი დიდი მწერალი აგროვებს მდიდარ სოციალურ მასალას, რისგანაც შემდეგ გამოაქანდაკებს ტიპების იმ გაღერებს, რომლის მხატვრული და შემეცნებითი მნიშვნელობა წარუშლელია.

აი როგორ უპირისპირებს მწერალი ნახევრად ფეოდალურ-პატრიარქალურ აზერბეიჯანს მისსავე სატახტო—ბაქოს, სადაც იმ დროს (1870-80 წ. წ.) კაპიტალიზმი გაცოფებულ ენერგიას ანვითარებდა მდიდარი წიაღის საექსპლოატაციოდ:

„აქლემთა გრძელი ქარავანი ქალაქიდან მალა მიიწევდა, მთიან ვიწრო ბილიკით იგი ეშურებოდა ქვეყნის შუაგულისაკენ, სადაც ჯერ ორთქლის ძალა მოსული არ იყო. გაიხედე მარცხნივ—ორთქლმავალ გემთა უამრავი რიცხვი რომ ჩანს, და მასთან ამდენი ქარხანა და ელნათურები. ისინი ხმამაღლა ღაღადებენ თანამედროვე კულტურაზე,—ესაა ორთქლისა და რკინის ამაყი სამეფო. ერთ მხარეს აზია, მეორეს—ევროპა, აი კონტრასტთა სრული არეგ-დარევა და ქაოსი, სადაც ახალი გაცოფებულ ბრძოლას აწარმოებს ძველის წინააღმდეგ.“

ეს ნაწყვეტი ამოღებულია შირვანზადეს მთავარ, ცენტრალურ ნაწარმოებიდან—რომანიდან „ქაოსი“. თითონ ნაწარმოების სახელწოდება წარმოადგენს

მის მთავარ მოტივს. იგი გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური სინამდვილე, მისი წინააღმდეგობანი მრავალწყობიანი, ჩამორჩენილ აზერბეიჯანში ავტორს ეჩვენება ქაოსად, მოუწესრიგებელ სტიქიად, სადაც „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ და სადაც არავითარი პერსპექტივა არ ჩანს.

ამავე დროს შირვანზადე მოურიდებელი, ზოგჯერ სასტიკი საღებავებით ხატავს სომხეთის ბურჟუაზიის უკულტურობას, გარყვნილებას და მუქთახორობას, ტექნიკური ინტელიგენციის (ინჟინერების და სხვა სპეციალისტების) ანგარებას, მლიქვნელობას ჭდაცემას, სამღვდელოების (თვით მისი უმაღლესი წარმომადგენლის—კათალიკოსის სახით) გამყიდველობას სასამართლოს გახრწნას, მექრთამეობას და სრულ მის დამოკიდებულებას ბურჟუაზიისაგან, ამხელს კაპიტალის მომსახურებაში მყოფ პრესას და ლიტერატურას, მაგრამ მწერლის ასეთ კრიტიკას, მის სატირას ბურჟუაზიის მიმართ მაინც აქვს ერთგვარი საზღვარი. იგი არ სცილდება კლასის შიგნით წარმოებულ კრიტიკას. და აქ საქმე იმაშია, რომ სატირის ძალა ობიექტურად მწერლის განზრახვაზე უფრო შორს ურტყამს.

როგორც ჩანს „ქაოსის“ დადებით, იდეალურ ტიპების ჩვენებიდან, შირვანზადე საბოლოო მიზნად ისახავდა კაპიტალის, შრომის და ცოდნის (ბურჟუაზიის, მუშათა კლასის და ტექნიკური ინტელიგენციის) კლასობრივი შეთანხმების და თანამშრომლობის სიკეთის და შესაძლებლობის დახატვას. მკითხველზე გამარეგოლუციონერებელი ზეგავლენის მოხდენა მწერლის განზრახვას არ შეადგენდა. პირიქით, იგი გატაცებული იყო ბურჟუაზიული ინდუსტრიალური კულტურის „პროგრესიული მხარეებით“—მისი კომფორტით, ჰიგიენით, ქველმოქმედებით და განმანათლებლობით. მწერალს ხიბლავს კაპიტალიზმის გაქანება და ძლიერება და მხოლოდ მის აზიურ, ველურ და ჩრდილის მიმყენებელ მხარეებში სურს შესწორების შეტანა.

მუშათა კლასის წარმომადგენლებს კი, ფრანგ მწერლის ეპილ ზოლას მსგავსად (რომლის დიდ გავლენას მწერალი თითონვე აღნიშნავს), შირვანზადე გვიხატავს პასიურ დაბეჩავებულ ბრბოდ, როგორც ფიზიკურად, ისე ინტელექტუალურად.

მაგრამ შირვანზადემ, როგორც ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პოზიციებზე მდგარმა დიდმა რეალისტმა მწერალმა, ოქტომბრის რევოლუციის ზეგავლენით მწვავედ განიცადა ის გათიშვა, რომელიც აზსებობდა მის მიერ მოცემულ კაპიტალიზმის ობიექტურად უარყოფით სურათის და მის კლასობრივ შეზღუდულ მერყევ მსოფლმხედველობას შორის. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაში მან დაინახა ის ძალა, რომელმაც სამუდამოდ შემუსრა კაპიტალიზმის ქაოსი და ახალი ცხოვრებისათვის აღადგინა ახალი, სოციალისტური, ქვემარტად დიდი საბჭოთა სომხეთი.

და დღევანდელი და მომავალი სომხეთის და საბჭოთა კავშირისათვის ბრძოლა და შემოქმედება უანდერძა მთელ საბჭოთა მწერლობას.

ქრონიკა და ინფორმაცია

საქართველოს სსრ

მწერლები სწავლობენ ბოლშევიზმის ისტორიას

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში დამუშავებული იქნა ამხ. ლ. ბერიას მოხსენება „ა/კ ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხებისათვის“. მოხსენება ამ საკითხის გარშემო ჩაატარა ა/კ კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგატაციისა და ბექდვითი სიტყვის განყ. გამგემ ამხ. ერ. ბელიამ.

ამხ. ბელია დაწვრილებით შეეხო ამხ. ბერიას მოხსენების ოთხივე განაკვეთს და აღნიშნა, რომ ა/კ ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ღრმა შესწავლა ვაამდიდრებს ჩვენი მწერლების თემატიკას და მისცემს მათ უდიდეს სტიმულს შექმნან მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც მოცემული იქნება მუშათა კლასის გმირული წარსული.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ს. ეულმა, მიხ. ჯავახიშვილმა, გ. ბუხნიკაშვილმა, დ. სულიაშვილმა, პან. ჩხიკვაძემ, ა. არსენიშვილმა და სხვ. ყველა მათგანი აღნიშნავდა ამხ. ბერიას მოხსენების უდიდეს მნიშვნელობას ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისა და მასების რევოლუციურად აღზრდის საქმეში. ამხ. ლ. ბერიას მოხსენებამ—აშბობდენ ისინი, უდიდესი დახმარება გაუწია საბჭოთა მწერლებს ისტორიულ-რევოლუციონურ პროცესების სწორად გაგების საქმეში, რაც მათ წინ შლის ახალ შემოქმედებითი ამოცანებს.

მწერლებმა გამოსთქვეს სურვილი, დასწერონ მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც მოცემული იქნება ა/კ ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები.

სურათები ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება ამიერკავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციათა ისტორიის შესახებ წარმოადგენს თემების ამოუწურავ წყაროს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მონუმენტალურ ნაწარმოებთათვის.

საქართველოს მხატვრებმა პრაქტიკულად მოჰკიდეს ხელი ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ცხოვრებისა და ბრძოლების მხატვრულად ასახვას.

მხატვრების უმრავლესობა მუშაობს იმ ისტორიულ-რევოლუციონურ თემებზე, რომლებიც სტალინის სახელთან არიან დაკავშირებული. მხატვრებს დაწყებული აქვთ 45 დიდი სურათი.

ესკიზების წინასწარ განხილვამ გამოამჟღავნა სიუჟეტის სიმდიდრე და საპასუხისმგებლო თემებისადმი შესაფერი მიდგომა.

მოსე თოიძე, სიღამონ-ერისთავი, კროტკოვი და სხვა გამოცდილი ხელოვანები ეჯიბრებიან ახალგაზრდებს.

მხატვრები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სახელოსნოები, მუშაობენ აკადემიაში.

მხატვარმა კროტკოვმა უკვე დაასრულა სურათი „სტალინი გამოდის სოფ. კუხში მენშევიკების წინააღმდეგ“.

მხატ. ნადარეიშვილი ასრულებს სურათს „სტალინი ჭიათურაში“. ეს სურათი ასახავს 1904 - 1905 წ. ჭიათურაში სტალინის ერთ-ერთ გამოსვლას მენშევიკების წინააღმდეგ

ამავე თემებზე მუშაობენ მხატვრები მ. თოიძე, გძელიშვილი და ძნელაძე.

ა. ქუთათელაძე მუშაობს სამ თემაზე: „ბათომში 1902 წ. სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი დემონსტრაცია“, „სტალინი ქართლში“ და „სტალინი ესაუბრება გლეხებს“.

კ. სანაძე მუშაობს სურათზე „სტალინის დაპატიმრება ბათომში 1902 წ.“. ვეფხვაძეს სამუშაოდ აღებული აქვს შემდეგი თემა: „სტალინის სიტყვა ს. წულუკიძის დაკრძალვაზე“.

სიღამონ-ერისთავი მუშაობს სამ საინტერესო თემაზე: „სტალინი ბაქოში“, „სტალინი ამეცადინებს მუშებს“ და „ლადო კეცხოველის მოკვლა“.

სტალინის ახალგაზრდობის პერიოდისადმი მიძღვნილია მხატვ. გძელიშვილის, კოპალიანის, გიორგაძისა და მოქანდაკე ს. კაკაბაძის ნაწარმოებები.

აღნიშნულ მხატვრების გარდა ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე მუშაობენ მხატვრები: მაისაშვილი, თავაძე, შტემბერგი, ახვლედიანი, ბაგრატიონი, ლემონჯავა, წერეთელი და სხვ. ქანდაკება წარმოდგენილი იქნება სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის, რ. თავაძის, მერაბიშვილის, თ. აბაკელიას და სხვათა ნაწარმოებებით.

შოთა რუსთაველის ძეგლი

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის პლენარული სხდომის დადგენილების თანახმად შოთა რუსთაველის ძეგლი აღმართული იქნება როზა ლიუქსემბურგის სკვერში (რუსთაველის პროსპექტის დასაათავში).

გამოცხადებულია კონკურსი რუსთაველის ძეგლის პროექტზე.

ძეგლის პროექტი შესრულებული უნდა იქნეს შემდეგ პირობათა გათვალისწინებით:

1. ძეგლი უნდა წარმოადგენდეს რუსთაველის პორტრეტულ ქანდაკებას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედგას პოეტის არსებული უძველესი პორტრეტი; აგრეთვე მასალად უნდა გამოყენებულ იქნეს შოთა რუსთაველის მხატვრული დოკუმენტები.

2. გარდა პორტრეტული ქანდაკებისა, ძეგლში მოცემული უნდა იქნეს „ვეფხის-ტყაოსანი“-ს იდეების, მოტივებისა და პერსონაჟების განსახიერება ბარელიეფებისა და ფიგურების სახით.

3. რუსთაველის ძეგლთან ერთად უნდა გაუორმდეს არქიტექტურულად თვით სკვერიც, საქართველოში არსებული ქვეშის მასალების გამოყენებით.

4. ძეგლის სიმაღლე, კვარცხლბეკითურთ, მიწის ზედაპირიდან უნდა იყოს არა უმეტეს 10 მეტრისა.

5. ძეგლის მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს მარმარილო და გრანიტი.

ძეგლის პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს 1936 წლის 1 აპრილისათვის. ძეგლის აგება კი დამთავრებულ იქნება 1937 წლის პირველ ოქტომბრისათვის.

ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის დამტკიცებულია 3 პრემია: 1—30.000 მანეთი, მე-2—20,000 მანეთი და მე 3—10.000 მანეთი.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის დადგენა

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ სცნო „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საბოლოო ვადის შემოკლება. განათლების სახ. კომისარიატს რუსთაველის ინსტიტუტთან ერთად დაევა დაამუშაოს

კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის მაქსიმალურ მოკლე ვადაზე დადგენა. კომისიის მუშაობის მეთოდები დამტკიცებული იქნება პლენუმის მიერ.

პლენუმმა გამოჰყო კომისია, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის დადგენას. კომისიაში არჩეული არიან: მ. ტოროშელიძე (თავმჯდომარე), ფ. მახარაძე, ლ. აღნიაშვილი, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე, კ. ორაგველიძე, ა. თათარიშვილი, ვ. გოგეშვილი, კ. კეკელიძე, ალ. დუდუჩავა, პ. შარია, გ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ბ. ბიბინიშვილი და შ. ამირანაშვილი.

ამავე კომისიას დაევალა ხელმძღვანელობა გაუწიოს გამოცემათა ილუსტრაციების შერჩევას და მხატვრული გაფორმების საქმეს.

რუსთაველის სურათები საიუბილეო საფოსტო მარკებზე

საბჭოთა ფელატელიურმა ასოციაციამ წინადადება შეიტანა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტში იუბილესთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის სურათებიანი საფოსტო მარკების გამოცემის შესახებ. კომიტეტის პლენუმმა წინადადება ერთხმად მიიღო და დაადგინა, რომ მასალები ასოციაციას უნდა გადაეცეს არა უგვიანეს 1936 წლის პირველ იანვრისა. მარკებისათვის სურათების დასამზადებლად პლენუმმა დაადგინა, დაინიშნოს დახურული კონკურსი: მისაშვილის, გრიგოლიას, გუდიაშვილის, შვეარდნაძის და გაბაშვილის მონაწილეობით.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის ილუსტრაცია

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტმა საჭიროდ ჩასთვალა, რათა აკადემიური გამოცემა უზრუნველყოფილი იქნეს საუკეთესო ილუსტრაციით, რისთვისაც გამოცხადებულია ღია კონკურსისაქართველოს მასშტაბით. კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ორი ეპიზოდი „ვეფხის-ტყაოსნი“-დან. საუკეთესოდ შესრულებულ პროდუქციისათვის დაწესებულია 2 პრემია: 1-ლი 3.000 მანეთი და მე-2—2,000 მანეთი.

რუსთაველი და მისი ეპოქა

შოთა რუსთაველის იუბილესათვის მოწყობილი იქნება დიდი გამოფენა „რუსთაველი და მისი ეპოქა“. გამოფენის მოწყობა დაევალა განათლების სახალხო კომისარიატს, რომელმაც თავისი წინადადებები კომიტეტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად არა უგვიანეს ა/წ პირველ დეკემბრისა.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლის თავის შესრულების გამო სახელგამი, „ფედერაცია“ და ა/კ სახ. გამომცემლობა ამზადებენ გამოსაცემად ვაჟა-ფშაველას მთელ რიგ ნაწერებს.

სახელგამი სცემს მწერლის პროზაულ ნაწერების დიდ კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება მისი მოთხრობები და დრამატული ნაწარმოები „მოკვეთილი“. ეს პიესა დაბეჭდილი იყო 90-იან წლების ბოლოს ჟურნალ „მომამბე“-ში და ცალკე არ გამოცემულა.

გამომცემლობა „ფედერაცია“ სცემს პოეტის რჩეულ ნაწერების კრებულს ა/კ სახ. გამომცემლობა ამზადებს ვაჟა-ფშაველას ნაწერების რუსულ თარგმანთა ორტომეულს ერთ ტომში მოთავსებული იქნება რჩეული პროზა, მეორეში კი პოემები: „გველისმკამელი“ ბ. პასტერნაკის თარგმანი, „გოგოთურ და აფშინა“, „სტუმარ“-აასპინძელი ბრიკის თარგმანი, „ბასტრიონი“ ს. გოროდეცკის თარგმანი.

უკრაინის მწერლები ტფილისში

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ტფილისში ჩამოვიდა უკრაინის მწერალთა დელეგაცია უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პ. სენჩენკოსა და დრამატურგ კორნეიჩუკის შემადგენლობით.

დელეგაციას დავალებული ჰქონდა საქართველოა, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციების მიწვევა უკრაინაში, რათა მათ მიეცეთ საშუალება უფრო ახლო გაეცნონ საბჭოთა უკრაინის უდიდეს ზრდას და თავიანთ ნაწერებში ასახონ უკრაინის ყოფა-ცხოვრება.

უკრაინის მწერლები ემზადებიან ა/კ რესპუბლიკების მწერალთა შეხვედრისათვის.

პოეტი ბაჟანი უკვე ორი თვეა, რაც საქართველოშია მოვლინებული და სთარგმნის ქართულ პოეტების საუკეთესო ნაწერებს.

პოეტი პ. ტიჩინა რამდენიმე წელია, რაც მუშაობს სომეხ პოეტების უკრაინულ ენაზე თარგმნისათვის. ამ მოკლე ხანში ტიჩინა გაემგზავრება შემოქმედებით მივლინებაში სომხეთში.

მიმდინარე ოქტომბერში უკრაინის ცნობილი პროზაიკოსის პეტრე პანჩის მეთაურობით გაემგზავრება დელეგაცია აზერბეიჯანში.

უკრაინის დელეგაციასთან საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა მოაწყო ქართველ მწერალთა და თეატრალურ ხელოვნების მუშაკთა მთელი რიგი შეხვედრები.

სომხური კულტურის სახლი ტფილისში

საქ. კ. პ. (ბ) დაადგინა ტფილისში მოეწყოს სომხური კულტურის სახლი. მიმდინარე წელს საქართველოს სახკომსაბჭომ სომხური კულტურის სახლის მოწყობისათვის უნდა გაიღოს 75.000 მანეთი.

განსახკომსა და კომპოზიტორების კავშირს წინადადება მიეცათ კულტურის სახლთან სასწრაფოდ ჩამოაყალიბონ სომხურ მომღერალთა საჩვენებელი გუნდი:

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. წინადადება მისცა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს, გააძლიეროს ხელმძღვანელობა და ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მწერალთა სომხურ სექციას.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა მწერალთა კავშირის სომხურ სექციის სუსტი მუშაობა უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირს წინადადება მიეცა უზრუნველჰყოს მწერლების: მარკარისა და თორგომიანის მთლიანად შემოქმედებითი მუშაობაზე გადაყვანა.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მოიწონა გაზეთ „პროლეტარი“-ს ინიციატივა, — გაზეთის დამატების სახით სომხურ ენაზე მასიურ მხატვ. ბროშურების გამოცემა.

სახელგამს დაევალა წლის ბოლომდე უზრუნველჰყოს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექციის წევრთა საუკეთესო ნაწერების გამოცემა და სომხური ბექდვითი პროდუქციის ფართო გასაღება. სახელგამსვე მიეცა წინადადება, უზრუნველჰყოს ს. ს. მ. კ. სომხური სექციის ორგანოს ყურნალ „არშავირ“-ის თავის დროზე გამოშვება, წელიწადში 6 ნომერი.

ამავე დროს სახელგამმა უნდა გააუმჯობესოს საბავშვო ყურნალი „კარმირ წილერი“.

განსახკომს წინადადება მიეცა შეიმუშაოს და წარუდგინოს სახკომსაბჭოს სათანადო სახელწოდებათა მისანიჭებლად იმ დამსახურებულ ხელოვნთა სია, რომელთაც ან წარსულში უმუშავენიათ, ან ახლა მუშაობენ საბჭოთა საქართველოში.

რ უ ს ე თ ი ს ს ფ ს რ

ლევ ტოლსტოის ნაწარების გამოფენა

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში სრულდება 25 წელი ლევ ტოლსტოის გარდაცვალებიდან. მოსკოვის ტოლსტოის მუზეუმი აწყობს გამოფენას, რომელიც გააშუქებს ამ უდიდესი რუსი მწერლის ცხოვრებასა და შექმნილ ნაწარებს მისი სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.

გამოფენის მასალები დაწერილებით აშუქებენ მწერლის პუბლიცისტურსა და რელიგიურ შეხედულებებს, მის მუშაობას უკანასკნელ მხატვრულ ნაწარებზე და ტოლსტოის იასნაია პოლიანიდან წასვლის მიზეზებს. წარმოდგენილი იქნება ტოლსტოის ხელთნაწერები, ფოტოგრაფიები, სურათები და მწერლის დღიური, სიკვდილის წინა დროის ჩანაწერებით.

მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკა ამზადებს ტოლსტოის ნაწარების სა-უკეთესო გამოფენას. ამ გამოფენის მასალებიდან ირკვევა, რომ ტოლსტოის ნაწარები თარგმნილი და გამოცემულია ს. ს. რ. კ. ხალხთა 32 ენაზე.

მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის შემოფეხვა

ლენინგრადის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მიმდინარე წლ-ს შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში ჩაატაროს თავისი კავშირის წევრთა და კანდიტატთა შემოქმედების შემოწმება. მოწყობილ იქნება ლენინგრადის ყველა მწერალთა ცალკეული საანგარიშო საღამოები. აღნიშნული საღამოები ჩატარებული იქნება მაიაკოვსკის სახ. მწერალთა სახლში და აგრეთვე მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში მწერალთა აქტივის, კრიტიკოსებისა და მკითხველთა მონაწილეობით.

შემოქმედებითი მუშაობის შემოწმებას პრეზიდიუმი აძლევს უდიდეს მნიშვნელობას. ამ სამუშაოთა სახელმძღვანელოდ გამოყოფილი არიან: ნ. ტიხონოვი, ა. გორელოვი და მ. სლონიმსკი.

„ქართული ლირიკოსები“

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ სცემს ბორის პასტერნაკის კრებულს — „ქართველი ლირიკოსები“. წიგნი შეიცავს ვაჟა-ფშაველას, ი. გრიშაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ირ. აბაშიძის, ნ. მიწიშვილის, კ. კალაძის და სხვ. ნაწარების თარგმანებს. წიგნი გაფორმებულია მხატვარ ლ. გუდიაშვილის მიერ.

შეხსპირის ერთტომეული

საბჭოთა კავშირში მყოფი უცხოელ მუშათა გამომცემლობა ამზადებს ინგლისურ ენაზე დასაბეჭდად შექსპირის ნაწარების ერთტომეულს. წიგნში მოთავსებული იქნება შექსპირის 18 საუკეთესო დრამატიული ნაწარმები: მაკბეტი, მეფე ლირი, ოტელო, ჰამლეტი, კორიოლანი, ვენეციელი ვაჭარი და სხვ.

კრებული ილუსტრირებული იქნება საბჭოთა კავშირში შექსპირის პიესების დადგმების სურათებით.

კრებულის რედაქცია და შესავალი წერილი ეკუთვნის დინამოვს. შენიშვნები და კომენტარები აკსენოვს.

ღამუხავა მწერალთა კონკურსი

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავთან დაკავშირებით რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო მოთხრობებზე. ამ კონკურსის მიზანია გამოამჟღავნოს ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალთა კადრები, დაეხმაროს ლიტერატურულ ახალგაზრდობას თანადროულობის სწორად ასა-

ვხაში, ჩვენი ქვეყნის ადამიანთა ცხოვრებისა და ბრძოლების ჩვენებაში და სხვ.

ძირითადი ყურადღება ექცევა თანამედროვე თემატიკას. მაგრამ კონკურსში შესაძლებელია წარდგენილ იქნეს მოთხრობები, რომლებშიაც გაშუქებულია ისტორიული წარსული (პროლეტარიატისა და გლეხების ყოფა-ცხოვრება, მათი რევოლუციური ბრძოლები და სხვა).

მოთხრობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1¹/₂ ბეჭდვითი ფურცელს.

კონკურსში მონაწილეობენ ისეთი ახალგაზრდა ავტორები, რომლებსაც თავიანთი ნაწერები ცალკე წიგნად არ გამოუციათ. კონკურსში წარდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გამოუქვეყნებელი მოთხრობები.

დაწესებულია შემდეგი პრემიები; ერთი პირველი პრემია—2.000 მან; სამი მეორე 4 პრემია—თითო ათასი მანეთი და ხუთი მესამე პრემია—თითო 500 მანეთი.

პრემირებული და ჟიურის მიერ მოწონებული, მაგრამ არაპრემირებული მოთხრობები დაბეჭდილ იქნება სახ-გამომცემლობის კრებულებში.

ხელთნაწერების წარდგენის ვადად დაწესებულია 1935 წ. 1 დეკემბერი. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1936 წ. 1 იანვრისათვის.

კონკურსის ჟიური: ვს. ივანოვი, ნოვიკოვ-პრიბოი, ლიაშკო, კარაეაევა, მიტროფანოვი, ბესპალოვი, პავლენკო, და სელივანოვსკი.

საბავშვო წიგნის ისტორია

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ლენინგრადის საბავშვო ლიტერატურის სახლი აწყობს გამოფენას, რომელმაც უნდა ასახოს საბავშვო წიგნის ისტორია.

ასეთი სახის გამოფენა პირველია, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. მან უნდა გვიჩვენოს საბავშვო წიგნის განვითარების ძირითადი ეტაპები: რუსული წიგნისა—დღიდან მისი წარმოშობისა (მე-17 საუკუნე) ოქტომბრის რევოლუციამდე, საზღვარგარეთელი წიგნებისა კი—დღევანდლამდე.

გამოფენა უშუალოდ უკავშირებს წიგნს მისი მკითხველის ყოფას. ძირითად ექსპონატების გარდა (წიგნები, ილუსტრაციების ორიგინალები, ლუბოკები) გამოყენებულია მასალები, რომლებიც გვისურათებენ სხვადასხვა ეპოქისა და სოციალურ ჯგუფის ბავშვის ყოფას (საბავშვო ტანსაცმელების სურათები, თამაშობანი და სხვა.)

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება უამრავი მასალა საბავშვო წიგნის გაფორმების დარგიდან. ეს გამოფენა ნაგარაუდევია მომსვლელთა ფართო მასისათვის (მშობლები, პიონერ-მუშაკები, ლიტერატურის მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები და სხვ.), მაგრამ იგი განსაკუთრებით საინტერესო იქნება საბჭოთა წიგნის შემოქმედებითი და საგამომცემლო დარგის მუშაკებისათვის.

აღნიშნული გამოფენა იძლევა ძველი საბავშვო წიგნის განვითარების სურათს. ლენინგრადის საბავშვო ლიტერატურის სახლი უკვე შეუდგა მეორე უდიდესი გამოფენის მოწყობისათვის სამზადისს, სადაც ნაჩვენები იქნება საბჭოთა საბავშვო წიგნის განვითარება ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდან დღევანდლამდე.

რედაქტორი—ლავრთ დემეტრაძე

პ/მ. მლივანი—ნიკოლოზ ჩაჩავაძე

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამ-ბა „**ფელერაკცია**“

გამომვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:

- | | | |
|-------------------------------------|---|----------------------------------|
| 1. თეიმურაზ პირველი | — | ლექსების წიგნი |
| 2. ივ. ჯავახიშვილი | — | საქ. ეკონომიური ისტორი (წ. 2-ე) |
| 3. გ. წერეთელი | — | „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბიკა“ |
| 4. ნ. ლორთქიფანიძე | — | მოთხრობები |
| 5. დავით კლდიაშვილი | — | მოთხრობები ტ. 1 |
| 6. „ „ „ | — | „ „ „ ტ. 2 |
| 7. თიმსარაძე | | |
| 8. უიარაღო | — | „მამელუკი“ |
| 9. გრიგოლ ცაცხლაძე | — | „საკუთარი ხმა“ (ლექსები) |
| 10. კეტიკი სამსონიძე | — | ლექსები |
| 11. ნაკინთა ლისაშვილი | — | ლექსები |
| 12. უცხოეთის რევოლუციონური კომიტეტი | | |
| 13. ბაბილინა | — | ლექსები |
| 14. ალ. ჰაზბეგი | — | მოთხრობები ტ. 1 |
| 15. ებ. ნინოშვილი | — | ტომი 3 |
| 16. ირ. ევლოშვილი | — | ტომი 1 |

ამ წლის ბოლომდე გამოვა:

- | | | |
|----------------------------|-----------------------|----------------------------|
| 1. კონსტანტინე გამსახაუჯია | — | „მთვარის მოტაცება“ წიგ. 1 |
| 2. „ „ „ | — | „ „ „ წიგ. 2 |
| 3. „ „ „ | — | „ „ „ წიგ. 3 |
| 4. ვაჟა-ფშაველა | — | რჩეული ნაწერების ერთი ტომი |
| 5. ფრანგული ნოველები | (გ. ქიქოძის თარგმანი) | |
| 6. მის. ჯავახიშვილი | — | არსენა მარაბდელი |
| 7. გიორგი ერისთავი | — | თხზულებათა სრული კრებული |
| 8. გუგუნიანი | — | თამარიანი |
| 9. ანტონ ფურცელაძე | — | „მაცი ხვითა“ |
| 10. ა. სააკიანი | — | „აბდულ მარაი“ |
| 11. შალ. რადიანი | — | კრიტიკული წერილების წიგნი |
| 12. ს. შანშიაშვილი | — | პიესები |
| 13. აზიანი | — | „ „ „ |
| 14. გუგული გუნიაშვილი | — | „ „ „ |
| 15. ნოე ჯომლათელი | — | მოთხრობები |
| 16. ბაკურ ბიბინეიშვილი | — | „კ ა მ ო“ |

საქ. ტექნიკური გამომცემლობა

== ტექნიკა და ურობა ==

მიიღება ხელისმოწერა ინჟინერთა

ტექნიკურ ცნობარზე

h ü t t e-ზე

ხელმოწერის პირობების განსაზღვრათ მიმართეთ

გამომცემლობას შემდეგი მისამართით:

რუსთაველის კროსკეპტი, № 24, ოთახი 19.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

1935-36 წლის სეზონის რეპერტუარი

ახალი დადგმები:

1. შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“
ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით
2. პ. კაკაბაძის „ბახტრიონი“
3. ი. ვაკელის „შამილი“
4. ვ. გაბესკირიას „ურთა“
5. ქ. კალაძის „ბნელ ღამეების სტუმარი“
6. ი. მჭედლიშვილის „ოიანა-ბუიანა“
7. ს. ამალლოგელის „ჩვენი ქვეყანა“

აღდგენილ იქნება:

1. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“
2. შექსპირის „ოტელო“
3. ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“
4. ხალხური „არსენას ლექსი“
5. პ. კაკაბაძე „ყვარყვარე თუთაბერი“
6. შ. დადიანი „ნინოშვილის გურია“
7. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“
8. ბააზოვის „განურჩევლად პიროვნებისა“